



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს  
საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ზემო იმერეთი-რაჭის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა- რეკონსტრუქციისათვის  
ალტერნატიული მიმართულებების ანალიზისა და დეტალური პროექტი

საჩხერე-ქვემო ხევის ს/გზის კმ 5+537-კმ10+537 მონაკვეთის მშენებლობა-  
რეკონსტრუქციის და ექსპლუატაციის პროექტის

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

შემსრულებელი სს "ინსტიტუტიგ3"



# 1 შესავალი

საქართველოს მთავრობის ამბიციური გეგმა შეინარჩუნოს მაღალი ეკონომიკური ზრდა საქონლის გადაადგილების, ტურიზმის ზრდის, აგრო წარმოების მხარდაჭერით, ქვეყნის საგზაო სექტორს გამოწვევების წინაშე აყენებს: ა) ეკონომიკის მხარდაჭერისათვის საჭირო საგზაო ინფრასტრუქტურის ფორმირებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი კაპიტალური ინვესტიციები; ბ) საჭიროა შეზღუდული რესურსების გამოყენების პრიორიტეტების განსაზღვრა საგზაო აქტივების შენარჩუნების გრძელვადიანი პირობისათვის; გ) საჭიროა ადგილობრივი დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რათა სოფლის მოსახლეობას ადვილად მიუწვდებოდეს ხელი ბაზრებზე და დ) საგზაო სექტორში ინვესტირებამ უნდა შექმნას სამუშაო ადგილები.

ზემო იმერეთი - რაჭის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა ძალზედ მნიშვნელოვანია სოციალ-ეკონომიკური და დემოგრაფიული თვალსაზრისით. ლეჩხუმის და რაჭის რეგიონებისთვის დამახასიათებელია: ეკონომიკის სუსტი დივერსიფიკაცია, მიგრაცია, უკიდურესი გაჭირვება, სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურა და შეზღუდული წვდომა ჯანდაცვასა და განათლებაზე (დაწყებითი სკოლის გარდა). 2014 წლის დემოგრაფიული მონაცემების მიხედვით, სოფლის მოსახლეობა შემცირდა 24%-ით 2002 წლიდან.

ზემო იმერეთი - რაჭის ახალი საავტომობილო გზით (სიგრძე - 50 კმ) საჩხერე-ონის მარშრუტი სულ მცირე 1 საათით მცირდება. სატრანსპორტო მოძრაობა საჩხერე-ონის გზაზე მნიშვნელოვნად გაზრდის მომსახურებისა და უსაფრთხოების ხარისხს, განსაკუთრებით ქალაქებსა და სოფლებში. ამასთან ერთად, მნიშვნელოვნად შემცირდება ხმაურის დონე და ასევე გამონაბოლქვი გაზების მიერ ჰაერის დაბინძურების ხარისხი. წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს ზემო იმერეთი - რაჭის ახალი საავტომობილო გზით (სიგრძე - 50 კმ) საჩხერე-ონის მარშრუტის საჩხერე-ქვემო ხევის ს/გზის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის დეტალური პროექტის სიგრძით 5.537 კმ. - 10.537 კმ. -ის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

გზის გეგმა - ტრასის მოცემული 5კმ-იანი მონაკვეთი იწყება მდინარე ჯრუჭულს მარცხენა სანაპირო ჭალაში, ზემო იმერეთი-რაჭის დამაკავშირებელი გზის, I-მონაკვეთის ბოლოდან 3კმ+537. კვეთს მდინარე ჯრუჭულას და მიუყვება მდინარის მარჯვენა ნაპირს, დინების აღმა მიმართულებით. ჩაუვლის სოფელ ქვემოხევს რომელიც ძირითადად განთავსებულია მდინარის მარცხენა სანაპიროზე. 3კმ+10 კვეთს მდინარე მოხვას. და სპროექტო მონაკვეთის ბოლომდე გადის დაუსახლებელ მთაგორიან რელიეფში. საპროექტო ტრასა ძირითადად ემთხვევა არსებული გრუნტის გზის მიმართულებას. მოცემული მონაკვეთი მთავრდება 3კმ+537-ზე.



Client: Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia Road department of Oni	Project: Detail design for construction and reconstruction of connecting road From Oni to Kvevno Khevi Scale: 1:5000 Section: Km 5.537 - Km 10.537	Division: Sachkhere/Kvevno Khevi/Oni/Immereti/rachi Title: Detail design Design level: Detail design Original drawing size: A3(297x420) Code drawing: 1	DATE: 2017 DATE: December, 2017 DATE:	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო საჩხერის რაიონული ადმინისტრაცია საჩხერის რაიონის საავტომობილო გზების განყოფილება საჩხერე-კვემო ხევი-ონის მარშრუტი საჩხერე-კვემო ხევი-ონის მარშრუტი საჩხერე-კვემო ხევი-ონის მარშრუტი საჩხერე-კვემო ხევი-ონის მარშრუტი საჩხერე-კვემო ხევი-ონის მარშრუტი საჩხერე-კვემო ხევი-ონის მარშრუტი	საჩხერე-კვემო ხევი-ონის მარშრუტი საჩხერე-კვემო ხევი-ონის მარშრუტი საჩხერე-კვემო ხევი-ონის მარშრუტი საჩხერე-კვემო ხევი-ონის მარშრუტი საჩხერე-კვემო ხევი-ონის მარშრუტი საჩხერე-კვემო ხევი-ონის მარშრუტი საჩხერე-კვემო ხევი-ონის მარშრუტი საჩხერე-კვემო ხევი-ონის მარშრუტი საჩხერე-კვემო ხევი-ონის მარშრუტი საჩხერე-კვემო ხევი-ონის მარშრუტი
--	---	---	---	--	--

## 2 გარემოსდაცვითი კანონმდებლობა

საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა მოიცავს კონსტიტუციას, გარემოსდაცვით კანონებს, საერთაშორისო შეთანხმებებს, კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, პრეზიდენტის ბრძანებულებებს, მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებს, მინისტრების ნორმატიულ ბრძანებებს, ინსტრუქციებს, რეგულაციებს და სხვა. საქართველო მიერთებულია საერთაშორისო, მათ შორის გარემოსდაცვით საერთაშორისო კონვენციებს.

### 2.1 საქართველოს გარემოსდაცვითი კანონები

პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში გათვალისწინებულია საქართველოს შემდეგი გარემოსდაცვითი კანონების მოთხოვნები საქართველოს გარემოსდაცვითი კანონების ნუსხა

მიღების წელი	კანონის დასახელება	სარეგისტრაციო კოდი	საბოლოო ვარიანტი
1994	საქართველოს კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ	370010000.05.001.018678	07/12/2017
1994	საქართველოს კანონი საავტომობილო გზების შესახებ	310090000.05.001.017311	24/12/2013
1995	საქართველოს კონსტიტუცია	010010000.01.001.016012	13/10/2017
1995	საქართველოს კანონი ნარჩენების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის შესახებ	300230000.05.001.018660	07/12/2017
1996	საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ	360000000.05.001.018613	07/12/2017
1997	საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ	410000000.05.001.018606	07/12/2017
1997	საქართველოს კანონი წყლის შესახებ	400000000.05.001.018653	07/12/2017
1997	საქართველოს საზღვაო კოდექსი	400010020.05.001.018609	07/12/2017
1998	საქართველოს კანონი კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ	470210000.05.001.018676	07/12/2017
1999	საქართველოს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ	420000000.05.001.018620	07/12/2017
1999	საქართველოს კანონი საქართველოს ტყის კოდექსი	390000000.05.001.018603	07/12/2017
2010	საქართველოს კანონი ტყის ფონდის მართვის შესახებ	040030000.05.001.018652	07/12/2017
10/11/2000	საქართველოს კანონი ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ	390040000.05.001.018623	07/12/2017
1999	საქართველოს კანონი საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ	040160050.05.001.018679	07/12/2017
2003	საქართველოს წითელი ნუსხის და წითელი წიგნის შესახებ	360060000.05.001.018650	07/12/2017
2003	საქართველოს კანონი ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ	370010000.05.001.018641	07/12/2017
2005	საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ	300310000.05.001.018748	23/12/2017
2006	საქართველოს კანონი „საქართველოს ზღვისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“	400010010.05.001.01629	05/05/2011
2007	საქართველოს კანონი ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ	360130000.05.001.018662	07/12/2017
2007	საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ	470000000.05.001.018607	07/12/2017
2007	საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ	450030000.05.001.018687	07/12/2017
2014	საქართველოს კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების	130000000.05.001.01860	07/12/2017

	შესახებ		
2015	საქართველოს კანონი რადიოაქტიური ნარჩენების შესახებ	120210010.05.001.018680	07/12/2017
2014	ნარჩენების მართვის კოდექსი	360160000.05.001.018604	07/12/2017
2017	გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი	360160000.05.001.018605	07/12/2017

### გარემოსდაცვითი სტანდარტები

წინამდებარე ანგარიშის დამუშავების პროცესში გარემო ობიექტების (ნიადაგი, წყალი, ჰაერი) ხარისხის შეფასებისათვის გამოყენებულია შემდეგი გარემოსდაცვითი სტანდარტები გარემოსდაცვითი სტანდარტების ნუსხა

მიღების თარიღი	ნორმატიული დოკუმენტის დასახელება	სარეგისტრაციო კოდი
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების გაანგარიშების მეთოდიკა“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №414 დადგენილებით.	300160070.10.003.017621
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №425 დადგენილებით.	300160070.10.003.017650
03/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - „აირმტვერდამჭერი მოწყობილობის ექსპლუატაციის შესახებ“ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №21 დადგენილებით.	300160070.10.003.017590
03/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - „არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №8 დადგენილებით.	300160070.10.003.017603
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების მეთოდიკა“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №408 დადგენილებით.	300160070.10.003.017622
06/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის მეთოდიკა“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №42 დადგენილებით.	300160070.10.003.017588
03/01/2014	გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტი - დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით.	300160070.10.003.017608
14/01/2014	ტექნიკური რეგლამენტის - „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №54 დადგენილებით.	300160070.10.003.017673
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკა“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №435 დადგენილებით.	300160070.10.003.017660
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №423 დადგენილებით.	300160070.10.003.017645

31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „კარიერების უსაფრთხოების შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №450 დადგენილებით.	300160070.10.003.017633
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „ნიადაგის ნაყოფიერების დონის განსაზღვრის“ და „ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების მონიტორინგის“ დებულებები, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №415 დადგენილებით.	300160070.10.003.017618
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №424 დადგენილებით.	300160070.10.003.017647
15/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - „სამუშაო ზონის ჰაერში მავნე ნივთიერებების შემცველობის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №70 დადგენილებით.	300160070.10.003.017688
15/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - სასმელი წყლის შესახებ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №58 დადგენილებით.	300160070.10.003.017676
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „საქართველოს მცირე მდინარეების წყალდაცვითი ზოლების (ზონების) შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №445 დადგენილებით.	300160070.10.003.017646
03/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - „საქართველოს ტერიტორიაზე რადიაციული უსაფრთხოების ნორმების შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №28 დადგენილებით.	300160070.10.003.017585
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №440 დადგენილებით.	300160070.10.003.017640
03/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - „წყლის სინჯის აღების სანიტარიული წესების მეთოდიკა“ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №26 დადგენილებით.	300160070.10.003.017615
04/08/2015	ტექნიკური რეგლამენტი - „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესი“. დამტკიცებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის №211 ბრძანებით	360160000.22.023.016334
11/08/2015	ტექნიკური რეგლამენტი - „ნაგავსაყრელების მოწყობის ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის N421 დადგენილებით.	300160070.10.003.018807
17/08/2015	ტექნიკური რეგლამენტი - „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის N426 დადგენილებით.	300230000.10.003.018812
01/08/2016	საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს #422 დადგენილება „ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ“.	360100000.10.003.018808
15/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი-„სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ნარჩენების შეგროვების, შენახვისა და გაუვნებლობის სანიტარიული წესები და ნორმები“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №64 დადგენილებით.	300160070.10.003.017682
16/03/2009	„გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულება დამტკიცებულია საქართველო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2009 წლის 9 მარტის ბრძანებით №8	360160000.22.023.012.881

21/02/2017	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“ - დამტკიცებული მთავრობის დადგენილებით #61.	040030000.10.003.018446
24/02/2017	ტექნიკური რეგლამენტი – “სპეციალური მოთხოვნები საშიში ნარჩენების შეგროვებასთან და დამუშავებასთან დაკავშირებით“-დამტკიცებული მთავრობის #145 განკარგულებით	360160000.10.003.019210

**საერთაშორისო ხელშეკრულებები**

საქართველო მიერთებულია მრავალ საერთაშორისო კონვენციას და ხელშეკრულებას, რომელთაგან ქარხნის ფუნქციონირების გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია შემდეგი:

- ბუნებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვა:
- კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ, რიო დე ჟანეირო, 1992 წ;
- კონვენცია გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ (CITES), ვაშინგტონი, 1973 წ;
- ბონის კონვენცია ველური ცხოველების მიგრაციული სახეობების დაცვის შესახებ, 1983
- კლიმატის ცვლილება:
- გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია, ნიუ-იორკი, 1994 წ;
- მონრეალის ოქმი ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ, მონრეალი, 1987;
- ვენის კონვენცია ოზონის შრის დაცვის შესახებ, 1985 წ;
- კიოტოს ოქმი, კიოტო, 1997 წ;
- გაეროს კონვენცია გაუდაზნოების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, პარიზი 1994.
- დაბინძურება და ეკოლოგიური საფრთხეები:
- ევროპის და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ხელშეკრულება მნიშვნელოვანი კატასტროფების შესახებ, 1987 წ.
- კულტურული მემკვიდრეობა:
- კონვენცია ევროპის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ;
- კონვენცია ევროპის არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის შესახებ.
- საჯარო ინფორმაცია:
- კონვენცია გარემოს დაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ (ორჰუსის კონვენცია, 1998 წ.)

**2.4 ნებართვები და ლიცენზიები პროექტის ტერიტორიის გარეთ მიმდინარე სამუშაოებისათვის**

პროექტის ტერიტორიის გარეთ მიმდინარე სამუშაოები მოიცავს სამშენებლო მასალების მოპოვებას ან შექმნას უკვე არსებული ლიცენზირებული კარიერებიდან (მეორე ვარიანტი უპირატესია). ლიცენზიების გაცემას არეგულირებს საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“. ლიცენზიების გაცემაზე პასუხისმგებელი ორგანოა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. მოპოვების ლიცენზიის პირობები და წესები მითითებულია ლიცენზიაში ადგილმდებარეობის, მოპოვების ნებადართული მოცულობის და ლიცენზიის მოქმედების ვადასთან ერთად. ლიცენზიები გაიცემა აუქციონის წესით. კანონის მიხედვით, ლიცენზია გაიცემა იმ პროპონენტზე, რომელიც წარმოადგენს საუკეთესო წინადადებას, დააკმაყოფილებს რესურსებისა და გარემოს დაცვის კრიტერიუმებს, და ეკონომიკურად ყველაზე მისაღები იქნება. მასალების მოპოვებისათვის ლიცენზიის მოქმედების ვადა შესაძლებელია იყოს 30 წლამდე, ასევე გაიცემა მოკლე ვადიანი, 2-5 წლიანი ლიცენზიები. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს რესურსის უწყვეტი და მდგრადი გამოყენება

გარემოსდაცვითი და რესურსების დაცვის წესების გათვალისწინებით; უზრუნველყოს სამუშაოს უსაფრთხოება, ატმოსფერული ჰაერის, წყლის, ნიადაგის, ტყის, დაცული ტერიტორიების, ისტორიული და კულტურული ძეგლებისა და შენობების უსაფრთხოება. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეწყვიტოს მუშაობა იშვიათი მცენარის ან არტეფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში. ფაქტი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შესაბამის უწყებას.

ლიცენზიის მფლობელი პასუხისმგებელია გამოყენებული ადგილის აღდგენაზე. ლიცენზია შეიძლება შეწყდეს სალიცენზიო პირობებთან, მათ შორის გარემოსდაცვითი მოთხოვნების შეუსაბამობის შემთხვევაში. ლიკვიდაციისა თუ კონსერვაციის ხარჯებს ფარავს რესურსის მომპოვებელი. ლიცენზიის შეწყვეტის შემთხვევაში, მფლობელი ავტომატურად კარგავს უფლებას მიწის ნაკვეთზეც.

თუ კონტრაქტორი გადაწყვეტს საკუთარი კარიერის/საბადოს გამოყენებას, უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი მოთხოვნები:

□ შეთავაზებული კარიერის რესურსი საკმარისი უნდა იყოს ობიექტის ფინანსური სიცოცხლისუნარიანობისთვის, რეაბილიტაციის ხარჯების ჩათვლით;

□ უნდა მოხდეს მიწის ნაყოფიერი ფენის მოცილება და დასაწყობება ხელახლა გამოყენებამდე. [შენიშვნა: ნაყოფიერი მიწა არ უნდა დაიმარხოს, დაიტკეპნოს, ზედმეტად დამუშავდეს, არ უნდა მოხდეს მისი დაბინძურება. დასაწყობებისას ნიადაგის ხარისხი არ უნდა გაუარესდეს, რათა არ შეიზღუდოს მისი შემდგომი გამოყენება];

□ საჭიროების შემთხვევაში, უნდა იქნას უზრუნველყოფილი ეროზიისაგან დაცვა;

□ უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის მისასვლელი გზები უნდა იყოს ადექვატური სიგანის: ცალმხრივი მოძრაობისას - ყველაზე განიერ სატრანსპორტო საშუალებაზე ორჯერ, ხოლო ორმხრივი მოძრაობის შემთხვევაში - სამჯერ განიერი.

□ ტერიტორიაზე არასანქცირებული პირების შესვლის თავიდან ასაცილებლად უნდა მოეწყოს შემოღობვა, ჭიშკრით, აღნიშნული კონსტრუქციების მდგომარეობა რეგულარულად უნდა მოწმდებოდეს, საფრთხის შემცველ უბნებზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს გამაფრთხილებელი ნიშნების დაყენება.

□ საბადოს/კარიერის ექსპლუატაციის დასრულება უნდა მოხდეს ლიცენზიის პირობების შესაბამისად და გარემოსდაცვითი სტანდარტების გათვალისწინებით.

ლიცენზიის ვადის ამოწურვის შემდეგ უნდა მოხდეს ყველა დარღვეული უბნის რეკულტივაცია - ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა, ტერიტორიის საწყის მდგომარეობასთან მაქსიმალურად მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენა (მაგ. ტერიტორიის გამწვანება).

იმ შემთხვევაში, თუ მასალის მოპოვება მდინარის კალაპოტიდან ხდება, მოპოვებამ ზეგავლენა არ უნდა იქონიოს მდინარის კალაპოტზე და რელიეფზე. ხრეშის ამოღება დაუშვებელია წყალუხვობის პერიოდში. სამუშაო უბანი დაცული უნდა იყოს ხრეშის ყრილით (2 მ-მდე სიგანის). ეროვნული კანონმდებლობის (კანონი წიაღის შესახებ) შესაბამისად, მდინარის კალაპოტიდან ინერტული მასალის მოპოვება იკრძალება იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობა უქმნის რისკს ნებისმიერი სახის ჰიდროტექნიკური ნაგებობების (კამხალი, საყრდენი კედლის, და ა.შ.) სტაბილურობას. ასევე დაუშვებელია მასალის მოპოვება ისეთი მონაკვეთებიდან, სადაც მყარი ნატანი ვერ უზრუნველყოფს ნაპირის „კვებას“. მსგავს ადგილებში ინერტული მასალის მოპოვება მდინარის ტერასიდან 50მ-ის სიახლოვეს იკრძალება.

აკრძალულია სამშენებლო ტექნიკას წყალში შეყვანა, ლიცენზიის მფლობელს არ აქვთ უფლება დიდი ხნით შეაჩეროს მოპოვება ტერიტორიის აღდგენის გარეშე ან/და უარი თქვას ლიცენზიაზე მისი ვადა არ ამოწურვამდე. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი აკონტროლებს ლიცენზიის მფლობელის საქმიანობას და უფლება აქვს დააჯარიმოს ოპერატორი დარღვევების აღმოჩენისას.

### 3. პროექტი აღწერა

გზის პროექტირებისას გამოყენებულია საქართველოს ეროვნული სტანდარტი შშთ (სსტ) 72 : 2009 „გზები საავტომობილო საერთო სარგებლობის გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები" და

საქართველოში მოქმედი ყოფილი საბჭოთა კავშირის ს.ნ. და წ. 2.05.02.85.

საპროექტო დოკუმენტაცია დამუშავებულია: საველე საკვლევადიებო მასალების საფუძველზე, ავტომატიზირებული პროექტირების სისტემის ლობურ-ლოად 8.2 ნეტ პროგრამის გამოყენებით.

მოსამზადებელი სამუშაოები - ძირითადი სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე საჭიროა განხორციელდეს ორგანიზაციული და ტექნიკური საკითხების მომზადება, სამუშაოების წარმოების ფრონტის უზრუნველსაყოფად.

მოსამზადებელ სამუშაოებში გათვალისწინებულია, ტრასის აღდგენა დამაგრება L-5კმ.

გზის გეგმა - ტრასის მოცემული 5კმ-იანი მონაკვეთი იწყება მდინარე ჯრუჭულს მარცხენა სანაპირო ჭალაში, ზემო იმერეთი-რაჭის დამაკავშირებელი გზის, I-მონაკვეთის ბოლოდან 5,537 კმ 3კ0+00 კვეთს მდინარე ჯრუჭულს და მიუყვება მდინარის მარჯვენა ნაპირს, დინების აღმა მიმართულებით. ჩაუვლის სოფელ ქვემოხევს რომელიც ძირითადად განთავსებულია მდინარის მარცხენა სანაპიროზე. 3კ35+30 კვეთს მდინარე მოხვურას. და საპროექტო მონაკვეთის ბოლომდე გადის დაუსახლებელ მთაგორიან რელიეფში. საპროექტო ტრასა ძირითადად ემთხვევა არსებული გრუნტის გზის მიმართულებას. მოცემული მონაკვეთი მთავრდება 10.548 კმ-ზე 3კ50+11.23.

საპროექტო ტრასა გეგმაში, დაპროექტებულია არსებული გზის მაქსიმალური გამოყენების პირობით.

საპროექტო ტრასის სიგრძეა - 5011 მ.

საპროექტო ტრასაზე გვაქვს 58-ცალი ჰორიზონტალური მოხვევის კუთხე.

ტრასა განთავსებულია რთულ რელიეფურ პირობებში, რის გამოც ჰორიზონტალურ კუთხის მაქსიმალური რადიუსია ღ-400მ.

შეზრდილი პარამეტრების მქონე მონაკვეთებში ჰორიზონტალურ კუთხის მინიმალური რადიუსია ღ-30მ.

საპროექტო ტრასაზე გათვალისწინებულია ვირაჟების მოწყობა.

პროექტს თან ერთვის გზის გეგმა, რომელზეც ნაჩვენებია ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებები.

გრძივი პროფილი - დაპროექტებულია საქართველოს საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების გეომეტრიული და სტრუქტურული სტანდარტების მიხედვით.

პროფილი შედგენილია აბსოლუტურ ნიშნულებში. გრძივი პროფილის არსებული და საპროექტო ნიშნულები მიეკუთვნება საპროექტო გზის ღერძის ნიშნულებს.

საპროექტო გზის გრძივი პროფილი დაპროექტებულია არსებული რელიეფის, გზის სამოსის კონსტრუქციის, გზის გეგმარებისა და განაშენიანების პირობების გათვალისწინებით.

გრძივი პროფილის მაქსიმალური ქანობი 3კ47+28.7 - 3კ50+19 გვაქვს ი-75.19 0/00. მონაკვეთის სიგრძეა L-186.2მ.

(იხილეთ მოკლე ჰიდროლოგიური ანგარიშები)

ამოხნიელი ვერტიკალური მრუდის მინიმალური რადიუს ღ-800მ-ია. ასევე ჩაზნექილ ვერტიკალურ მრუდზე გვაქვს მინიმალური რადიუსი ღ-1000მ.

მიწის ვაკისი - სარეაბილიტაციო მონაკვეთში გზის გზის განივი პროფილი დაპროექტებულია, საქართველოს საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების გეომეტრიული და სტრუქტურული სტანდარტების მიხედვით, ასევე გათვალისწინებული არსებული რელიეფი და განაშენიანების მდგომარეობა.

დავალების მიხედვით მიწის ვაკისის სგანეა -9.0მ სადაც ასფალტობეტონის საფარის სიგანეა -6.0მ. ხოლო გვერდულების სიგანე (1.5+1.5)მ. ტექნიკური პირობების გათვალისწინებით ეწყობა გამაგრებული ზოლი გვერდულებზე სიგანით (0.5+0.5)მ, სავალი ნაწილის იდენტური კონსტრუქციით. შესაბამისად



ასფალტობეტონის საფარი ტრასაზე, გვერდულის გამაგრებული ზოლის გათვალისწინებით, გვაქვს (0.5+6.0+0.5). შესაბამისად ქვიშა ხრეშოვანი ნარევით, მოწყობილი გვერდულები სიგანეა (1.0+1.0)

საავტომობილო გზის მიწის ვაკისის მოსაწყობად გათვალისწინებულია შემდეგი სახის მიწის სამუშაოები:

1. გრონტის დამუშავება ჭრილიდან ყრილში - 77810.0 მ<sup>3</sup>
2. გრონტის დამუშავება ჭრილიდან ნაყარში - 100100.0 მ<sup>3</sup>

მიწის სამუშაოების მოცულობები დეტალურად წარმოდგენილი "მიწის სამუშაოების მოცულობების კილომეტრულ უწყისში

საპროექტო კომპლექსი	საპროექტო მოცულობა მ <sup>3</sup>				ასანაზღაურებელი სამუშაოები მ <sup>3</sup>				მიწის სამუშაოების განაწილება მანქანების სახეობების მიხედვით მ <sup>3</sup>									
	ქვიშა	პროფი		სულ საპროექტო მოცულობა	პროფილის პროფილი			სულ ასანაზღაურებელი მიწის სამუშაოები	პროფილის პროფილი 1 კმ-ზე			პროფილის ნაპარში						
		28 <sup>ბ</sup> -VII	6 <sup>ბ</sup> -IV		28 <sup>ბ</sup> -VII	28 <sup>ბ</sup> -VII	6 <sup>ბ</sup> -IV		სულ პროფილის პროფილი	პროფილის პროფილი	პროფილის პროფილი	პროფილის პროფილი	პროფილის პროფილი	პროფილის პროფილი	პროფილის პროფილი	პროფილის პროფილი	პროფილის პროფილი	პროფილის პროფილი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	
1	14680	20530 410	0	35620	14680	6260	0	20940	9540	5140	14680	5850	360	0	50	0	6260	
2	5250	28950 150	0	34350	5250	23850	0	29100	3410	1840	5250	23700	100	0	50	0	23850	
3	6280	33590 110	0	40030	6280	27420	50	33750	4080	2200	6280	27310	60	40	50	10	27470	
4	24640	69120 320	0	94080	24640 (3640)	41160	0	65800	16020 (3430)	8620	24640	40840	270	0	50	0	41160	
5	26960	23320 930	430	51640	26960	930	430	28320	15160	11800	26960	0	870	380	60	50	1360	
სულ	77810	175510 1920	480	255720	77810	99620	480	177910	48210	29600	77810	97700	1660	420	260	60	100100	

შენიშვნა:

1. მნიშვნელოვანი მოცულობის კომპლექსის მოცულობა
2. გრონტი 28<sup>ბ</sup>-VII - ვიწროვანი გარეშობის მქონე მასალაზე მანქანების სახეობების მიხედვით

გზის სამოსის - გზის სამოსის კონსტრუქცია დაპროექტებულია: საბალ ნაწილზე მოსალოდნელი დატვირთვების, მოძრაობის ინტენსიობისა და გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით.

დავალების შესაბამისად, ასფალტობეტონის საფარის სიგანეა -6.0მ. ხოლო გვერდულების სიგანე (1.5+1.5)მ. ტექნიკური ნორმების შესაბამისად ეწყობა გამაგრებული ზოლი გვერდულებზე. სავალი ნაწილის იდენტური კონსტრუქციით. შესაბამისად ასფალტობეტონის საფარი ტრასაზე, გვერდულის გამაგრებული ზოლის გათვალისწინებით, გვაქვს (0.5+6.0+0.5). გვერდულები ქვისა ხრეშოვანი ნარევისგან ეწყობა სიგანით (1.0+1.0)

ყველა ზემოთ აღნიშნული ფაქტორებისა და ტექნიკური პირობების მიხედვით, საავტომობილო გზის სავალი ნაწილის კონსტრუქცია მიღებული გვაქვს:

1. ქვესაფები ფენა - ქვიშა ხრეშოვანი ოპტიმალური ნარევი ფრაქცია (0-70)მმ 3-20 სმ.
2. საფუძველი - ფრაქციული ღორღი (0-40)მმ 3-18 სმ.
3. თხევადი ბიტუმის მოსხმა 1მ<sup>2</sup> - 0.7ლ.
4. ა/ბეტონის ქვედა ფენა: მასხვილმარცვლოვანი ა/ბეტონის ცხელი ნარევი 3-6 სმ.
5. თხევადი ბიტუმის მოსხმა 1მ<sup>2</sup> - 0.35ლ.
6. ა/ბეტონის ზედა ფენა: წვრილმარცვლოვანი მკვრივი ა/ბეტონი 3-4 სმ.
7. მისაყრელი გვერდულები - ქვიშა ხრეშოვანი ოპტიმალური ნარევი

გზის სამოსის კონსტრუქცია მოცემულია თანდართულ ნახაზზე. მოცულობები დეტალურად

წარმოდგენილია უწყისში

1. სავალი ნაწილი (ფართობი) მ <sup>2</sup>	35550.0
2. საფუძვლის ფართობი მ <sup>2</sup>	39440.0
3. ქვესაგების ფენის მოცულობა მ <sup>3</sup>	12720.0
4. მისაყრელი გვერდულების მოცულობა მ <sup>3</sup>	2670.0

ხელოვნური ნაგებობები - საპროექტო გზაზე წარმოდგენილია 20 ცალი ხელოვნური ნაგებობა

ჯამი 5 კმ	1011	26951	23320	929	432
სულ ჯამი	5011	78875	173976	1879	480

ტრასაზე საპროექტო ხელოვნური ნაგებობები დაპროექტებულია ადგილობრივი პირობებისა და ჰიდროლოგიური ანგარიშის საფუძველზე

ტრასაზე დაპროექტებულია მრგვალი რკინაბეტონის მილები D-1.0მ 8-ცალი.

საპროექტო გადაწყვეტილებების შესაბამისად ტრასაზე დაპროექტებულია სწორკუთხა რკინაბეტონის მილები 2.0X1.5 მ 9-ცალი.

საპროექტო გადაწყვეტილებების შესაბამისად ტრასაზე დაპროექტებულია სწორკუთხა რკინაბეტონის მილები 2.0X1.5 მ 9-ცალი.

მდინარე ფსკნარაზე კვ47+76-ზე გათვალისწინებულია, საპროექტო რკინაბეტონის სწორკუთხა მილი, კვეთით 6.0X4.5მ. მდინარე ფსკნარას ჰიდროლოგიური ანგარიში წარმოდგენილია, განმარტებითი ბარათის შემდგომ, სხვა ჰიდროლოგიურ ანგარიშებთან ერთად.

N	კმ	მდებარეობა	საპროექტო ნაგებობა			ღასახელება	შენიშვნა
		აკ +	ნაგებობის სახეობა და ტიპი	კვეთი	სიგრძე მ.		
1	2	3	9	10	11		12
1	1	1+22 - 1+99.4	რკ/გებ. ხოლი		77.4	მდ. ჯრუჭულა	
2	1	3+40	რკ/გებ. მიწი	D-1.0		კიუვიტი	
3	1	8+80	რკ/გებ. მიწი	D-1.0		კიუვიტი	
4	1	9+35	რკ/გებ. მიწი	2.0X1.5		ხევი	
5	2	12+40	რკ/გებ. მიწი	2.0X1.5		ხევი	
6	2	14+40	რკ/გებ. მიწი	D-1.0		კიუვიტი	
7	2	14+90	რკ/გებ. მიწი	2.0X1.5		ხევი	
8	2	19+20	რკ/გებ. მიწი	D-1.0		კიუვიტი	
9	3	21+20	რკ/გებ. მიწი	D-1.0		კიუვიტი	
10	3	22+20	რკ/გებ. მიწი	D-1.0		კიუვიტი	
11	3	23+10	რკ/გებ. მიწი	2.0X1.5		ხევი	
12	3	26+60	რკ/გებ. მიწი	D-1.0		კიუვიტი	
13	3	28+00	რკ/გებ. მიწი	2.0X1.5		ხევი	
14	4	30+20	რკ/გებ. მიწი	D-1.0		კიუვიტი	
15	4	31+00	რკ/გებ. მიწი	2.0X1.5		ხევი	
16	4	35+00 - 35+79.4	რკ/გებ. ხოლი		79.40	მდ. ბონკა	
17	5	40+80	რკ/გებ. მიწი	2.0X1.5		კიუვიტი	
18	5	44+00	რკ/გებ. მიწი	2.0X1.5		ხევი	
19	5	46+10	რკ/გებ. მიწი	2.0X1.5		ხევი	
20	5	47+76	რკ/გებ. მიწი	6.0X4.5		ხევი	

პკ28+80 - პკ30+40-ზე გათვალისწინებულია, საპროექტო რკინაბეტონის ქვედა საყრდენი კედელი. საპროექტო ხიდი მდინარე ჯრუჭულაზე, პკ1+22 - პკ1+99.4 რკინაბეტონის სამ მალისანი ხიდი 3X24 სიგრძით L-77.4.

№№	სამუშაოს დასახელება	ბანკ. ერთეული	პკ28+80 - პკ30+43 L-163 მ	შენიშვნა
1	2	3	7	8
1	წყლის გადასაბეჭად კალაპოტის გაბრა - დაარევილება სველ ბრუნებებში გულდოხებით, გადაღობვა საშუალოდ 10მ მანძილზე	მ <sup>3</sup>	2500.0	6 <sup>ბ</sup> -IV
2	1. ბრუნების დამუშავება კედლის საპირკველში ხელით, ღატვიროვა და შემდგომი ტრანსპორტირება ნაქარში	მ <sup>3</sup>	2260.0	6 <sup>ბ</sup> -IV
	2. ბრუნების დამუშავება კედლის საპირკველში სანბრევი ნაქარში, ღატვიროვა ხელით და შემდგომი ტრანსპორტირება ნაქარში	მ <sup>3</sup>	1500.0	28 <sup>ბ</sup> -VII
3	რკინაბეტონის ძველ საძირკვეს კედლი			
	1. მომზადება ძვირა-ხრეშოვანი მასალით h-20სმ	მ <sup>3</sup>	152.7	B-7.5 B-25
	2. მომზადება მგლე ბეტონის საგები h-10სმ	მ <sup>3</sup>	72.1	
	3. კედლის ბეტონი	მ <sup>3</sup>	1932.0	
	4. არმატურა			
	D-8 A240C	კბ	5046.6	
	D-12 A500C	კბ	18649.3	
	D-16 A500C	კბ	19717.6	
	D-20 A500C	კბ	35807.4	
	D-25 A500C	კბ	71851.5	
<b>სულ</b>	კბ	151072.4		
5. წასაცხები კიდრითოლაცია	მ <sup>2</sup>	1250.0	2 ჯარ	
ღრენაჟის მოწყობა				
6. კონკრეტი თისა	მ <sup>3</sup>	50.0	სისძით h-20სმ	
7. ძვის ნაქარი ღრენაჟისთვის	მ <sup>3</sup>	80.0	სისძით h-30სმ	
8. საღრენაჟო პლასტმასის მიღები	მ <sup>მ</sup>	96.0	D-100მმ	
4	საპროექტო კედლის საპირკველის გამაბრება ძვამრის მოწყობით, ჩასოლვის გეოლოგიით, ლოდები D > 0.7 მ.	მ <sup>3</sup>	770.0	

რაიონის სეისმურობის გათვალისწინებით ხიდის, კონსტრუქციები გაანგარისებულია 9 ბალიან სეისმურობაზე.

საპროექტო საავტომობილო გზისსავალი ნაწილის სიგანეა - 6.0 მ. გვერდულები - (1.0+1.0) მ.

შესაბამისად ხიდის გაბარიტი მიღებულია - 8.0მ. სავალი ნაწილის სიგანე ხიდზე - 6.0მ.

უსაფრთხოების ზოლის სიგანე (1.0+1.0)მ. ტროტუარის სიგანე მივიღეთ - 1.0მ. სიდიდით.

მალის ნაშენი დაპროექტებულია წინასწარ დამაბული რკინაბეტონის კოჭებისგან სიგრძით - 24მ.

რაოდენობა - 5 ცალი. კოჭები ნაანგარიშებია დატვირთვებზე НК80 და Н30, რომლებც აღებული ტიპური პროექტის მიხედვით სრია 3.503-12 "Унифицированные сборные пролетные строения из предварительно напряженного железобетона для мостов и путепроводов на автомобильных дорогах"


ხიდის ზედაპირიდან წყლის მოსაცილებლად, დაპროექტებულია ხიდის სავალი ნაწილის, კონსტრუქციის გრძივი და განივი ქანობები. ასევე გათვალისწინებულია წყალსარინი, თუჯის კონსტრუქციის სახით (ზაბრი-სარქველი).

ხიდის ბურჯები - ნატენ ნაბურღი ხიმინჯების კონსტრუქციაა მიღებული. რომლის დიამეტრია D-1.2მ. ხიმინჯების სიგრძე ნაანგარიშებია, მოცემულ მონაკვეთში გეოლოგიური კვლევების შედეგების მიხედვით.


**ხიდის სქემა**

331+22-331+99.4

მ 1:250



ნახ. ხიდის სქემა



ხიდის სანაპირო ბურჯების გრუნტის კონუსების დსაცავად ეწყობა ქვის დამბა, რომელიც განთავსებულია მდინარის გასწვრივ დინების მიმართულებით. ქვის დამბა არეგულირებს მდინარის ჩამონადენს და მიმართავს წყლის ნაკად საჭირო მიმართულებით.

ქვის დამბის შემადგენლობაში ლოდების ზომა უნდა იყოს არანაკლები D-1.0 მ. ლოდები დამბის კონსტრუქციაში განლაგდეს უნდა ინდივიდუალური წყობით, რათა შედეგად მივიღოთ მაქსიმალურად ერთგვაროვანი კონსტრუქცია. ქვის დამბის ფერდის ქანობი მიმართული მდინარის მხარეს 1.0:2.0. ქვის დამბის საძირკვლის ჩადრმავება გრუნტში მიღებულია ჰიდროლოგიური ანგარიშის საფუძველზე.

საპროექტო ხიდი მდინარე მოხვურაზე, 335+00 - 335+79.40 რკინაბეტონის სამ მალაიანი ხიდი 3X24 სიგრძით L-79.40

რაიონის სეისმურობის გათვალისწინებით ხიდის, კონსტრუქციები გაანგარისებულია 9 ბალიან

სეისმურობაზე.

საპროექტო საავტომობილო გზისსავალი ნაწილის სიგანეა - 6.0 მ. გვერდულები - (1.0+1.0) მ.

შესაბამისად ხიდის გაბარიტი მიღებულია - 8.0მ. სავალი ნაწილის სიგანე ხიდზე - 6.0მ.

უსაფრთხოების ზოლის სიგანე (1.0+1.0)მ. ტროტუარის სიგანე მივიღეთ - 1.0მ. სიდიდით.

მალის ნაშენი დაპროექტებულია წინასწარ დამაბული რკინაბეტონის კოჭებისგან სიგრძით - 24მ.

რაოდენობა - 5 ცალი. კოჭები ნაანგარიშებია დატვირთვებზე НК80 და Н30, რომლებც აღებული ტიპური პროექტის მიხედვით სრია 3.503-12 "Унифицированные сборные пролетные строения из предварительно напряженного железобетона жля мостов и путепроводов на автомобильных дорогах"

ხიდის ზედაპირიდან წყლის მოსაცილებლად, დაპროექტებულია ხიდის სავალი ნაწილის, კონსტრუქციის გრძივი და განივი ქანობები. ასევე გათვალისწინებულია წყალსარინი, თუჯის კონსტრუქციის სახით (ზაბრი-სარქველი).

ხიდის ბურჯები - ნატენ ნაბურღი ხიმინჯების კონსტრუქციაა მიღებული. რომლის დიამეტრია D-1.2მ. ხიმინჯების სიგრძე ნაანგარიშებია, მოცემულ მონაკვეთში გეოლოგიური კვლევების შედეგების მიხედვით.

ხიდის სანაპირო ბურჯების გრუნტის კონუსების დსაცავად ეწყობა ქვის დამბა, რომელიც განთავსებულია მდინარის გასწვრივ დინების მიმართულებით. ქვის დამბა არეგულირებს მდინარის ჩამონადენს და მიმართავს წყლის ნაკადს საჭირო მიმართულებით.

ქვის დამბის შემადგენლობაში ლოდების ზომა უნდა იყოს არანაკლები D-1.0 მ. ლოდები დამბის კონსტრუქციაში განლაგდეს უნდა ინდივიდუალური წყობით, რათა შედეგად მივიღოთ მაქსიმალურად ერთგვაროვანი კონსტრუქცია. ქვის დამბის ფერდის ქანობი მიმართული მდინარის მხარეს 1.0:2.0. ქვის დამბის საძირკვლის ჩადრმავება გრუნტში მიღებულია ჰიდროლოგიური ანგარიშის საფუძველზე.

## **მომრაობის ორგანიზაცია და უსაფრთხოება**

მომრაობის ორგანიზაციისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად პროექტში გათვალისწინებულია საგზაო ნიშნების დაყენება, სავალი ნაწილის მონიშვნა, მიმმართველი ბოძკინტების, არსებული და საპროექტო სპეცპროფილის ბეტონის პარაპეტების მოწყობა.

## **საგზაო ნიშნები**

პროექტში გამოყენებულია სტანდარტული საგზაო ნიშნები I და II ტიპური ზომის. საგზაო ნიშნების დამზადება და დაყენება უნდა განხორციელდეს ГОСТ P 52289-2004, ГОСТ P 52290-2004, ГОСТ 14918-80 სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად და თანახმად საქართველოს კანონისა "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ"-2013წ.

სტანდარტული საგზაო ნიშნების კორპუსები ეწყობა თუთიით გალვანიზებული ლითონის პროფილისაგან სისქით 0,8-1,2 მმ;

ფარებზე ყველა გამოსახულება დაფარული უნდა იყოს მაღალი ინტენსივობის პრიზმულ-ოპტიკური სისტემის „VIII“ კლასის წებოვანი ფირით, აპლიკაციის მეთოდით, წინასწარ პლოტერზე დაჭრით. ფირი უნდა შეესაბამებოდეს EN 12899 ან АშთМ D4956-09 სტანდარტებს;

დგარები სტანდარტული და ინდივიდუალური საგზაო ნიშნებისათვის უნდა შეესაბამებოდეს Bშ EN 873-ის სტანდარტების მოთხოვნებს; დგარები უნდა იყოს მილისებური ან მართკუთხედი ღრუ კვეთის Bშ EN 10210-ის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

დგარები სტანდარტული საგზაო ნიშნებისათვის:

სავალი ნაწილის მონიშვნა

სავალი ნაწილის ჰორიზონტალური მონიშვნა ხორცილდება თეთრი ნიტროემალის

საღებავით, გაუმჯობესებული ღამის ხილვადობის შუქდამაბრუნებელი მინის ბურთულაკებით ზომით 30-600 მკმ-მდე, (ГОСТ P 51256-99, ГОСТ P 52289-2004, ИСО 9001, EN 1436, EN 1871, EN 1423, EN1424 სტანდარტების მოთხოვნების მიხედვით და თანახმად საქართველოს კანონისა "საგზაო მოძრაობის

უსაფრთხოების შესახებ"-1913წ).

### საგზაო შემოფარგვლა

საგზაო შემოფარგვლისათვის გამოყენებულია საპროექტო სპეცპროფილის ბეტონის პარაპეტები (ცალმხრივი) GOCT P 52289-2004, GOCT P 52607-2006, GOCT P 52721-2007, GOCT P 52721-2007 ან EN 1317-(1-5):

დრეკადი მიმართველი ბოძკინტები ეწყობა GOCT P 52289-2004 , GOCT P 50970-2011 სტანდარტების მოთხოვნის მიხედვით.

საგზაო შუქდამაბრუნებლები ეწყობა GOCT P 52766-2007 , GOCT P 50971-2011 სტანდარტების მოთხოვნის მიხედვით:

I და II ტიპის შუქდამაბრუნებლები ეწყობა მიმართველ ბოძკინტებზე, საგზაო ნიშნების დგარებზე, მაღალი ინტენსივობის პრიზმულ-ოპტიკური სისტემის IV კლასის წებვადი ფირით

III ტიპის შუქდამაბრუნებლები ეწყობა სპეცპროფილის ბეტონის ზღუდარებზე (მაგრდება პარაპეტის ფასადზე)

ცალკე სქემებზე დეტალურად განხილულია საგზაო ნიშნების, საგზაო მონიშვნის, საგზაო შემოფარგვლისა და მიმართველი ბოძკინტების განლაგება გზაზე. პროექტში მიღებული ღონისძიებები და საპროექტო გადაწყვეტილებები უზრუნველყოფს მოძრაობის ორგანიზაციასა და უსაფრთხოებას.

სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი შედგენილია: მოქმედი ნორმების, წესებისა და სტანდარტების დაცვით.

შრომის ნაყოფიერების გაზრდის და მშენებლობის ხანგრძლივობის შემცირების მიზნით, მიღებულია სამუშაოების, კომპლექსური მექანიზმებით და სპეციალიზირებული საწარმოო ბრიგადებით შესრულება, შრომის ორგანიზაციის თანამედროვე მეთოდებისა და ფორმების გამოყენებით.

სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისას გზაზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს ტრანსპორტის შეუფერხებელი მოძრაობა. რისთვისაც საჭიროა სამუშაოების ჩატარდეს ეტაპობრივად: ჯერ გზის ერთ ნახევარზე, მეორე ნახევარზე ტრანსპორტის მოძრაობის შენარჩუნებით, შემდეგ კი პირიქით.

სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების პერიოდში აუცილებელია: მოძრაობის ორგანიზაცია და სამშენებლო მოედნის შემოფარგვა. რაც უნდა შესრულდეს BCH 37-84 ინსტრუქციის შესაბამისად სამუშაოების მწარმოებელმა ორგანიზაციამ, უნდა შეადგინოს მოძრაობის ორგანიზაციის ინსტრუქციები და სქემები, რომლებიც შეთანხმებული იქნება საგზაო პოლიციის წარმომადგენლებთან. ასევე აუცილებელია სამუშაოთა წარმოების ზონაში მოხვედრილი კომუნიკაციების მფლობელებთან წინასწარი შეთანხმება.

სამუშაოების წარმოების ტექნოლოგიური სქემები ტიპიურია. სამუშაოები უნდა შესრულდეს, ტექნოლოგიური ნორმებისნორმების შესაბამისად: კერძოდ BCH 24-88 "საავტომობილო გზები" და 3.06.04-91 "ხიდები და მილები".

ყველა მასალა, ნახევრად ფაბრიკატები და კონსტრუქციები, უნდა შეესაბამებოდეს: საპროექტო მონაცემებს და სათანადო სახელმწიფო სტანდარტებს.

მშენებლობის მოსამზადებელი პერიოდის ამოცანები:

მოსამზადებელ პერიოდში, საგზაო სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, უნდა განხორციელდეს ძირითადი სამშენებლო ფერონტის უზრუნველყოფა.

მშენებლობის მოსამზადებელ პერიოდში აუცილებელია შემდეგი სამუშაოების ჩატარება:

- \_ სამშენებლო მოედნის შემოფარგვლა - მონიშვნა შესაბამისი საშუალებებით.
- \_ სამშენებლო ტერიტორიის გაწმენდა - გასუფთავება.
- \_ მშენებარე ობიექტის ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით უზრუნველყოფა.

სამუშაოების დაწყებამდე, ყველა ის მიწისქვეშა კომუნიკაციები, რომელნიც იმყოფებიან სამუშაოების წარმოების ზონაში, უნდა გაიხსნას: მათი ჩალაგებიდს სირმისა და გეგმაში განლაგების დასაზუსტებლად. ეს პროცესი აუცილებლად უნდა განხორციელდეს, კომუნიკაციებზე პასუხისმგებელი პირების

თანდასწრებით. დაზუსტებული კომუნიკაციები უნდა შემოიფარგლოს შესაბამისი ნიშნებით.

მშენებლობის დასრულების შემდეგ, უნდა შესრულდეს სამშენებლო ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები.

### საგზაო სამოსის მოწყობა:

- საგზაო სამოსი ეწყობა ასფალტობეტონის საფარით. საგზაო სამოსის მოწყობის პროცესში რეკომენდირებულია, ორი სპეციალიზირებული ბრიგადის გამოყენება: პირველი ბრიგადა მოაწყობს საფუძველს, ხოლო მეორე ბრიგადა გზის სამოსს.
- საგზაო სამოსის მოწყობის ტექნოლოგიური თანმიმდევრობა შემდეგია: სამუშაო ზედაპირის მომზადება, საშენი მასალის მოზიდვა და გზის სამოსის მოწყობა.
- ინერტული მასალის გაშლის შემდეგ, უნდა მოხდეს მისი მოსწორება - პროფილირება, სამუშაოების მიმდინარეობა ხდება: კიდებიდან გზის ღერძისკენ. დატკეპნა უნდა განხორციელდეს ფენებად გაშლილი მასალის მორწყვის შემდეგ. დატკეპნა უნდა განხორციელდეს ნორმატულ სიმკვრივემდე.
- სატკეპნის სიჩქარე დასწყისში უნდა იყოს (1,5-2,0)კმ/სთ. ხოლო დატკეპნის ბოლოსთვის სიჩქარე 5 კმ/სთ. უნდა გაიზარდოს. სატკეპნის სვლების რაოდენობა, უნდა განისაზღვროს ტექნოლოგიური ნორმების შესაბამისად.
- ასფალტობეტონის საფარის მოწყობის წინ საფუძვლის ზედაპირი უნდა დამუშავდეს თხევადი ბიტუმით (1-6) საათის განმავლობაში. ფოროვანი ასფალტობეტონის გამკვრივების კოეფიციენტი, უნდა იყოს არანაკლები 0,98-ისა, ხოლო მკვრივი ასფალტობეტონის - არანაკლები 0,99-ის.
- დატკეპნა უნდა შესრულდეს ის რომ საფარის ზედაპირზე არ წარმოიშვას ბზარები, ნაკვალევი ან ტალღები. შაფარის დაგების პროცესში, კონსტრუქციის გრძივი და განივი ქანობები, უნდა სეესაბამებოდეს საპროექტო მონაცემებს. დაუშვებელია, არა ტექნოლოგიურად განსზღვრული, ყველა მექანიზმის მოძრაობა ახლად დაგებული საფარის ზედაპირზე, მისი სრულად გაცივებამდე.

გაშლილი ასფალტობეტონის ნარევის დატკეპნა უნდა დაიწყოს, არანაკლები 1200C და ზევით. ასფალტობეტონის ნარევი იტკეპნება: პირველად გლუვ-ლილვიანი ან ვიბრაციული სატკეპნით, მასით (6-8) ტონა. (გამორთული ვიბრატორიტ 2-3 სვლა). შემდგომი დატკეპნა ხორციელდება სატკეპნებით პნევმატურ ბორბლებზე, მასით 16 ტონა (6-10 სვლა) ან გლუვ-ლილვიანი სატკეპნით მასით (10-13) ტონა (8-10 სვლა). ან ვიბრაციული სატკეპნით მასით (6-8) ტონა, გამორთული ვიბრატორიტ (3-4 სვლა) და საბოლოო დატკეპნა მიმდინარეობს გლულ-ლილვიანი სატკეპნით, მასით 18 ტონა, (4-8 სვლა)

სატკეპნის სიჩქარე დატკეპნი დასწყისში უნდა იყოს არაუმეტეს (1,5-2,0) კმ/სთ. ხოლო 5-6 სვლის შემდეგ სიჩქარე შეიძლება გაიზარდოს (3-5) კმ/სთ-მდე გლუვლილვიანი სატკეპნისთვის, 3 კმ/სთ-მდე ვიბრაციული სატკეპნისთვის, (5-8) კმ/სთ-მდე სატკეპნისთვის პნევმატურ ბორბლებზე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, არსებულ საფართან, ან ადრე დაგებულ ფენებთან ახალი ასფალტობეტონის ფენის მიერთებას. შეერთების ადგილებში, გრძივი და განივი ნაკერები ეწყობა, წინა ფენის ჩაჭრით, საფარის მთლიან სიღრმეზე. ნაწიბური უნდა გაცხელდეს, ან გაიპოხოს თხევადი ბიტუმით. საფარის სისწორე უნდა გაიპოხოს 3მ-იანი სიგრძის ლითონის ლარტყით. საფარი უნდა იყოს ერთგვაროვანი, ბზარებისა და ზედაპირზე შემკვრელის დაცვარვის გარეშე.

ცხელი ასფალტობეტონის დაგება უნდა განხორციელდეს მშრალ ამინდში, გაზაფხულზე და ზაფხულში, არანაკლებ +50C ტემპერატურის დროს, ხოლო შემოდგომაზე +100C ტემპერატურის დროს.

### შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკა:

მშენებლობის წარმოებაში უსაფრთხო მეთოდების და სანიტარული ნორმების დაცვა სავალდებულოა. ტექნიკური უსაფრთხოების წესების ნორმებში (II-4-89) გახილულია ყველა ის საკითხი, რომელთა ცოდნა სავალდებულოა მშენებლობის პერსონალისთვის.

მშენებლობაზე შეიძლება დაშვებული იქნას ის პირები, რომელთაც ჩაუტარდებათ ტექნიკური



უსაფრთხოების და სანიტარულ წესებზე სპეციალური ინსტრუქტაჟი.

– მშენებლობის დაწყებამდე საჭიროა მისასვლელი გზი მოწესრიგება.

– მოძრაობის სახიფათო ზონებში, საჭიროა დაიდგას სპეციალიზირებული გამაფრთხილებელი ნიშნები.

– სამუშაო ადგილები უნდა იქნა უზრუნველყოფილი, სამუშაოთა წარმოებისთვის საჭირო უსაფრთხო ინვენტარით.

– სამუშაოს დაწყების წინ მუშები უნდა უზრუნველყოფილი იყვნენ, დამცავი ჩაჩქანებით და სპეც. ტანსაცმლით.

– მშენებლობის ყველა დანაყოფი უზრუნველყოფილი უნდა იყოს პირველადი დახმარების მედიკამენტებით.

– ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ჭკების შესრულებას მშენებლობაზე უნდა დაეთმოს განსაკუთრებული ყურადღება.

#### **გარემოს დაცვის ღონისძიებები:**

მოსამზადებელი სამუშაოებისა და უშუალოდ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას, მშენებელი ვალდებულია დაიცვას ქვემოთ ჩამოთვლილი და სხვა შესაბამისი სამშენებლო ნორმებით და წესებით განსაზღვრული ღონისძიებები:

- განალაგოს სამშენებლო მოედანი და დროებითი შენობება-ნაგებობები, საავტომობილო გზის განთავსების ზოლში თუ ამის შესაძლებლობა არსებობს.
- აკრძალულია ნამუშევარი ნავთობპროდუქტების და სხვა ნაგვის ჩაღრვა დაჩაყრა მდინარის კალაპოტში.
- აკრძალულია მანქანა-მექანიზმების რეცხვა მდინარის ნაპირზე, მათ გასარეცხად უნდა მოეწყოს სპეცილურად აღჭურვილი ადგილები.
- სამუშაოების დამთავრების შემდეგ, უნდა მოხდეს ყველა იმ ტერიტორიის რეკულტივაცია, რომლებიც გამოყენებული იყო სამუშაოთა წარმოებისას.

#### **შენიშვნა:**

არსებული გზას მიუყვება საშუალო წნევის გაზსადენის მილი (როგორც მიწისზედა ასევე მიწსქვეშა გაყვანილობით) გზის საპროექტო პარამეტრებიდან და სხვადასხვა სპეციფიკური საპროექტო პირობებიდან გამომდინარე, ხსენებული გაზსადენის მილი მოქცეულია, გზის განთავსების ზოლში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია არსებული გაზსადენის მილის გადატანა, რომელიც უნდა განხორციელდეს მშენებლობის დაწყებამდე. ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით სამშენებლო ორგანიზაციამ უნდა შეადგინოს სათანადო საქმეები და კომუნიკაციის მეკატრონესთან შეთანხმებით უზრუნველყოს საშუალო წნევის გაზსადენის მილის გადატანა.

## **4. ალტერნატივის ანალიზი**

საპროექტო გზის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში განხილული ორი ალტერნატივა და აგრეთვე არაქმედების ალტერნატივა.

### **4.1 არაქმედების ალტერნატივა**

არაქმედების ალტერნატიული ვარიანტის შემთხვევაში არ მოხდება იმერეთის მხარეში, საჩხერის მუნიციპალიტეტში საავტომობილო გზის მშენებლობა-რეკონსტრუქცია.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ აღნიშნული გზა გამოყენებულია როგორც შემოვლითი ალტერნატივა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი-ალანა-მამისონის გზისთვის. შესაბამისად არაქმედების ალტერნატივა მიუღებლად უნდა ჩაითვალოს.

#### **დასკვნა**

საკვლევაძიებო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ვარიანტებში შედარების შედეგად საპროექტო ორგანიზაციამ უპირატესობა მიანიჭა პირველ ვარიანტს.



## 5. ფიზიკური გარემო

### 5.1 კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები

ზომიერად თბილი ჰუმიდური, სუსტად კონტინენტური. ზაფხული თბილია. ზამთარი ცივი და ხანგრძლივი. საჩხერის კლიმატის დახასიათებისთვის ძირითადად გამოიყენება მეტეოსადგურ კორბოულის მონაცემები, ხოლო მიმდებარე ტერიტორიებისთვის მთა საბუეთის მონაცემები.

ჰაერის ტემპერატურა. იანვრის საშუალო ტემპერატურა -0,1-0,30C, შედარებით მაღალ ადგილებში -3,6 C (მთა საბუეთი), ივლისის \_ 19,6\_20,8C (15,6C მთა საბუეთი). ცივი პერიოდი, როცა თვის საშუალო ტემპერატურა უარყოფითია, გრძელდება 1-4 თვის განმავლობაში.

მეტეოროლოგიური პარამეტრების დინამიკა

მეტეოსადგური	მეტეოროლ. მაჩვენებლები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიური
მთა საბუეთი, ზ.დ. 1241 მ	ატმ. ნალექ.	115	102	94	83	89	95	69	62	69	103	110	110	1101
	ჰაერის ტემპ.	-3,9	-3,3	-0,1	4,9	10	13,2	15,6	16,2	12,7	8,3	2,9	-1,2	6,3
კორბოული, ზ.დ. 793 მ	ატმ. ნალექ.	<b>125</b>	<b>116</b>	94	90	87	92	70	<b>75</b>	90	117	123	126	1205
	ჰაერის ტემპ.	<b>-0,3</b>	<b>0,2</b>	3,2	8,7	14,2	17,2	19,6	<b>20,2</b>	16,6	11,8	6,2	1,8	10

#### ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა.

შესუსტებულია ზღვიური ჰაერის მასების გავლენა, ამიტომ საშუალო მთის ტყის ლანდშაფტებთან შედარებით, ნალექების რაოდენობა მცირეა (1100-1300 მმ), რომლის მაქსიმუმი მოდის ზამთარზე, მინიმუმი \_ ზაფხულზე. დანარჩენ სეზონებზე შედარებით თანაბრადაა განაწილებული. იმერეთის მაღლობის მიმართულებით ნალექების რაოდენობა თანდათან მცირდება.

#### სხვა მეტეოროლოგიური პარამეტრები.

ჯამური რადიაცია \_ 130-140 კკალ/სმ<sup>2</sup>; რადიაციული ბალანსი \_ 50 კკალ/სმ<sup>2</sup>; ალბედო \_ 35 %; აორთქლება \_ 720 მმ წლიურად; ქარის საშუალო სიჩქარე \_ 4-6 მ/წმ. თოვლის საფარი - მდგრადი თოვლის საფარი არსებობს 3-4 თვე. 0,25-0,35 მ სიმაღლის საფარი შეიძლება წარმოიქმნას მხოლოდ იანვარსა და თებერვალში. თოვლის სახით მოსული ნალექების ხვედრითი წილია 30-40 %. საჩხერის მიმდებარე საშუალო მთებში თოვლის ზვავის შესაძლო ჩამოსვლის ინტერვალი აღინიშნება დეკემბერის III დეკადიდან აპრილის III დეკადის ჩათვლით.


## 5.2 გეოლოგია

საქართველოს ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური დარაიონების მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება დიდი კავკასიონის ნაოჭა სისტემის სამხრეთ ფერდის საშუალო მთიანი დასავლეთ ნაწილის ოლქის ბაისური ასაკის (პორფირიტული წყება) ვულკანოგენურ-დანალექი, კლდოვანი და ნახევრად კლდოვანი ქანების რაიონს. ჭრილის ქვედა ნაწილი წარმოდგენილია მძლავრი ტუფობრექციების დასტებით და ტუფებით პორფირიტების განფენებით. ბაისური წყების ზედა ნაწილში განბატონებულია ტერიგენური ფაცია-წვრილშრეებრივი არგილიტები, ალევროლიტები და ქვიშაქვები თიხის ცემენტზე ჰიდროქარს მონტმორილონიტური ტიპის. ალევროლიტებში და არგილიტებში ფიქსირდება გიფსი, გამოფიტვის ქერქის სიმძლავრე შეადგენს 7-10 მეტრამდე. კვლევების შედეგად საკვლევ უბანზე გამოიყო 3 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი.

სგე -1 ხრეში კაჭარის ჩანართებით, 35%-მდე ზომით 0,2-0,3 ქვიშის შემავსებლით, წყლით გაჯერებული

სგე - 2 ქვიშაქვა თხელ შრეებრივი, თიხების შუაშრეებით გამოფიტული, ძლიერ ნაპრალოვანი

სგე -3 ქვიშაქვა სუსტად ნაპრალოვანი მოლურჯო ფერის



საველე სამუშაოების დროს გაიბურღა სახიდე გადასვლებიან (ბურჯების ადგილის) ოთხი ჭაბურღილი თითოეულის სიღრმე 20 მეტრი, ამის გარდა საპროექტო გზის ღერძზე არსებული საქართველოში სამშენებლო ნორმების მიხედვით გაიბურღა ყოველ 300 მეტრში 3 მეტრიანი ჭაბურღილები, ასევე დაემატა საკვანძო ადგილებში 2.5 მეტრიანი ჭაბურღილები, საიდანაც აღებული იქნა ნიმუშები (კერნი), რომლებზეც ჩატარდა ლაბორატორიული კვლევები და განისაზღვრა ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები (ჭაბურღლების ჭრილები და ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები მოცემულია დანართის სახით). მთელი საკვლევი ტერიტორიის შესწავლისას გამოიყო სულ 3 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტები(სგე).

**რაიონში განვითარებული საშიში გეოლოგიური პროცესები**

იმერეთის რეგიონში შედის ხარაგაულის, ზესტაფონის, ბაღდათის, ვანის, სამტრედიის, ხონის, წყალტუბოს, თერჯოლის, ტყიბულის, ჭიათურის და საჩხერის რაიონები 6368,7 კმ<sup>2</sup> ფართობით და

544 დასახლებული პუნქტით. რეგიონში გავრცელებული საშიში გეოლოგიური და ანთროპოგენური

პროცესებიდან აღსანიშნავია: მეწყრები, დახრამვა, მდინარეთა ნაპირების გარეცხვა, ფართობული გადარეცხვა, კლდეზვავი და ქვათაცვენა, ღვარცოფი, დატბორვა, კარსტული მოვლენები, თოვლის ზვავები, მიწისძვრები, სამთო გამონამუშევრებით გამოწვეული ჩაქცევები. საშიში გეოლოგიური პროცესების სახეობების გამოვლინების, მათი ინტენსიურობის, რაოდენობისა და მიყენებული ზარალის სიდიდის მიხედვით, იმერეთის რეგიონში მკვეთრად გამოიყოფა სამი გეომორფოლოგიური ზონა:

აღმოსავლეთ კოლხეთის დაბლობი, გორაკ-ბორცვიანი მთისწინეთი, დაბალი და საშუალო მთიანეთი.

დაბლობი ზონის, გეოდინამიკური ფონის შექმნაში ძირითად როლს ასრულებს მდინარეთა ნაპირების გარეცხვა, დატბორვა-აკუმულაცია, ხოლო მეწყრული და დახრამვითი პროცესები უმნიშვნელოა.

გორაკ-ბორცვიანი მთისწინეთის ზონაში დომინირებენ მეწყრული და ეროზიული პროცესები, რომლებიც ფართო გავრცელებით და დამანგრეველი ზემოქმედებით ხასიათდებიან. დაბალ და საშუალო მთიანეთში განვითარებულია ფართო სპექტრი გეოდინამიკური პროცესებისა, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ანთროპოგენურ პროცესებსაც, განსაკუთრებით საჩხერის, ჭიათურის და ტყიბულის რაიონებში არსებული სამშენებლო მასალების, მანგანუმის და ქვანახშირის საბადოების დამუშავების შედეგად დაზიანებულ ტერიტორიებზე. იმერეთის რეგიონი მიწისძვრების საშიშროების მაღალი რისკით ხასიათდება,

რაც ჯეროვნად ჯერ კიდევ არ არის შეფასებული. რეგიონის ტერიტორიის დიდი ნაწილი მოქცეულია 7-8 ბალიანი სიძლიერის ზონაში (ძირულის კრისტალური მასივი, აჭარა-იმერეთის ქედი, ოკრიბის მთიანი მასივი). ბოლო წლებში რეგიონში დაფიქსირდა მიწისძვრების რამდენიმე შემთხვევა. რეგიონში საგრძნობი ზიანი მოაქვს ეროზიულ პროცესებსაც. დაფიქსირებულია მდინარეთა ნაპირების გარეცხვის 229 უბანი, ჯამური სიგრძით 527-კმ-ზე. ამ პროცესის ზემოქმედების შედეგად ადგილი აქვს სახნავ-სათესი მიწების, საავტომობილო გზების, ხიდების, ბოგირების, საირიგაციო-ჰიდროტექნიკური და ნაპირსამაგრი ნაგებობების, ნავთობ და გაზსადენი ტრასების საგრძნობ დაზიანებას. დახრამვითი პროცესები აღრიცხულია 484 უბანზე, რომელთა საერთო სიგრძე 257,3 კმ შეადგენს. კლდეზვავის 16 და ქვათაცვენის 254 კერა ძირითადად თავმოყრილია რეგიონის მთიან ზონაში, მდინარეების სათავეებში და ხეობების კლდოვან-ქარაფოვან უბნებზე. ასევე საავტომობილო გზების გასწვრივ არსებულ ხელოვნურად ჩამოჭრილ ფერდობებზე. საჩხერის რაიონში გაზაფხულზე თოვლის დნობამ და მოსულმა ჭარბმა ატმოსფერულმა ნალექებმა გამოიწვია წყალდიდობები, რასაც მოჰყვა მდინარეთა ნაპირების გარეცხვა, ღვარცოფული და მეწყრული პროცესების გააქტიურება. ამ პროცესებმა დააზიანა როგორც საცხოვრებელი სახლები და საკარმიდამო ნაკვეთები, ისე სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, საავტომობილო გზების ცალკეული მონაკვეთები, ხიდები, დამცავი კედლები, ჯებირები; დაიტბორა სახნავ-სათესი ფართობები 43 ჰა-ზე, სამოვრები 200 ჰა-ზე. მდინარეების-ყვირალას, ძირულას, ფიცხავას, დარყულას, იზვარას და მათი შენაკადების ხეობებში და ჭალებში გაირეცხა ნაპირები. დაზიანდა საავტომობილო გზების საჩხერე-პერევისას, ჭალოვანი-ლიჩის, სოფლების დარყას და არგვეთის გზების ცალკეული მონაკვეთები; ქ. საჩხერეში დაზიანდა ნაპირსამაგრი კედელი და საცხოვრებელი სახლები; დაიმეწყრა საავტომობილო გზა და დაზიანდა ღვარცოფული პროცესებით (გელბახიანის უბანი) ძლიერ დაზიანდა 2 საცხოვრებელი სახლი და საკარმიდამო ნაკვეთი. რეკომენდირებულია ამ ოჯახების უსაფრთხო ადგილზე გადასახლება. ღვარცოფულმა ნაკადებმა დაფარა და დააზიანა საჩხერე-ჭალის, ჭალა-დარყის საავტომობილო გზაზე ცალკეული მონაკვეთები. დარყა-ჯრიას საავტომობილო გზაზე ე.წ. „ლიმონათის ცეხთან“ ღვარცოფის მიერ გამოტანილმა მასალამ დაფარა შენობის ნაწილი. ამავე გზაზე ღვარცოფმა დაანგრია და მნიშვნელოვნად დააზიანა 2 ხიდი. მეწყრული პროცესები გააქტიურდა 12 სოფლის -

არგვეთის, სარეკის, ბაჯითის, ჩიხას, ორღულის, ითხორის, საირხის, კორბოულის, სპეთის, დუნთის, ჭალის და სხვიტორის მიდამოებში. ახალი მცირე ზომის მეწყრული სხეული წარმოიქმნა სოფ. ჭორვილაში. მეთვალყურეობა დაწესდა 36 საცხოვრებელ სახლზე. მეწყრული პროცესებით დაზიანებული მიწების საერთო ფართობი შეადგენდა 309 ჰა-ს. 2017 წლის პირველი იანვრისთვის რაიონში გამოვლენილი იყო: 53 მეწყრული სხეული, დატბორვის 4 უბანი, მდინარეთა ნაპირების გარეცხვი 13 უბანი (საერთო სიგრძე 18,5 კმ), 5 ღვარცოფული ხევი, 6 განვითარებადი ხრამი, 30 ქვათაცვენის და კლდეზვავის ერთი კერა, 5 კარსტული უბანი. პროცესების (განსაკუთრებით მეწყრების) ზემოქმედების ზონაში იმყოფებოდა 45 დასახლებული პუნქტი. წინა წლებში მდგრად ადგილებზე დასახლების რეკომენდაცია მიეცა 322 ოჯახს, მეთვალყურეობა დაწესდა 36 სახლზე. საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარების ზონაში მოქცეული იყო საავტომობილო გზების: საჩხერე-პერევისას, ჭალვანი-ლიჩის და სასოფლო საუბნო გზების მონაკვეთები, ნაპირსამაგრი კედლები, ქ.საჩხერის ცალკეული დასახლებული უბნები და მაგისტრალური ნავთობ-გაზსადენი სოფ.ხვანთან.

რაიონში განვითარებული საშიში გეოლოგიური პროცეს რუკა



სრული გეოლოგიური ანგარიში - დანართი 1.

### 5.3 ნიადაგები

#### კვლევის მეთოდოლოგია

ნიადაგების სავსე პირობებში კვლევა ძირითადად მიმდინარეობს WRB საერთაშორისო კლასიფიკაციით, რომელიც საქართველოში 2004 წელს დაინერგა. აღნიშნული მეთოდური მითითებანი წარმოადგენს „Students Guide for Soil Description, Soil Classification and Site Evaluation” (Halle 2002) შემოკლებულ რედაქტირებულ თარგმნას. მასში ასახულია ნიადაგების სავსე გამოკვლევების უახლესი აუცილებელი მიდგომები.

მეთოდური მითითებების მთავარი არსი არის კოდირების თანამედროვე სისტემაში. ამ სისტემის გამოყენება საშუალებას გვაძლევს სავსე პირობებში მოვახდინოთ ნიადაგების აღწერის, კლასიფიკაციის, ეკოლოგიური და ხარისხობრივი შეფასება, მოპოვებული მასალა მივუსადაგოთ საერთაშორისო კლასიფიკაციას და მიღებული შედეგები განთავსდეს საერთაშორისო საინფორმაციო სისტემაში.

#### ნიადაგის ტიპები, ზოგადი დახასიათება

აღნიშნული მონაკვეთის ტერიტორიებზე ძირითადად გავრცელებულია სამი ნიადაგური ტიპი. აღნიშნული მონაკვეთი ძირითადად ტყის მასივებზე გადის და ამიტომაც აქ გავრცელებულია **ყვითელ-ყომრალი (Acrisols Haplic)**, **ყომრალი (Cambisols)** და **კორდიან კარბონატული ნიადაგები (Leptosols Rendzic)**.

აღნიშნული ტიპის ნიადაგები ძირითადად მიეკუთვნებიან ტყის ნიადაგების ჯგუფს.

#### ყვითელ-ყომრალი ნიადაგები (Acrisols Haplic)

ძირითადად გავრცელებულია საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური (წიფლნართა და მარადმწვანე ქვეტყის) ლანდშაფტის არეალში. იგი ხასიათდება კარგად გამოხატული ჰუმუსოვანი და ყვითელ-ყომრალი ილუვიური ჰორიზონტით. მისი გავრცელების არეალია ზღვის დონიდან 400-500 მეტრიდან 800-1000 მეტრამდე.

**ნიადაგწარმომქმნელი ქანები** - ძირითადად წარმოდგენილია შუა იურულ პორფირიტული წყების და ამონალვარი ნეოგენურიების (ანდეზიტი, ანდეზიტო-ბაზალტი) ძველი, დენუდაციური ქერქითა და მათი დერივატებით. კლიმატი სუბტროპიკულ-ჰუმიდურია. დატენიანების წლიური კოეფიციენტი ერთზე მეტია. რელიეფი ეროზიულ-დენუდაციური ტიპისაა.

ყვითელ-ყომრალი ტიპის ნიადაგების პროფილს შემდეგი შენება აქვს:

- A - ჰუმუსოვანი ჰორიზონტი, საერთო სიმძლავრით 15-20 სმ, რუხი-ყომრალი, მარცვლოვანი, თიხნარი, ფესვების დიდი რაოდენობით.
- AB - გარდამავალი ჰორიზონტი, საერთო სიმძლავრით 10-15 სმ, ყომრალი, მარცვლოვან-წვრილკაკლოვანი, თიხნარი, ფესვები ნაკლები რაოდენობით.
- B - ილუვიური ჰორიზონტი, საერთო სიმძლავრით 30-40 სმ, ყვითელ-ყომრალი, თიხნარი, მომკვრივო, ფესვებითა და ქანის ნამტვრევებით.
- C - ყვითელ-ყომრალი, მკვრივი, თიხნარი, ქანის ნამტვრევების დიდი რაოდენობით.

ყვითელ-ყომრალი ნიადაგი ხასიათდება მკვდარი საფარის სწრაფი გახრწნისა და ჰუმუსწარმოქმნის უნარით.

აღნიშნული ნიადაგი ხასიათდება მჟავე რეაქციით (pH 5-5,5), რაც აპირობებს ნიადაგში არსებული ორგანული და მინერალური ნივთიერებების სწრაფ ხსნადობას და მიგრაციას. ეს ნიადაგი ჰუმუსს დიდი რაოდენობით შეიცავს და ერთ მეტრ სიღრმეში ხშირად 1%-ზე მეტია

**მექანიკური შედგენილობით** - ყვითელ-ყომრალი ნიადაგები მძიმე თიხნარებს მიეკუთვნება. შთანთქმის ტევადობა ამ ტიპის ნიადაგებს მაღალი აქვთ და შეადგენს 20-40 მგ-ეკვ/100გრ. ნიადაგში. ამ ტიპის ნიადაგებს კარგი ფიზიკური თვისებების გამო გააჩნია მაღალი წყალგამტარობის უნარი. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს **ეროზიული პროცესების** შენელება-შეზღუდვის თვალსაზრისით. ნიადაგის უმეტესი ნაწილი ტყით არის დაფარული.

### **ყომრალი ნიადაგები (Cambisols) –**

გავრცელების არეალი დასავლეთ საქართველოში 900-2000 მეტრის ფარგლებში მერყეობს. იგი გავრცელებულია საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური (წიფლნართა, მუჭწიწვიანი ტყეებითა და შქერიანი ქვეტყის) ლანდშაფტის გავრცელების არეალში. ყომრალი ნიადაგების გავრცელების არეალში დენუდაციის მოვლენები აღინიშნება როგორც ვერტიკალური ისე ჰორიზონტალური მიმართულებებით. რელიეფის ფორმირება ძირითადად წყლოვანი დენუდაციის მოვლენებითაა გამოწვეული. ამ ზონაში ეროზიისა და დენუდაციის პროცესების შედეგად ალაგ-ალაგ პენეპლენირების მოვლენებსაც აქვს ადგილი. ყომრალი ნიადაგი ძირითადად ფერდობებზეა განვითარებული, რაც აპრობებს აუცილებელ შიდა ნიადაგურ დრენაჟს.

**ნიადაგწარმომქმნელი ქანები** - ძირითადად წარმოდგენილია მესამეული და მესამეულის შემდგომი ქვიშნარებითა და თიხა-ფიქლებით, მერგელებითა და კონგლომერატებით. ზემო იმერეთის მთა-ტყის ზონის ზემო ნაწილში კი დიდ ადგილს იკავებენ გრანიტები და გნეისები.

ყომრალი ნიადაგი ვითარდება თბილი და ტენიანი ჰავის პირობებში. დანესტიანების კოეფიციენტი ერთზე მეტია, რაც აპრობებს ნიადაგების ჩამრეცხი წყლის რეჟიმს.

ყომრალი ნიადაგის პროფილს აქვს შემდეგი შენება:

- A<sub>0</sub> - ორგანული მკვდარი საფარი 0,5 - 5 სმ ფარგლებში
- A - ჰუმუსოვანი ჰორიზონტი, 10-20 სმ-მდე სიმძლავრით, ყომრალიდან რუხ ყომრალამდე შეფერილობით, თიხნარი, ფესვების სიუხვით, წვრილი ხირხატით.
- B<sub>m</sub> - მეტამორფული ჰორიზონტი, ყომრალი ან ყავისფერ-ყომრალი, თიხნარი, ზოგჯერ გამკვრივებული, ხირხატიანი.
- BC - დედაქანისკენ გარდამავალი ჰორიზონტი
- C - დედაქანი, თიხნარ-ქვიან-ქვიშიანი ელუვიონითა და მკვრივი ქანების ელუვიონ-დელუვიონით.

ყომრალი ნიადაგი ხასითდება კარგად გამოხატული მკვდარი საფარით, მაღალჰუმუსიანობით (3-8%), ყომრალი შეფერილობით, კაკლოვანი და მარცვლოვანი სტრუქტურით, ხირხატიანობით რომელიც სიღრმით მატულობს, აგრეთვე სიღრმით მექანიკური შედგენილობის დამძიმებით.

ნიადაგების რეაქცია ამ ტიპის ნიადაგებში მჟავე და ნეიტრალურისკენ გარდამავალია (pH 5,5-7), შთანთქმის ტევადობა ამ ტიპის ნიადაგებს მაღალი აქვთ და შეადგენს 25-45 მგ-ეკვ/100გრ. ნიადაგში.

**მექანიკური შედგენილობით** - ყომრალი ნიადაგები ძირითადად მიეკუთვნება საშუალო და მსუბუქ თიხნარებს, სიღრმისკენ კი მძიმე თიხნარებს. ყომრალი ნიადაგებისთვის დამახასიათებელია ტენის ჩამრეცხი ტიპი. იგი საკმაოდ მდგრადია წყლისმიერი ეროზიის მიმართ, რადგანაც ხასიათდება კარგი ფილტრაციული თვისებებით და მაღალი ტენტევადობით. ამის გარდა მძიმე მექანიკური შედგენილობა და კარგი სტრუქტურა პრაქტიკულად გამორიცხავს ქარისმიერ ეროზიას.

ტყის ქვეშ განვითარებული ყომრალი ნიადაგი ხასიათდება წყალდაცვითი ფუნქციებით. ეს ფუნქცია ირღვევა ტყის პირწმინდა და ძლიერი ინტენსივობის ამორჩევითი ჭრების შემთხვევაში. ზამთარში ტყის პირწმინდა ჭრებისა და გამეჩხერების დროს ნიადაგი იყინება, თოვლის სწრაფი დნობის დროს წყალი არ იჟონება ნიადაგში, შედეგად ნიადაგი კარგავს მკვდარ საფარს, იტკეპნება, კარგავს სტრუქტურას, წყალი აღარ იფილტრება, ნიადაგის ფორები იგმანება, რაც თავის მხრივ ხელს უშლის ნიადაგში წყლის ჩაჟონვას, შედეგად იზრდება ზედაპირული ჩამონადენი რომელიც თავის მხრივ აპრობებს ეროზიული პროცესების განვითარებას.

### **კორდიან კარბონატული ნიადაგები (Leptosols Rendzic) –**

აღნიშნული ტიპის ნიადაგები ძირითადად გავრცელებულია მაღალმთის კარსტული (შქმერიან) ხშირბალახოვანი, ნაირბალახოვანი, ტანბრეცილი ტყით (წიფლნარი, არყნარი) ლანდშაფტის არეალში. ძირითადად ფორმირდება ტყის ზონაში ისეთ ქანებზე, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავენ კალციუმის კარბონატებს (კირქვები, მარმარილო, დოლომიტები, მერგელები და სხვა) და ხასიათდება



ჩამრეცხი ან პერიოდულად ჩამრეცხი ტენის რეჟიმით. ნიადაგი გამოირჩევა კარგად გამოხატული ჰუმუსოვანი ჰორიზონტით.

კარბონატული ქანების გავრცელების არეალში გვხვდება რელიეფის ორი ძირითადი ტიპი: კარსტული და გლაციალური. კარსტული რელიეფის განვითარება დაკავშირებულია ცარცული სისტემის ნაფენებთან, ხოლო გლაციალური - ძველ მყინვარებთან.

კორდიან კარბონატული ნიადაგის არეალში რელიეფი ეროზიული ტიპისაა და წარმოდგენილია დენუდაციური, დენუდაციურ-აკუმულაციური და დენუდაციურ-მეწყრული ფორმით.

**ნიადაგწარმომქმნელი ქანები** - ძირითადად წარმოდგენილია კარბონატული ქანებით (კირქვები, მერგელები, დოლომიტები და სხვა). საკვლევ რეგიონში კირქვიანი მთები წარმოდგენილია ცარცის და იურას კირქვების მძლავრი ფენებით.

ამ ტიპის ნიადაგების გავრცელების ზონაში კლიმატი ზომიერად თბილია, მაღალი ნალექიანობით. დანესტიანების კოეფიციენტი ერთზე მეტია.

კორდიან კარბონატულ ნიადაგის პროფილს აქვს შემდეგი შენება:

- A<sub>0</sub> - მკვდარი საფარი სიმძლავრით 1-3 სმ, სუსტად გახრწნილი.
- A - ჰუმუსოვანი ჰორიზონტი სიმძლავრით 3-20 სმ, მუქი ან მუქი-რუხი, მარცვლოვანი ან წვრილკომპოზიციონ-მარცვლოვანი.
- AB - გარდამავალი ჰორიზონტი საერთო სიმძლავრით 10-20 სმ, მუქი ყომრალი, მარცვლოვან-კოსტოვანი.
- B - ილუვიური ჰორიზონტი სიმძლავრით 20-30 სმ, რუხი-ყომრალი, კომპოზიციონ-დაკუთხული.
- BC - ქანისკენ გარდამავალი, სიმძლავრით 20-30 სმ, ყომრალი, კომპოზიციონ-დაკუთხული.

კირქვებზე განვითარებული ნიადაგი უფრო ხირხატია, ვიდრე მერგელებზე განვითარებული. ერთსა და იგივე პირობებში მერგელებზე ვითარდება უფრო მძლავრი ნიადაგი, ვიდრე კირქვებზე.

კორდიან-კარბონატული ნიადაგი ხასითდება ნეიტრალური ან სუსტად ტუტე რეაქციით (pH 7-8). კარბონატების შემცველობა მერყეობს დიდ ფარგლებში (20-50%). შთანთქმის ტევადობა ამ ტიპის ნიადაგებს მაღალი აქვთ და შეადგენს 25-45 მგ-ეკვ/100გრ. ნიადაგში.

**მექანიკური შედგენილობით** - კირქვებზე განვითარებული ნიადაგი ხასითდება თიხა, ხოლო მერგელებზე - თიხნარი შემადგენლობით. თიხა მინერალებში ჭარბობს მონტმორილონიტი და ჰიდროქარსები. ნიადაგის წარმოქმნა დაკავშირებულია ალოქტონურ პირობებთან. ამასთან დაკავშირებით რელიეფის უარყოფით ელემენტებზე განვითარებული კორდიან კარბონატული ნიადაგი საკმაოდ ღრმაა. ევოლუციის შედეგად კლიმატური აგენტებისა და მცენარეულობის ზემოქმედებით ფორმირდება სხვა ნიადაგისკენ გარდამავალი ნიადაგი, მაგ: რენძინო-ყომრალი, რენძინო-ყავისფერი და სხვა.

კარბონატულ ქანებზე განვითარებულ ნიადაგს დადებით აგროსაწარმოო მაჩვენებლებთან ერთად გააჩნია უარყოფითი თვისებებიც, მათ შორის მაღალი სავლევ ტენიანობის ფონზე პროდუქტიული ტენის დეფიციტი. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ტენის შენარჩუნება ტორფის მულჩირებით.

## 5.4 ჰიდროლოგია

### დინარე ჯრუჭულას აუზის მოკლე ჰიდროგრაფიული დახასიათება

დინარე ჯრუჭულას აუზი მდებარეობს რაჭის ქედის ცენტრალური ნაწილის სამხრეთ კალთაზე, დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილის კირქვულ ზონაში. აუზს გააჩნია მერიდიანული მიმართულება საშუალო სიგანით 13 კმ და რაჭის ქედის სამხრეთით იზრდება 17 კმ-მდე. დასავლეთით და ჩრდილო- დასავლეთით აუზი შემოსაზღვრულია რაჭის ქედის წყალგამყოფით, ჩრდილოეთით - ხიხათას ქედით (2243 მ), ხოლო აღმოსავლეთით აუზს ესაზღვრება მდინარე

ჩიხურას აუზი. მდინარე ჯრუჭულას აუზი კარგად გამოხატული ასიმეტრიულობით ხასიათდება. აუზის ასიმეტრიულობის შედეგად ქსელიც ასიმეტრიულად არის განვითარებული. მდინარე ჯრუჭულას ერთვის სხვადასხვა რიგის 225 შენაკადი საერთო სიგრძით 287 კმ. მარჯვენა მხრიდან მას მრავალი წყალუხვი მდინარე ერთვის. მათ შორის თავიანთი აუზის სიდიდით, სიგრძით და წყალუხვობით გამოირჩევიან მდინარე ფასკნარა (14 კმ), მდინარე მოხვურა (10 კმ), მდინარე სატოპელა (14 კმ) და მდინარე ციხისწყალი (13 კმ). მდინარე ჯრუჭულა სათავეს იღებს რაჭის ქედის სამხრეთ კალთებზე და უერთდება მდინარე ყვირილას მარჯვენა მხრიდან სოფელ დარკვეთთან, შესართავიდან 94 კილომეტრზე. მდინარის სიგრძე 31 კმ-ია, წყალშემკრები აუზის ფართობი 210 კმ<sup>2</sup>, აუზის საშუალო სიმაღლე 1400 მეტრია. მდინარე ჯრუჭულა სათავიდან სოფელ ზედა ყვიჩორამდე, დაახლოებით 4

კილომეტრის სიგრძეზე მოედინება ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. სათავის რაიონში მდინარე კვეთს კირქვებით აგებულ განედურ ქედებს და ღრმა ხეობას ანვითარებს. ზემო წელის მაღალმთიან, მკაცრი მოხაზულობის რელიეფს რამოდენიმე დარბილებენ და წყალგამყოფის კალთებს ნაზ მოხაზულობას სძენენ. დელუვიური შლექები, განვითარებული რაჭის ქედის კალთების გასწვრივ, ჯრუჭულასა და მისი შემდინარეების სათავეების

რაიონში. სოფელ ზედა ყვიჩორის ქვემოთ მდინარე იხრება დასავლეთისაკენ და სწრაფად შედის ბაიოსის პორფირიტული წყების განედურ ნაკეცებში და ანვითარებს გამკვეთ ეროზიულ ხეობას. ხეობის განვითარების ახალგაზრდობის სტადიაზე მიგვითითებს მდინარის გამოუმუშავებელი პროფილი, რომელიც დიდი ვარდნით და ტეხილობით ხასიათდება განსაკუთრებით ზემოწელში, სადაც ჭორომები და ჩანჩქერები ხშირად იჩენენ თავს. ხეობის ძირის სიგანე 15-20 მეტრს შორის ირყევა, ადგილ-ადგილ კი ისე ვიწროვდება, რომ მისი კალთები უშუალოდ მდინარის კალაპოტის კიდეებს ერწყმიან. ხეობის ასეთი სურათი ტიპურად გამოხატულია ზემო წელში, სათავიდან დაახლოებით 14 კილომეტრის სიგრძეზე, სადაც მდინარე წყალგამყოფების თხემებიდან 400-500 მეტრის სიღრმეზე არის ჩაჭრილი და გაძლიერებულ სიღრმით ეროზიას აწარმოებს. აქ ხეობის კალთებს ამოზნექილი პროფილი აქვთ, ხოლო განივი პროფილი V-ს ფორმისაა. მეტად მიუდგომელ ხასიათს ატარებს ხეობის ის მონაკვეთი, რომელიც რაჭის ქედის პარალელურად გაწოლილ ქედის გაკვეთის ადგილზეა განვითარებული. აქ ხეობა ხასიათდება ციცაბოდ აღმართული კლდოვანი კალთებით; ვიწრო, ღრმა და ძნელად გასავლელია. სოფელ ზემო ყვიჩორის ქვემოთ ჯრუჭულა გამოდის საშუალო სიმაღლის მთების ზონაში. აუზი რელიეფის ამ ნაწილში შედარებით ნაზი ფორმებით ხასიათდება. სოფელ ცხომარეთთან მისი ხეობა V-ს ფორმისაა. ხეობის სიგანე მდინარის ზემო და შუა წელში მერყეობს 700 მ-დან 1.8 კმ-მდე, ხოლო ქვემო წელში შეადგენს დაახლოებით 1000 მეტრს 200 მეტრი სიმაღლის ფერდობებით. ხეობის ვიწრო ფსკერი 25 მეტრს აღწევს და ფერდობები ხშირად მდინარის ნაპირის როლს ასრულებენ (ზემო წელში). ქვემო დინებისაკენ ხეობის ფსკერი თანდათან ფართოვდება 200 მეტრამდე, ხოლო შესართავისაკენ ისევ მცირდება 120 მეტრამდე. აუზის ძირითად ქანებზე კომპლექსურად განვითარებულია მთა-მდელოს, ნეშომპალა-კარბონატული და ეწერი ნიადაგები. მდინარის აუზი დაფარულია ხშირი ფოთლოვანი ტყით, სადაც ძირითადად გვხვდება მუხა, წიფელი და რცხილა. ხეობის ძირისაკენ ტყე მეჩხერდება და თანდათან გადადის ბუჩქნარში. მდინარეს წყალუხვობა ახასიათებს გაზაფხულზე. წყალდიდობა იწყება მარტში წყლის დონის სწრაფი მატებით, რაც გამოწვეულია წვიმებით. მაქსიმალურ დონეს მდინარე აღწევს მაისში და კლება გრძელდება ივნისის ბოლომდე, თუმცა დამახასიათებელია ხანმოკლე წვიმების პიკებით. გაზაფხულის წყალდიდობის შემდეგ ივლისიდან იწყება წყალმცირობის პერიოდი, რომელსაც არღვევს წვიმის წყალმოვარდნები. ეს წყალმოვარდნები დონის მაღალი ნიშნულებით ზოგჯერ აჭარბებენ გაზაფხულის წყალდიდობის ნიშნულებს. შემოდგომით ხშირია წვიმის წყალმოვარდნები ვიდრე ზაფხულში. იანვრიდან თებერვლის ბოლომდე დგება წყალმცირობის პერიოდი, რომელიც გრძელდება გაზაფხულის წყალდიდობამდე. მდინარეს გააჩნია შერეული საზრდოობა: მიწისქვეშა, წვიმისა და თოვლის ნადნობი წყლები.

### საშუალო წლიური ხარჯები

მდინარე ჯრუჭულა ჰიდროლოგიური თვალსაზრისით არ არის შესწავლილი. ამიტომ მისი საშუალო წლიური ხარჯების სიდიდეები საპროექტო უბნისათვის დადგენილია მეთოდით, რომელიც მოცემულია მონოგრაფიაში “საქართველოს წყლის ბალანსი”. აღნიშნული მეთოდის თანახმად საკვლევი მდინარის აუზის მდებარეობის რაიონისთვის აგებული აუზის საშუალო სიმაღლეებისა და ჩამონადენის ფენის სიმაღლეებს შორის დამოკიდებულების მრუდიდან განისაზღვრება საკვლევი მდინარის აუზის საშუალო სიმაღლის შესაბამისი ჩამონადენის მოდული, რაც შეადგენს 33 ლ/წმ კმ<sup>2</sup>. საშუალო მრავალწლიური ხარჯი განისაზღვრება დამოკიდებულებით:

$$Q_0 = \frac{F \cdot M}{1000} \text{ მ}^3/\text{წმ}$$

მოყვანილი გამოსახულების შესაბამისად, მდინარე ჯრუჭულას საშუალო მრავალწლიური ხარჯი საპროექტო კვეთში (151 კმ<sup>2</sup>) ტოლი იქნება 4.98 მ<sup>3</sup>/წმ-ის.

### მაქსიმალური ხარჯები

საპროექტო კვეთში წყლის მაქსიმალური ხარჯების გაანგარიშებისათვის გამოყენებულია მეთოდი, რომელიც მოცემულია „კავკასიის პირობებში მდინარეთა მაქსიმალური ჩამონადენის საანგარიშო ტექნიკურ მითითებაში“. აღნიშნული მეთოდით მიღებული შედეგები აპრობირებულია და ფართოდ გამოიყენება ჰიდროლოგიური გაანგარიშების პრაქტიკაში. ამასთან აღნიშნულ მეთოდში გათვალისწინებულია მაქსიმალური ხარჯების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები. აღნიშნული მეთოდის თანახმად, კავკასიის პირობებში წყლის მაქსიმალური ხარჯების სიდიდეები იმ მდინარეებზე და ხეობებზე, რომელთა წყალშემკრები აუზის ფართობი არ აღემატება 400 კმ<sup>2</sup>-ს, იანგარიშება ფორმულით, რომელსაც შემდეგი სახე გააჩნია:

$$Q = R \cdot \left[ \frac{F^{2/3} \cdot K^{1.35} \cdot \tau^{0.38} \cdot i^{-0.125}}{(L + 10)^{0.44}} \right] \cdot \Pi \cdot \lambda \cdot \delta \text{ მ}^3/\text{წმ}$$

*R* - რაიონული პარამეტრია და მისი მნიშვნელობა აიღება სპეციალური ცხრილიდან;

*F* - წყალშემკრები აუზის ფართობია საპროექტო კვეთში კმ<sup>2</sup>-ში;

*K* - რაიონის კლიმატური კოეფიციენტი, რომლის მნიშვნელობა აიღება სპეციალური რუკიდან;

*i* - მდინარის ქანობა ერთეულებში სათავიდან საპროექტო კვეთამდე;

*L* - მდინარის სიგრძე სათავიდან საპროექტო კვეთამდე კმ-ში;

$\Pi$  - მდინარის აუზში არსებული ნიადაგის საფარველის მახასიათებელი კოეფიციენტი, მისი მნიშვნელობა აიღება სპეციალური რუკიდან და შესაბამისი ცხრილიდან.

$\lambda$  - აუზის ტყიანობის კოეფიციენტი, რომლის სიდიდე იანგარიშება გამოსახულებით:

$$\lambda = \frac{1}{1 + 0.2 \cdot \frac{F_t}{F}}$$

აქ, *F<sub>t</sub>* - აუზის ტყით დაფარული ფართობია %-ში;  $\delta$  - აუზის ფორმის კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა მიიღება გამოსახულებით:

$$\delta = 0.25 \cdot \frac{B_{\text{მკბ.}}}{B_{\text{საშ.}}} + 0.75$$

სადაც  $B_{\text{მ.ქს.}}$  -

აუზის მაქსიმალური სიგანეა კმ-ში;  $B_{\text{ს.შ.}}$  - აუზის საშუალო სიგანეა კმ-ში. მისი მნიშვნელობა მიიღება დამოკიდებულებით  $B_{\text{ს.შ.}} = \frac{L}{F}$

$= F$ .

მოყვანილი მონაცემებით წყლის მაქსიმალური ხარჯისათვის  $\tau = 100$  წლიანი განმეორებადობის პერიოდისათვის (1%-იანი უზრუნველყოფა) მიღებულია შემდეგი სიდიდეები:

მდინარე	$R$	$F$	$K$	$\bar{i}$	$L$	$\Pi$	$\lambda$	$\delta$	$Q_{1\%}$
ჯრუჭულა	1.35	151	5	0.052	26.1	1	0.86	1.68	398

### მაქსიმალური დონეები

მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი დონეების ნიშნულების დასადგენად საპროექტო უბანზე გაზომილ იქნა განივი კვეთი, რომლის საფუძველზე დადგენილი იქნა ჰიდრაულიკური ელემენტები. აღნიშნული ჰიდრაულიკური ელემენტებით მიღებულ იქნა კალაპოტში წყლის სიღრმეები წყლის სხვადასხვა ხარჯისათვის. ხარჯის გამოსათვლელად გამოიყენება ფორმულა  $Q = \omega v$ , სადაც  $\omega$  - განიკვეთის ფართობი მ<sup>2</sup>-ში,  $v$  - სიჩქარე მ/წმ-ში. კვეთში ნაკადის საშუალო სიჩქარე გამოანგარიშებულია შეზის ფორმულის საშუალებით, რომელსაც შემდეგი სახე გააჩნია  $V = C R i$ , სადაც  $C$  - შეზის კოეფიციენტი და დამოკიდებულია მქისეობის კოეფიციენტზე, რომელიც აიღება სპეციალური ცხრილიდან,  $R$  - ჰიდრაულიკური რადიუსია, რომელიც ტოლია განიკვეთის ფართობის ფარდობისა სველ პერიმეტრთან,  $i$  - ქანობია. გამოთვლები მოცემულია ცხრილში.

მდინარე	წყლის მაქს. დონე კალაპოტში $\vartheta$	ნაკადის სიგანე	კვეთის ფართობი	სველი პერიმეტრი	ჰიდრაულიკური რადიუსი	შეზის კოეფიციენტი	საშუალო სიჩქარე	წყლის ხარჯი
	$H$	$B$	$\omega$	$P$	$R$	$C$	$v$	$Q$
ჯრუჭულა	0.50	14	3.64	14.1	0.26	6.31	0.84	3.07
	1.80	29	28.5	29.6	0.96	12.3	3.17	90.3
	2.10	85	70.4	85.9	0.82	14.2	3.38	238
	2.40	104	102	105	0.97	15.2	3.90	398

### კალაპოტის მდგრადობის შეფასება

მდინარე ჯრუჭულა კალაპოტური პროცესების თვალსაზრისით არ არის შესწავლილი. ამიტომ, თავდაპირველად დადგენილ იქნა კალაპოტის მდგრადობის მაჩვენებელი, რომელიც განისაზღვრება ფორმულით:

$$M = \frac{H(g \cdot B)^{0.25}}{Q_{P\%}^{0.5}}$$

სადაც,  $M$  - კალაპოტის ფორმის ლოკალური მახასიათებელია, მისი სიდიდე სტაბილური კალაპოტის პირობებში ტოლია 1.3-ის. 1.3-ზე დაბალი მნიშვნელობისას კალაპოტს ახასიათებს

სიღრმითი ეროზია, ხოლო 1.3-ზე მაღალი მნიშვნელობისას კალაპოტებში ხდება მყარი მასალის აკუმულაცია.

$B$  - მდგრადი კალაპოტის სიგანეა მეტრებში წყლის საანგარიშო ხარჯის გავლისას. მისი სიდიდე იანგარიშება გამოსახულებით:

$$B = 0.7 \cdot Q_{P\%}^{0.56} \cdot I_{\text{კალ}}^{-0.25}$$

აქ  $Q_{P\%}$  - საანგარიშო უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯია მ<sup>3</sup>/წმ-ში;

$i_{\text{კალ}}$  - კალაპოტის საშუალო ქანობი ერთეულ ნაწილებში საპროექტო უბანზე;

$H$  - ნაკადის მდგრადი სიღრმეა კალაპოტში წყლის საანგარიშო ხარჯის გავლისას და იანგარიშება ფორმულით:

$$H = 0.186 \cdot Q_{P\%}^{0.7} \cdot B^{-0.7} \cdot i_{\text{კალ}} \exp\left[\frac{-(0.36 + 2i)}{1.43}\right]$$

$g$  - სიმძიმის ძალის აჩქარებაა,  $g = 9.81$  მ/წმ<sup>2</sup>.

შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობების შეტანით ზემოთ მოყვანილ ფორმულებში მიღებულია მდინარე ჯრუჭულას კალაპოტის მდგრადობის შესაფასებლად საჭირო მაჩვენებლების რიცხვითი სიდიდეები საპროექტო კვეთში, რაც მოცემულია ცხრილში.

$i_{\text{კალ}}$	$Q$	$H$	$B$	$M$
0.069	398	2.44	37.3	0.53

როგორც ცხრილიდან ჩანს, საკვლევი მდინარის კალაპოტის ფორმის ლოკალური მახასიათებელი ნაკლებია 1.3-ზე, რაც მიუთითებს კალაპოტის არასტაბილურობაზე და მის მოსალოდნელ იღრმით ეროზიაზე.

### კალაპოტის ზოგადი გარეცხვის სიღრმეები

კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მოსალოდნელი სიღრმე დადგენილია მეთოდით, რომელიც მოცემულია „მთის მდინარეების ალუვიურ კალაპოტებში

ჰიდროტექნიკური ნაგებობების პროექტირებისას მდგრადი კალაპოტის კალაპოტის საანგარიშო მეთოდურ მითითებებში“. აღნიშნული მეთოდის მიხედვით, კალაპოტის გარეცხვის საშუალო სიღრმე იანგარიშება ფორმულით:

$$H_{\text{საშ}} = \frac{K}{i^{0.03}} \cdot \left(\frac{Q_{P\%}}{\sqrt{g}}\right)^{0.4}$$

სადაც  $K$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს წყლის ხარჯისა და მასში

შეწონილი მყარი ნატანის არაერთგვაროვნებას. მისი სიდიდე დამოკიდებულია წყალში შეტივტივებული მყარი მასალის რაოდენობაზე

$$\left(\mu = 7000 \cdot \left(\frac{H}{d_{\text{დაწ}}}\right)^{0.7} \cdot i^{2.2}\right)$$

ნაკადის საშუალო სიღრმისა და კალაპოტის მომკირწყლავი ნატანის საშუალო დიამეტრის ფარდობაზე  $(H/d_{\text{მომკ}})$  და აიღება სპეციალური ცხრილიდან.

ვინაიდან  $d_{\text{მომკ}}$  და  $d \approx 1.8 \cdot d$ , ხოლო  $d_{\text{დაწ}}$  - მდინარის კალაპოტის ფსკერზე დალექილი მყარი მასალის საშუალო დიამეტრია. მისი სიდიდე განისაზღვრება ფორმულით:

$$d_{\text{დაბ}} = K_0 \cdot i^{0.9} \cdot \left( \frac{Q_{10\%}}{\sqrt{g}} \right)^{0.4}$$

აქ,  $K_0$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს წყლის ხარჯისა და მასში შეწონილი მყარი მასალის არაერთგვაროვნებას. მისი სიდიდე დამოკიდებულია წყალში შეტივტივებული მყარი მასალის რაოდენობაზე ( $\mu_0$ ), აიღება შესაბამისი ცხრილიდან და ჩვენ შემთხვევაში ტოლია 1.6-ის;  $i$  - ნაკადის ჰიდრავლიკური ქანობია საპროექტო უბანზე, რაც ჩვენ შემთხვევაში ტოლია 0.069-ის;  $Q_{10\%}$  - 10%-იანი უზრუნველყოფის წლის მაქსიმალური ხარჯია, რაც ტოლია 166 მ<sup>3</sup>/წმ-ის;  $g$  - ორივე ფორმულაში სიმძიმის ძალის აჩქარებაა. წყალში შეტივტივებული მყარი მასალის რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი გამოსახულებით: აუზ  $\mu_0 = \alpha \cdot i$  და ტოლია 0.74-ის;  $\alpha$  - მდინარის აუზის ეროზიულობის კოეფიციენტი. მისი მნიშვნელობა აიღება სპეციალურად დამუშავებული რუკიდან და მდინარე ჯრუჭულასათვის ტოლია 1.25-ის; აუზ  $i$  - მდინარის წყალშემკრები აუზის ქანობია, რომლის მნიშვნელობა ტოლია 0.35-ის.

ზემოთ მოყვანილი გამოსახულებიდან დას  $d = 0.71$  მ-ს,  $d_{\text{მოშკ}} = 1.28$  მ-ს და  $\mu = 25$  გრ/ლ-ს, ხოლო ფარდობა  $\frac{d}{H} = 0.77 \leq \frac{1.28}{0.98} = 1.28$  მოშკ  $d/H$  3-ზე და რასაც შესაბამისი ცხრილიდან  $K = 0.43$ ; მოცემული რიცხვითი სიდიდეების შეტანით ზემოთ მოყვანილ ფორმულაში მიიღება მდინარე ჯრუჭულასათვის კალაპოტის ზოგადი გარეცხვის საშუალო სიღრმე 3.25 მ-ის ტოლი. კალაპოტის გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე მიიღება დამოკიდებულებით მაქს  $H = 1.6$  სმ  $\cdot H$ . მოყვანილი გამოსახულების შესაბამისად, კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე ტოლია 5.20 მ-ის. კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე ( $=$  მაქს  $H$  5.20 მ) უნდა გადაიზომოს მდინარე ჯრუჭულას 100 წლიანი განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯის შესაბამისი დონის ნიშნულიდან ქვემოთ ან მდინარის კალაპოტის უმცირესი ნიშნულიდან ქვემოთ 5.20-2.40=2.80 მ.

### მდინარე მოხვურას აუზის მოკლე ჰიდროგრაფიული დახასიათება

მდინარე მოხვურა იწყება რაჭის ქედზე ველტყევის მთის სამხრეთ კალთებზე. ჯრუჭულას, ფასკნარას შესართავიდან 3 კილომეტრის დაშორებით ერთვის. მდინარის სიგრძე 9.1 კმ-ია, წყალშემკრები აუზის ფართობი 25 კმ<sup>2</sup>, აუზის საშუალო სიმაღლე 1300 მეტრი. სათავეში იგი კვეთს ურგონულ კირქვებს, ხოლო სოფელ მოხვამდე ბაიოსის პორფირიტულ წყებებში ვიწროს ჩაჭრილ ხეობაში მოედინება; მდინარის ვიწრობი V- ს ფორმისაა. სოფელ მოხვას მიდამოებში ფართოვდება, რაც კირქვების გამოსავლებთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამ მონაკვეთზე მდინარის ხეობაში გამოედინებიან კარსტული წყაროები. თავისი კარგად განვითარებული ქსელით მდინარე მოხვურა ღრმად სერავს წყალგამყოფების ფერდობებს. ხეობის ერთფეროვნებას არღვევს სოფელ მოხვის მიდამოებში განვითარებული მეწყრული რელიეფი და სოფლის სათიბების რაიონში არსებული მცირე ზომის და ჯგუფ-ჯგუფად განლაგებული კარსტული ძაბრები. აუზის ძირითად ქანებზე კომპლექსურად განვითარებულია მთა-მდელოს, ნეშომპალა-კარბონატული და ეწერი ნიადაგები. მდინარის აუზი დაფარულია ხშირი ფოთლოვანი ტყით, სადაც ძირითადად გვხვდება მუხა, წიფელი და რცხილა. ხეობის ძირისაკენ ტყე მეჩხერდება და თანდათან გადადის ბუჩქნარში. მდინარეს წყალუხვობა ახასიათებს გაზაფხულზე. წყალდიდობა იწყება მარტში წყლის დონის სწრაფი მატებით, რაც გამოწვეულია წვიმებით. მაქსიმალურ დონეს მდინარე აღწევს მაისში და კლება გრძელდება ივნისის ბოლომდე, თუმცა დამახასიათებელია ხანმოკლე წვიმების პიკებით. გაზაფხულის წყალდიდობის შემდეგ ივლისიდან იწყება წყალმცირობის პერიოდი, რომელსაც არღვევს წვიმის წყალმოვარდნები. ეს წყალმოვარდნები დონის მაღალი ნიშნულებით ზოგჯერ აჭარბებენ გაზაფხულის წყალდიდობის ნიშნულებს. შემოდგომით ხშირია წვიმის წყალმოვარდნები ვიდრე ზაფხულში. იანვრიდან თებერვლის ბოლომდე დგება წყალმცირობის პერიოდი, რომელიც გრძელდება გაზაფხულის წყალდიდობამდე. მდინარეს გააჩნია შერეული საზრდობა: მიწისქვეშა, წვიმისა და თოვლის ნადნობი წყლები. საშუალო წლიური ხარჯები

მდინარე მოხვურა ჰიდროლოგიური თვალსაზრისით არ არის შესწავლილი. ამიტომ მისი საშუალო წლიური ხარჯების სიდიდეები საპროექტო უბნისათვის დადგენილია მეთოდით, რომელიც მოცემულია მონოგრაფიაში “საქართველოს წყლის ბალანსი”. აღნიშნული მეთოდის თანახმად საკვლევი მდინარის აუზის მდებარეობის რაიონისთვის აგებული აუზის საშუალო სიმაღლეებისა და ჩამონადენის ფენის სიმაღლეებს შორის დამოკიდებულების მრუდიდან განისაზღვრება საკვლევი მდინარის აუზის საშუალო სიმაღლის შესაბამისი ჩამონადენის მოდული, რაც შეადგენს 31 ლ/წმ კმ<sup>2</sup>. საშუალო მრავალწლიური ხარჯი განისაზღვრება დამოკიდებულებით:

$$Q_0 = \frac{F \cdot M}{1000} \text{ მ}^3/\text{წმ}$$

მოყვანილი გამოსახულების შესაბამისად, მდინარე მოხვურას საშუალო მრავალწლიური ხარჯი საპროექტო კვეთში (23.8 კმ<sup>2</sup>) ტოლი იქნება 0.74 მ<sup>3</sup>/წმ-ის. მაქსიმალური ხარჯები საპროექტო კვეთში წყლის მაქსიმალური ხარჯების გაანგარიშებისათვის გამოყენებულია მეთოდი, რომელიც მოცემულია „კავკასიის პირობებში მდინარეთა მაქსიმალური ჩამონადენის საანგარიშო ტექნიკურ მითითებაში“. აღნიშნული მეთოდით მიღებული შედეგები აპრობირებულია და ფართოდ გამოიყენება ჰიდროლოგიური გაანგარიშების პრაქტიკაში. ამასთან აღნიშნულ მეთოდში გათვალისწინებულია მაქსიმალური ხარჯების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები. აღნიშნული მეთოდის თანახმად, კავკასიის პირობებში წყლის მაქსიმალური ხარჯების სიდიდეები იმ მდინარეებზე და ხევეებზე, რომელთა წყალშემკრები აუზის ფართობი არ აღემატება 400 კმ<sup>2</sup>-ს, იანგარიშება ფორმულით, რომელსაც შემდეგი სახე გააჩნია:

$$Q = R \cdot \left[ \frac{F^{2/3} \cdot K^{1.35} \cdot \tau^{0.38} \cdot i^{0.125}}{(L + 10)^{0.44}} \right] \cdot \Pi \cdot \lambda \cdot \delta \text{ მ}^3/\text{წმ}$$

$R$  - რაიონული პარამეტრია და მისი მნიშვნელობა აიღება სპეციალური ცხრილიდან;

$F$  - წყალშემკრები აუზის ფართობია საპროექტო კვეთში კმ<sup>2</sup>-ში;

$K$  - რაიონის კლიმატური კოეფიციენტი, რომლის მნიშვნელობა აიღება სპეციალური რუკიდან;

$i$  - მდინარის ქანობა ერთეულებში სათავიდან საპროექტო კვეთამდე;

$L$  - მდინარის სიგრძეა სათავიდან საპროექტო კვეთამდე კმ-ში;

$\Pi$  - მდინარის აუზში არსებული ნიადაგის საფარველის მახასიათებელი კოეფიციენტი, მისი მნიშვნელობა აიღება სპეციალური რუკიდან და შესაბამისი ცხრილიდან.

$\lambda$  - აუზის ტყიანობის კოეფიციენტი, რომლის სიდიდე იანგარიშება გამოსახულებით:

$$\lambda = \frac{1}{1 + 0.2 \cdot \frac{F_t}{F}}$$

აქ,  $F_t$  - აუზის ტყით დაფარული ფართობია %-ში;  $\delta$  - აუზის ფორმის კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა მიიღება გამოსახულებით:

$$\delta = 0.25 \cdot \frac{B_{\text{მაქს.}}}{B_{\text{საშ.}}} + 0.75$$

სადაც  $B_{\text{მაქს.}}$  - აუზის მაქსიმალური სიგანეა კმ-ში;  $B_{\text{საშ.}}$  - აუზის საშუალო სიგანეა კმ-ში. მისი მნიშვნელობა მიიღება დამოკიდებულებით  $LB = F_{\text{საშ.}}$ .

მოყვანილი მონაცემებით წყლის მაქსიმალური ხარჯისათვის  $\tau = 100$  წლიანი

განმეორებადობის პერიოდისათვის (1%-იანი უზრუნველყოფა) მიღებულია შემდეგი სიდიდეები:

მდინარე	<i>R</i>	<i>F</i>	<i>K</i>	$\bar{i}$	<i>L</i>	$\Pi$	$\lambda$	$\delta$	$Q_{1\%}$
მოხვეურა	1.35	23.8	5	0.076	9.0	1	0.85	1.05	100

### მაქსიმალური დონეები

მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი დონეების ნიშნულების დასადგენად საპროექტო უბანზე გაზომილ იქნა განივი კვეთი, რომლის საფუძველზე დადგენილი იქნა ჰიდრავლიკური ელემენტები. აღნიშნული ჰიდრავლიკური ელემენტებით მიღებულ იქნა კალაპოტში წყლის სიღრმეები წყლის სხვადასხვა ხარჯისათვის. ხარჯის გამოსათვლელად გამოიყენება ფორმულა  $Q = \omega v$ , სადაც  $\omega$  - განიკვეთის ფართობი მ<sup>2</sup>-ში,  $v$  - სიჩქარე მ/წმ-ში. კვეთში ნაკადის საშუალო სიჩქარე გამოანგარიშებულია შეზის ფორმულის საშუალებით, რომელსაც შემდეგი სახე გააჩნია  $V = C Ri$ , სადაც  $C$  - შეზის კოეფიციენტი და დამოკიდებულია მქისეობის კოეფიციენტზე, რომელიც აიღება სპეციალური ცხრილიდან,  $R$  - ჰიდრავლიკური რადიუსია, რომელიც ტოლია განიკვეთის ფართობის ფარდობისა სველ პერიმეტრთან,  $i$  - ქანობია. გამოთვლები მოცემულია ცხრილში.

წყლის მაქს. დონე კალაპოტში მ	ნაკადის სიგანე	კვეთის ფართობი	სველი პერიმეტრი	ჰიდრავლიკური რადიუსი	შეზის კოეფიციენტი	საშუალო სიჩქარე	წყლის ხარჯი
<i>H</i>	<i>B</i>	$\omega$	<i>P</i>	<i>R</i>	<i>C</i>	<i>v</i>	<i>Q</i>
0.40	6	1.45	6.1	0.24	6.04	0.94	1.37
1.40	25	15.8	25.4	0.62	10.0	2.52	39.8
1.75	30	27.8	30.8	0.90	11.9	3.60	100

### კალაპოტის მდგრადობის შეფასება

მდინარე მოხვეურა კალაპოტური პროცესების თვალსაზრისით არ არის შესწავლილი. ამიტომ, თავდაპირველად დადგენილ იქნა კალაპოტის მდგრადობის მაჩვენებელი, რომელიც განისაზღვრება ფორმულით:

$$M = \frac{H(g \cdot B)^{0.25}}{Q_{P\%}^{0.5}}$$

სადაც,  $M$  - კალაპოტის ფორმის ლოკალური მახასიათებელია, მისი სიდიდე სტაბილური კალაპოტის პირობებში ტოლია 1.3-ის. 1.3-ზე დაბალი მნიშვნელობისას კალაპოტს ახასიათებს სიღრმითი ეროზია, ხოლო 1.3-ზე მაღალი მნიშვნელობისას კალაპოტებში ხდება მყარი მასალის აკუმულაცია.

$B$  - მდგრადი კალაპოტის სიგანეა მეტრებში წყლის საანგარიშო ხარჯის გავლისას. მისი სიდიდე იანგარიშება გამოსახულებით:

$$B = 0.7 \cdot Q_{P\%}^{0.56} \cdot I_{კალ}^{-0.25}$$

აქ  $Q_{P\%}$  - საანგარიშო უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯია მ<sup>3</sup>/წმ-ში;

$I_{კალ}$  - კალაპოტის საშუალო ქანობი ერთეულ ნაწილებში საპროექტო უბანზე;

$H$  - ნაკადის მდგრადი სიღრმეა კალაპოტში წყლის საანგარიშო ხარჯის გავლისას და



იანგარიშება ფორმულით:

$$H = 0.186 \cdot Q_{p\%}^{0.7} \cdot B^{-0.7} \cdot i_{კალ} \exp\left[\frac{-(0.36 + 2i)}{1.43}\right]$$

$g$  - სიმძიმის ძალის აჩქარებაა,  $g = 9.81$  მ/წმ<sup>2</sup>.

შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობების შეტანით ზემოთ მოყვანილ ფორმულაში მიღებულია მდინარე მოხვურას კალპოტის მდგრადობის შესაფასებლად საჭირო მაჩვენებლების რიცხვითი სიდიდეები საპროექტო კვეთში, რაც მოცემულია ცხრილში.

$i_{კალ}$	$Q$	$H$	$B$	$M$
0.102	100	1.63	16.3	0.58

როგორც ცხრილიდან ჩანს, საკვლევი მდინარის კალპოტის ფორმის ლოკალური მახასიათებელი ნაკლებია 1.3-ზე, რაც მიუთითებს კალპოტის არასტაბილურობაზე და მის მოსალოდნელ სიღრმით ეროზიაზე.

### კალპოტის გარეცხვის სიღრმეები

კალპოტის ზოგადი გარეცხვის მოსალოდნელი სიღრმე დადგენილია მეთოდით, რომელიც მოცემულია „მთის მდინარეების ალუვიურ კალპოტებში ჰიდროტექნიკური ნაგებობების პროექტირებისას მდგრადი კალპოტის კალპოტის საანგარიშო მეთოდურ მითითებებში“. აღნიშნული მეთოდის მიხედვით, კალპოტის გარეცხვის საშუალო სიღრმე იანგარიშება ფორმულით:

სადაც  $K$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს წყლის ხარჯისა და მასში შეწონილი მყარი ნატანის არაერთგვაროვნებას. მისი სიდიდე დამოკიდებულია წყალში შეტივტივებული მყარი მასალის რაოდენობაზე

$$H_{საშ} = \frac{K}{i^{0.03}} \cdot \left(\frac{Q_{p\%}}{\sqrt{g}}\right)^{0.4}$$

ნაკადის საშუალო სიღრმისა და კალპოტის მომკირწყლავი ნატანის საშუალო

დიამეტრის ფარდობაზე  $\left(\frac{H}{d}\right)_{მომკ}$  და აიღება სპეციალური ცხრილიდან.

ვინაიდან  $\left(\frac{H}{d}\right)_{მომკ}$  და  $d \approx 1.8 \cdot d$ , ხოლო და  $d$  - მდინარის კალპოტის ფსკერზე დალექილი მყარი მასალის საშუალო დიამეტრია. მისი სიდიდე განისაზღვრება ფორმულით:

$$d_{დან} = K_0 \cdot i^{0.9} \cdot \left(\frac{Q_{10\%}}{\sqrt{g}}\right)^{0.4}$$

აქ,  $K_0$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს წყლის ხარჯისა და მასში შეწონილი მყარი მასალის არაერთგვაროვნებას. მისი სიდიდე დამოკიდებულია წყალში შეტივტივებული მყარი მასალის რაოდენობაზე ( $\mu_0$ ), აიღება შესაბამისი ცხრილიდან და ჩვენ შემთხვევაში ტოლია 1.6-ის;  $i$  - ნაკადის ჰიდრაულიკური ქანობია საპროექტო უბანზე, რაც ჩვენ შემთხვევაში ტოლია 0.102-ის;  $Q_{10\%}$  - 10%-იანი უზრუნველყოფის წლის მაქსიმალური ხარჯია, რაც ტოლია 42 მ<sup>3</sup>/წმ-ის;  $g$  - ორივე ფორმულაში სიმძიმის ძალის აჩქარებაა. წყალში შეტივტივებული მყარი მასალის რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი გამოსახულებით: აქ  $\mu_0 = \alpha \cdot i$  და ტოლია 0.71-ის;  $\alpha$  - მდინარის აუზის ეროზიულობის კოეფიციენტი. მისი მნიშვნელობა აიღება სპეციალურად დამუშავებული რუკიდან და მდინარე მოხვურასათვის ტოლია 1.25-ის; აქ  $i$  - მდინარის წყალშემკრები აუზის ქანობია, რომლის მნიშვნელობა ტოლია 0.32-ის. ზემოთ მოყვანილი გამოსახულებიდან და  $d = 0.58$  მ-ს,  $d_{მომკ} = 1.04$  მ-ს და  $\mu = 67$  გრ/ლ-ს, ხოლო ფარდობა  $H/3$ -ზე და რასაც შესაბამისი ცხრილიდან

$K = 0.43$ ; მოცემული რიცხვითი სიდიდეების შეტანით ზემოთ მოყვანილ ფორმულაში მიიღება მდინარე მოხვურასათვის კალაპოტის ზოგადი გარეცხვის საშუალო სიღრმე 1.84 მ-ის ტოლი. კალაპოტის გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე მიიღება დამოკიდებულებით  $m_{\text{კალ}} H = 1.6 \text{ ს.შ.} \cdot H$ . მოყვანილი გამოსახულების შესაბამისად, კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე ტოლია 2.94 მ-ის. კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე ( $= m_{\text{კალ}} H$  2.94 მ) უნდა გადაიზომოს მდინარე მოხვურას 100 წლიანი განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯის შესაბამისი დონის ნიშნულიდან ქვემოთ ან მდინარის კალაპოტის უმცირესი ნიშნულიდან ქვემოთ  $2.94 - 1.75 = 1.19$  მ.

**Mmdinare jruWulas mrudxazovani monakveTis maqsimaluri xarji**

საპროექტო კვეთში წყლის მაქსიმალური ხარჯების გაანგარიშებისათვის გამოყენებულია მეთოდი, რომელიც მოცემულია „კავკასიის პირობებში მდინარეთა მაქსიმალური ჩამონადენის საანგარიშო ტექნიკურ მითითებაში“. აღნიშნული მეთოდით მიღებული შედეგები აპრობირებულია და ფართოდ გამოიყენება ჰიდროლოგიური გაანგარიშების პრაქტიკაში. ამასთან აღნიშნულ მეთოდში გათვალისწინებულია მაქსიმალური ხარჯების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები. აღნიშნული მეთოდის თანახმად, კავკასიის პირობებში წყლის მაქსიმალური ხარჯების სიდიდეები იმ მდინარეებზე და ხევებზე, რომელთა წყალშემკრები აუზის ფართობი არ აღემატება 400 კმ<sup>2</sup>-ს, იანგარიშება ფორმულით, რომელსაც შემდეგი სახე გააჩნია:

$$Q = R \cdot \left[ \frac{F^{2/3} \cdot K^{1.35} \cdot \tau^{0.38} \cdot i^{-0.125}}{(L + 10)^{0.44}} \right] \cdot \Pi \cdot \lambda \cdot \delta \text{ მ}^3/\text{წმ}$$

$R$  - რაიონული პარამეტრია და მისი მნიშვნელობა აიღება სპეციალური ცხრილიდან;

$F$  - წყალშემკრები აუზის ფართობია საპროექტო კვეთში კმ<sup>2</sup>-ში;

$K$  - რაიონის კლიმატური კოეფიციენტი, რომლის მნიშვნელობა აიღება სპეციალური რუკიდან;

$i$  - მდინარის ქანობია ერთეულებში სათავიდან საპროექტო კვეთამდე;

$L$  - მდინარის სიგრძეა სათავიდან საპროექტო კვეთამდე კმ-ში;

$\Pi$  - მდინარის აუზში არსებული ნიადაგის საფარველის მახასიათებელი კოეფიციენტი, მისი მნიშვნელობა აიღება სპეციალური რუკიდან და შესაბამისი ცხრილიდან.

$\lambda$  - აუზის ტყიანობის კოეფიციენტი, რომლის სიდიდე იანგარიშება გამოსახულებით:

$$\lambda = \frac{1}{1 + 0.2 \cdot \frac{F_t}{F}}$$

აქ,  $F_t$  - აუზის ტყით დაფარული ფართობია %-ში;  $\delta$  - აუზის ფორმის კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა მიიღება გამოსახულებით:  $= 0.25 \cdot + 0.75$

აუზის მაქსიმალური სიგანეა კმ-ში; ს.შ.  $B$  - აუზის საშუალო სიგანეა კმ-ში. მისი მნიშვნელობა მიიღება დამოკიდებულებით

$$L$$

$$B = F \text{ ს.შ.}$$

მოყვანილი მონაცემებით წყლის მაქსიმალური ხარჯისათვის  $\tau = 100$  წლიანი განმეორებადობის პერიოდისათვის (1%-იანი უზრუნველყოფა) მიღებულია შემდეგი სიდიდეები:

მდინარე	$R$	$F$	$K$	$i$	$L$	$\Pi$	$\lambda$	$\delta$	$Q_{1\%}$
ჯრუჭულა	1.35	146	5	0.043	23.1	1	0.85	1.60	374

მაქსიმალური დონეები მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი დონეების ნიშნულების დასადგენად საპროექტო უბანზე გაზომილ იქნა განივი კვეთი, რომლის საფუძველზე დადგენილი იქნა ჰიდრავლიკური ელემენტები. აღნიშნული ჰიდრავლიკური ელემენტებით მიღებულ იქნა კალაპოტში წყლის სიღრმეები წყლის სხვადასხვა ხარჯისათვის. ხარჯის გამოსათვლელად გამოიყენება ფორმულა  $Q = \omega v$ , სადაც  $\omega$  - განიკვეთის ფართობი მ<sup>2</sup>-ში,  $v$  - სიჩქარე მ/წმ-ში. კვეთში ნაკადის საშუალო სიჩქარე გამოანგარიშებულია შეზის ფორმულის საშუალებით, რომელსაც შემდეგი სახე გააჩნია  $V = C Ri$ , სადაც  $C$  - შეზის კოეფიციენტი და დამოკიდებულია მქისეობის კოეფიციენტზე, რომელიც აიღება სპეციალური ცხრილიდან,  $R$  - ჰიდრავლიკური რადიუსია, რომელიც ტოლია განიკვეთის ფართობის ფარდობისა სველ პერიმეტრთან,  $i$  - ქანობა. გამოთვლები მოცემულია ცხრილში.

მდინარე	წყლის მაქს. დონე კალაპოტში $\theta$	ნაკადის სიგანე	კვეთის ფართობი	სველი პერიმეტრი	ჰიდრავლიკური რადიუსი	შეზის კოეფიციენტი	საშუალო სიჩქარე	წყლის ხარჯი
	$H$	$B$	$\omega$	$P$	$R$	$C$	$v$	$Q$
ჯრუჭულა	0.80	18.2	5.77	18.7	0.31	6.70	0.91	5.26
	1.30	36.0	20.3	36.8	0.55	9.30	1.69	34.2
	1.80	50.0	42.0	51.3	0.82	11.4	2.53	106
	2.80	90.4	90.7	92.6	0.98	12.4	3.00	272
	3.00	96.0	110	98.3	1.12	13.3	3.39	374

### კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე

კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მოსალოდნელი სიღრმე დადგენილია მეთოდით, რომელიც მოცემულია „მთის მდინარეების ალუვიურ კალაპოტებში ჰიდროტექნიკური ნაგებობების პროექტირებისას მდგრადი კალაპოტის კალაპოტის საანგარიშო მეთოდურ მითითებებში“. აღნიშნული მეთოდის მიხედვით, კალაპოტის მგარეცხვის საშუალო სიღრმე იანგარიშება ფორმულით:

$$H_{საშ} = \frac{K}{i^{0.03}} \cdot \left( \frac{Q_{p\%}}{\sqrt{g}} \right)^{0.4}$$

სადაც  $K$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს წყლის ხარჯისა და მასში შეწონილი მყარი ნატანის არაერთგვაროვნებას. მისი სიდიდე დამოკიდებულია წყალში შეტივტივებული მყარი მასალის რაოდენობაზე

$$\left( \mu = 7000 \cdot \left( \frac{H}{d_{\text{დან}}} \right)^{0.7} \cdot i^{2.2} \right)$$

ნაკადის საშუალო სიღრმისა და კალაპოტის მომკირწყლავი ნატანის საშუალო დიამეტრის ფარდობაზე  $\left( H/d_{\text{მომკ}} \right)$  და აიღება სპეციალური ცხრილიდან. ვინაიდან  $d_{\text{დან}} \approx 1.8 \cdot d$ , ხოლო  $d$  - მდინარის კალაპოტის ფსკერზე დაღეჩილი მყარი მასალის საშუალო დიამეტრია. მისი სიდიდე განისაზღვრება ფორმულით:

$$d_{\text{დან}} = K_0 \cdot i^{0.9} \cdot \left( \frac{Q_{10\%}}{\sqrt{g}} \right)^{0.4}$$

აქ,  $K_0$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს წყლის ხარჯისა და მასში შეწონილი მყარი მასალის არაერთგვაროვნებას. მისი სიდიდე დამოკიდებულია წყალში შეტივტივებული მყარი მასალის რაოდენობაზე ( $\mu_0$ ), აიღება შესაბამისი ცხრილიდან და ჩვენ შემთხვევაში ტოლია 1.6-ის;  $i$  - ნაკადის ჰიდრაულიკური ქანობია საპროექტო უბანზე, რაც ჩვენ შემთხვევაში ტოლია 0.069-ის;  $Q_{10\%}$  - 10%-იანი უზრუნველყოფის წლის მაქსიმალური ხარჯია, რაც ტოლია 156 მ<sup>3</sup>/წმ-ის;  $g$  - ორივე ფორმულაში სიმძიმის ძალის აჩქარებაა. წყალში შეტივტივებული მყარი მასალის რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი გამოსახულებით: აუზ  $\mu_0 = \alpha \cdot i$  და ტოლია 0.74-ის;  $\alpha$  - მდინარის აუზის ეროზიულობის კოეფიციენტი. მისი მნიშვნელობა აიღება სპეციალურად დამუშავებული რუკიდან და მდინარე ჯრუჭულასათვის ტოლია 1.25-ის; აუზ  $i$  - მდინარის წყალშემკრები აუზის ქანობია, რომლის მნიშვნელობა ტოლია 0.35-ის. ზემოთ მოყვანილი გამოსახულებიდან  $d_{\text{დან}} = 0.71$  მ-ს,  $d_{\text{მომკ}} = 1.28$  მ-ს და  $\mu = 25$  გრ/ლ-ს, ხოლო ფარდობა  $\mu = 0.77 \leq 1.28 \cdot 0.98$   $d_{\text{დან}} H^3$ -ზე და რასაც შესაბამისი ცხრილიდან  $K = 0.43$ ;

მოცემული რიცხვითი სიდიდეების შეტანით ზემოთ მოყვანილ ფორმულაში მიიღება მდინარე ჯრუჭულასათვის კალაპოტის ზოგადი გარეცხვის საშუალო სიღრმე 3.25 მ-ის ტოლი.

კალაპოტის გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე მიიღება დამოკიდებულებით  $R_{\text{მაქს}} = 1.6 \cdot H$ . მოყვანილი გამოსახულების შესაბამისად, კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე ტოლია 5.20 მ-ის. კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე ( $= R_{\text{მაქს}} = 5.20$  მ) უნდა გადაიზომოს მდინარე ჯრუჭულას 100 წლიანი განმეორებადობის წყლისმაქსიმალური ხარჯის შესაბამისი დონის ნიშნულიდან ქვემოთ ან მდინარის კალაპოტის უმცირესი ნიშნულიდან ქვემოთ 5.20-3.00=2.20 მ. კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე მრუდხაზოვან უბანზე მდინარე ჯრუჭულას მრუდხაზოვან უბანზე კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე იანგარიშება მეთოდით, რომელიც მოცემულია „მთის მდინარეების ალუვიურ კალაპოტებში ჰიდროტექნიკური ნაგებობების პროექტირებისას მდგრადი კალაპოტის კალაპოტის საანგარიშო მეთოდურ მითითებებში“. თავდაპირველად განისაზღვრება მდინარის მრუდხაზოვნების რადიუსი, რომელიც იანგარიშება ქვემოთ მოყვანილი ფორმულით

$$R = \frac{3}{i^{0.5}} \cdot \left( \frac{Q_{p\%}}{\sqrt{g}} \right)^{0.4}$$

აქ,  $Q_{p\%}$  - მდინარე ჯრუჭულას 10%-იანი უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯია, რომელიც ტოლია 156 მ<sup>3</sup>/წმ-ის;  $i$  - ნაკადის ჰიდრაულიკური ქანობია საპროექტო უბანზე, რაც ჩვენ შემთხვევაში ტოლია 0.069-ის;  $g$  - სიმძიმის ძალის აჩქარებაა. აქედან, კალაპოტის მოხვეულობის რადიუსი მიიღება 54.5 მეტრის ტოლი. კალაპოტის ზოგადი გარეცხვის საშუალო სიღრმე მრუდხაზოვან უბანზე იანგარიშება გამოსახულებით

$$H_m = H_s \cdot (1 + K \tau)$$

სადაც,  $H_s$  - კალაპოტის ზოგადი გარეცხვის საშუალო სიღრმეა სწორხაზოვან უბანზე, რაც ჩვენ შემთხვევაში ტოლია 3.25 მეტრის.  $K\tau$  - კოეფიციენტი, რომლის მნიშვნელობა განისაზღვრება სპეციალური ცხრილიდან კალაპოტის სიგანისა და მოხვეულობის რადიუსის ფარდობის შესაბამისად. ჩვენშემთხვევაში კალაპოტის სიგანისა და მოხვეულობის რადიუსის ფარდობა ტოლია 0.58-ის, რასაც შეესაბამება  $K\tau$  -ს მნიშვნელობა 0.65. მოცემული რიცხვითი მნიშვნელობების შეტანით მოყვანილ გამოსახულებაში, მიიღება კალაპოტის ზოგადი გარეცხვის საშუალო სიღრმე, რაც ტოლია 5.36 მეტრის. კალაპოტის გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე მრუდხაზოვან უბანზე მიიღება გამოსახულებით

$$H_{max} = \varepsilon \cdot H_m$$

სადაც,  $\varepsilon$  - კოეფიციენტი, რომლის მნიშვნელობა განისაზღვრება სპეციალური ცხრილიდან და დამოკიდებულია მოხვეული ნაპირების ბუნებრივი გამაგრების კოეფიციენტზე. ჩვენ შემთხვევაში ტოლია 1-1.5-ის, რასაც შეესაბამება  $\varepsilon = 1.8$  დადგენილი რიცხვითი მნიშვნელობების შეტანით მოცემულ გამოსახულებაში, მიიღება კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე მდინარე ჯრუჭულას მრუდხაზოვან უბანზე, რაც ტოლია 9.65 მეტრის. მრუდხაზოვან უბანზე კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე, უნდა გადაიზომოს მდინარე ჯრუჭულას 100 წლიანი განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯის შესაბამისი დონის ნიშნულიდან ქვემოთ ან მდინარის კალაპოტის უმცირესი ნიშნულიდან ქვემოთ 9.65-3.00=6.65 მ. მდინარე ფასკნარას აუზის მოკლე ჰიდროგრაფიული დახასიათება მდინარე ფასკნარა სათავეს იღებს ხიხათას ქედის დასავლეთ კალთაზე, 2000 მ სიმაღლეზე და ერთვის მდინარე ჯრუჭულას მარჯვენა მხრიდან სოფელ ცხომარეთის პარალელზე. მდინარის სიგრძე 9.8 კმ-ია, წყალშემკრები აუზის ფართობი 38 კმ<sup>2</sup>, აუზის საშუალო სიმაღლე 1550 მეტრი. ქსელის საშუალო სიხშირე 1.6 კმ/კმ<sup>2</sup>-ია. მდინარეს წყალუხვობა ახასიათებს გაზაფხულზე. წყალდიდობა იწყება მარტში წყლის დონის სწრაფი მატებით, რაც გამოწვეულია წვიმებით. მაქსიმალურ დონეს მდინარე აღწევს მაისში და კლება გრძელდება ივნისის ბოლომდე, თუმცა დამახასიათებელია ხანმოკლე წვიმების პიკებით. გაზაფხულის წყალდიდობის შემდეგ ივლისიდან იწყება წყალმცირობის პერიოდი, რომელსაც არღვევს წვიმის წყალმოვარდნები. ეს წყალმოვარდნები დონის მაღალი ნიშნულებით ზოგჯერ აჭარბებენ გაზაფხულის წყალდიდობის ნიშნულებს. შემოდგომით ხშირია წვიმის წყალმოვარდნები ვიდრე ზაფხულში. იანვრიდან თებერვლის ბოლომდე დგება წყალმცირობის პერიოდი, რომელიც გრძელდება გაზაფხულის წყალდიდობამდე. მდინარეს გააჩნია შერეული საზრდოობა: მიწისქვეშა, წვიმისა და თოვლის ნადნობი წყლები. სათავეში იგი კვეთს ურგონულ კირქვებს, ხოლო სოფელ უზუნთამდე ბაიოსის პორფირიტულ წყებებში ვიწროს ჩაჭრილ ხეობაში მოედინება; ხეობის ჩაჭრილობა 200-300 მეტრს აღწევს. ხეობის ვიწრო ძირი თითქმის მთლიანად მდინარის ჭორომიან და ჩანჩქერებიან კალაპოტს უჭირავს; ჭალას მდინარე არსად არ ინვითარებს. მდინარის ვიწრობი, რომელიც V-ს ფორმისაა. სოფელ უზუნთას მიდამოებში ოდნავ ფართოვდება, რაც კირქვების გამოსავლებთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამ მონაკვეთზე მდინარის ხეობაში გამოედინებიან კარსტული წყაროები. ქვემო წელში, დაახლოებით ორი კილომეტრის სიგრძეზე, მდინარე კვლავ ბაიოსის წყების ქანებში შედის და ვიწრობში ემწყვდევა. მდინარის ფასკნარას აუზი ჯრუჭულას ხეობიდან გამოყოფილია თამაზას სერით. წყალგამყოფი თხემამდე შემოსილია საუცხოო ტყით. ქვემო ნაწილში ქედის თხემი მოსწორებულია და პლატოსებური ზედაპირით ხასიათდება, ხოლო კალთები ციცაბოდ ეშვებიან ერთის მხრივ ჯრუჭულას, ხოლო მეორეს მხრივ ფასკნარას ხეობისაკენ. მდინარე ფასკნარას აუზი მის მარჯვნივ მდებარე მოხვურას აუზიდან გამოიყოფა რაჭის ქედიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ წამოსული განშტოებით, ე.წ. ბუჯეთის სერით, რომლის ბოლო ტოტები, სოფელ ქვემოხევის მიდამოებში, მდინარე ჯრუჭულას გაფართოებულ ხეობაში ჩამოიკვეთებიან. ორივე წყალგამყოფის კალთები ძლიერ ღრმად და ნაწევრებული ფასკნარას შემდინარეების ხეობებით. მათ შორის სიგრძითა და წყალუხვობით აღსანიშნავია მდინარე წყალფეხილა, რომელიც ხიხათას მწვერვალის სამხრეთ კალთებზე იწყება და ფასკნარას, ჯრუჭის მონასტრის ზემოთ, დაახლოებით 0.5 კილომეტრის დაშორებით მარცხნიდან

ერთვის. ამ მდინარის ხეობა თითქმის მთელ სიგრძეზე განვითარებულია ბაიოსის პორფირიტულ წყებაში. მხოლოდ შესართავის რაიონში გვხვდება კირქვების გამოსავლები.

### საშუალო წლიური ხარჯები

მდინარე ფასკნარა ჰიდროლოგიური თვალსაზრისით არ არის შესწავლილი. ამიტომ მისი საშუალო წლიური ხარჯების სიდიდეები საპროექტო უბნისათვის დადგენილია მეთოდით, რომელიც მოცემულია მონოგრაფიაში “საქართველოს წყლის ბალანსი”. აღნიშნული მეთოდის თანახმად საკვლევი მდინარის აუზის მდებარეობის რაიონისთვის აგებული, აუზის საშუალო სიმაღლეებისა და ჩამონადენის ფენის სიმაღლეებს შორის დამოკიდებულების მრუდიდან განისაზღვრება საკვლევი მდინარის აუზის საშუალო სიმაღლის შესაბამისი ჩამონადენის მოდული, რაც შეადგენს 33 ლ/წმ კმ<sup>2</sup>. საშუალო მრავალწლიური ხარჯი განისაზღვრება დამოკიდებულებით:

$$Q_0 = \frac{F \cdot M}{1000} \text{ მ}^3/\text{წმ}$$

მოყვანილი გამოსახულების შესაბამისად, მდინარე ფასკნარას საშუალო მრავალწლიური ხარჯი საპროექტო კვეთში (18.8 კმ<sup>2</sup>) ტოლი იქნება 0.65 მ<sup>3</sup>/წმ-ის.

### წყლის მაქსიმალური ხარჯები

მდინარე ფასკნარას წყლის მაქსიმალური ხარჯების გაანგარიშებისათვის საპროექტო კვეთში გამოყენებულია მეთოდი, რომელიც მოცემულია „კავკასიის პირობებში მდინარეთა მაქსიმალური ჩამონადენის საანგარიშო ტექნიკურ მითითებაში”. აღნიშნული მეთოდით მიღებული შედეგები აპრობირებულია და ფართოდ გამოიყენება ჰიდროლოგიური გაანგარიშების პრაქტიკაში. ამასთან აღნიშნულ მეთოდში გათვალისწინებულია მაქსიმალური ხარჯების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები. აღნიშნული მეთოდის თანახმად, კავკასიის პირობებში წყლის მაქსიმალური ხარჯების სიდიდეები იმ მდინარეებზე და ხევებზე, რომელთა წყალშემკრები აუზის ფართობი არ აღემატება 400 კმ<sup>2</sup>-ს, იანგარიშება ფორმულით, რომელსაც შემდეგი სახე გააჩნია:

$$Q = R \cdot \left[ \frac{F^{2/3} \cdot K^{1.35} \cdot \tau^{0.38} \cdot i^{-0.125}}{(L + 10)^{0.44}} \right] \cdot \Pi \cdot \lambda \cdot \delta \text{ მ}^3/\text{წმ}$$

$R$  - რაიონული პარამეტრია და მისი მნიშვნელობა აიღება სპეციალური ცხრილიდან და ტოლია 1.35-ის;

$F$  - წყალშემკრები აუზის ფართობია საპროექტო კვეთში კმ<sup>2</sup>-ში;

$K$  - რაიონის კლიმატური კოეფიციენტი, რომლის მნიშვნელობა აიღება სპეციალური რუკიდან;

$i$  - მდინარის შეწონილი ქანობა ერთეულებში სათავიდან საპროექტო კვეთამდე;

$L$  - მდინარის სიგრძეა სათავიდან საპროექტო კვეთამდე კმ-ში;

$\Pi$  - მდინარის აუზში არსებული ნიადაგის საფარველის მახასიათებელი კოეფიციენტი, მისი მნიშვნელობა აიღება სპეციალური რუკიდან და შესაბამისი ცხრილიდან და ტოლია 1-ის;

$\lambda$  - აუზის ტყიანობის კოეფიციენტი, რომლის სიდიდე იანგარიშება

გამოსახულებით:

$$F + \cdot F_t = 10.2 \lambda 1$$

სადაც,  $F$  - აუზის ტყით დაფარული ფართობია %-ში;

$\delta$  - აუზის ფორმის კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა მიიღება გამოსახულებით:

$\delta$  , სადაც  $B_{\text{ს.შ.}}$  - აუზის მაქსიმალური სიგანეა კმ-ში;  $B$  - აუზის საშუალო სიგანეა კმ-ში. მისი მნიშვნელობა მიიღება დამოკიდებულებით  $L$

$$B = F \text{ ს.შ. .}$$

საპროექტო გზის გადამკვეთი საკვლევი მდინარის წყლის მაქსიმალური ხარჯების საანგარიშოდ საჭირო მორფომეტრიული ელემენტების მნიშვნელობები დადგენილია ტოპოგრაფიული რუკით, ასევე ზემოთ მოყვანილი ფორმულით გაანგარიშებული წყლის მაქსიმალური ხარჯების 100 წლიანი, 50 წლიანი, 20 წლიანი და 10 წლიანი განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯების სიდიდეები, რომელიც მოცემულია ცხრილში.

მაქსიმალური ხარჯები

$F$	$L$	$i$	$\lambda$	$\delta$	$K$	მაქსიმალური ხარჯები			
						$\tau = 100$ წელს	$\tau = 50$ წელს	$\tau = 20$ წელს	$\tau = 10$ წელს
18.8	9.2	0.107	0.84	0.909	5	75.5	58.0	41.0	31.5


### 5.5 ბიოლოგიური გარემო ფლორა

საჩხერის სტრუქტურული პლატოს ფარგლებში ტყე განადგურებულია და მცენარეულობა მეორეული წარმოშობისაა. ტერიტორიის უმეტესი ნაწილი სახნავ-სათეს ფართობებს უკავია. ტყის ძირითადი კორომები შემონახულია რაჭისა და ლიხის ქედების კალთებზე. ტყეში გაბატონებული ჯიშებია: წიფელი, მუხა, რცხილა, წაბლი, ნეკერჩხალი, იფანი, ცაცხვი; იშვიათია წიწვნიანები. ქვეტყეში არის მარადმწვანე (შქერი, ჭყორი, თაგვისარა და სხვა) და ფოთოლმცვივანი ჯიშები. ტყეში ბევრია გარეული ხილი:



მაჟალო, პანტა, მოცვი და სხვა.

სპროექტო მონაკვეთში გვხვდება გვხვდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულები (ხეხილის ბაღები, სიმინდი, ზოსტნე-ული და ტექნიკური კულტურები). არაკირქვული სუბსტრატის ტყეებთან შედარებით უკეთ აქვთ შენარჩუნებული პირვანდელი ბუნებრივი სახე. ადამიანის საქმიანობიდან გამომდინარე, მცენარეულობის პირველადი სტრუქტურა დარღვეულია ან ტყის საფარი საერთოდ განადგურებულია: მისი ნაალაგარი მთლიანად ათვისებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურებით, კულტურული ლანდშაფტებით. დასახლებულ პუნქტებში განვითარებულია ტყის შემდგომი ბუჩქნარი და მეორადი მდელოები. შედარებით მშრალ ეკოტოპებთან არის დაკავშირებული მუხნარები უროს *Andropogon ischaemum* მონაწილებით; იელიანი *Azalea pontica* მუხნარები ქვიან, არაკარბონატულ



ეკოტოპებზე ჩადუნას *Dryopteris* მონაწილებით და სხვა. მარადმწვანე ბუჩქები ასეთ მუხნარებში, ნიადაგის სიმშრალის გამო, არ არის განვითარებული. ტყის შემდგომ ბუჩქნარებში ბევრია გარეული



ხილი: მაქალო *Malus orientalis*, პანტა *Pyrus caucasica*, ზღმარტლი *Mespilus germanica*, კუნელი *Crataegus sp.*, ლეღვი *Ficus carica*, ტყემალი *Pronus divaricata* და სხვინაიდა საპროექტო არეალში მოხვედრილია სახელმწიფო ტყის ფონდის კუთვნილი ტერიტორიები, სამუშაოების განხორციელებამდე საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მოხდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 აგვისტოს „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის დადგენის წესის შესახებ“ N240 და 2010 წლის 20 აგვისტოს „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ №242 დადგენილებების შესაბამისად.

### **ფაუნა**

რაჭის ქედის სამხრეთ კალთაზე გავრცელებულია კავკასიური ირემი, შველი, არჩვი, დათვი; გვხვდება მგელი, მელა, ტურა, კავკასიური კვერნა, ტყის კატა, კურდღელი, ციყვი, ფოცხვერი; ფრინველებიდან მრავლად არის ყვავი, ჭკა, ყორანი, მოლალური, შაშვი, ჩხიკვი, ბულბული, ოფოფი, კოდალა; ქვეწარმავლებიდან: გველი, ხვლიკი; ქ. საჩხერის ფარგლებში მდ. ყვირილა იქთიოფაუნით ძალზედ ღარიბია.

საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებულია მთა – ტყისა და მთა მდელოს ზონების ცხოველები, ჩლიქოსნებიდან აღსანიშნავია შველი, მტაცებლებიდან – დათვი, მგელი, მელა, ტურა, ფოცხვერი. კვერნების ოჯახებიდან – მაჩვი, ტყის კვერნა, თეთრყელა კვერნა და სხვ. კურდღლისებურიდან – კურდღელი, მწერიჭამიებიდან – თხუნელა, ზღარბი და სხვ. ბევრია ფრინველი: კოდალა, ქორი, მიმინო, ყორანი, ყვავი, ჩიტბატონა, შოშია, შაშვი, გუგული, ჩხიკვი და სხვ. ქვეწარმავლებიდან აღსანიშნავია: მწვანე ხვლიკი, ზოლებიანი ხვლიკი, ჩვეულებრივი ანკარა, გველგესლა, გველხოკერა და სხვ. მდინარეებში იცის: კალმახი, წვერა, ქაშაყი, გველთევზა, ღორჯო და სხვ. ტყისა და ალპურ ზონებში ბინადრობს არჩვი, დათვი, მგელი, მელა, თაგვი, მემინდვრია, შურთხი, როჭო, მთის ტოროლა, ველის არწივი და სხვ.

### **ლანდშაფტი**

საკვლევ რეგიონში წარმოდგენილი ლანდშაფტები მიეკუთვნება მთის ზომიერად ჰუმიდურ ტიპს, რომლებიც იყოფიან 2 ქვეტიპად. ესენია:

1. დაბალი მთის კოლხური ტის და
2. საშუალო მთის კოლხური ტყის.

ორივე მათგანს შეესაბამება თითო გვარის ლანდშაფტი, კერძოდ: პირველს - დაბალი მთის კარსტული ლანდშაფტი შერეულმუხნარი, რცხილნარ მუხნარი და წიფლნარი ტყეებით და მარადმწვანე ქვეტყით; მეორეს - საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი წიფლნარი ტყეებით და მარადმწვანე ქვეტყით. თითოეული მათგანის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური მახასიათებლები შემდეგნაირად გამოიყურება:

1. დაბალი მთის კარსტული ლანდშაფტი შერეულმუხნარი, რცხილნარ მუხნარი და წიფლნარი ტყეებით და მარადმწვანე ქვეტყით. ვერტიკალური განფენილობა - ზღვის დონიდან 400 – 700 მეტრი,

**რელიეფი** - კარსტული, საშუალო დახრილობის ფერდობებით, კირქვების გავრცელების არეალებში შეიძლება შეგვხვდეს კანიონისებური ხეობის მონაკვეთები ან ციცაბო ფერდობები,

**გეომორფოლოგიური** პროცესებიდან აღსანიშნავია წყლისმიერი ეროზია და კარსტული პროცესები. გეოლოგიური აგებულება უკავშირდება იურული, ნაწილობრივ ცარცული და მესამეული პერიოდის თიხებს, ქვიშაქვებსა და კირქვებს. ამგვარი აგებულება გამოფიტვისა და ეროზიისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნის. მეწყერსაშიშროებით ლანდშაფტი საშუალოზე დაბალი რისკის მქონეა. ღვარცოვის განვითარება შეზღუდულია.

**კლიმატი** - ზომიერად თბილი და ჰუმიდურია. ჰაერის საშუალო წლიური რაოდენობა 10-12 გრადუსია. ტემპერატურის შესაძლო ამპლიტუდა 70<sup>0</sup>-ს აღემატება, რაც ჰავის კონტინენტურობაზე მიუთითებს. იანვრის საშუალო ტემპერატურა 0+2<sup>0</sup>-ია, ხოლო ივლისის

+28<sup>0</sup>. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 1200 მილიმეტრს აღწევს. სიმშრალის ინდექსი 1.3 აღწევს, რაც კომფორტული მაჩვენებელია.

**მცენარეულობის გეოგრაფია** - კოლხური ტყეები მარადმწვანე ქვეტყით გვხვდება ხეობებში, ჩრდილოეთის და დასავლეთის ექსპოზიციის ფერდობებზე. მეზოფიტური რცხილნარი ტყეები გვხვდება აღმოსავლეთის და დასავლეთის ექსპოზიციის ფერდობები. მცენარეულობის სიმძლავრე ხელსაყრელ გარემოში 25 – 30 მეტრსაც აღწევს.

**მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე** აღწევს 40 კაცს ჯვადრატულ კილომეტრზე, რაც საშუალოზე დაბალი მაჩვენებელია.

**ლანდშაფტის ტრანსფორმაციის ხარისხი** საშუალოზე მაღალია და უკავშირდება როგორც სასოფლო განსახლებას, ისე აქტიურ სოფლის მეურნეობას.

2. საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი წიფლნარი ტყეებით და მარადმწვანე ქვეტყით. გავრცელების არეალი - 700 – 1500 მ.

**რელიეფი** - ეროზიულ - დენუდაციური, გაბატონებული საშუალო დახრილობის ფერდობებით, ზოგიერთ მონაკვეთზე გვხვდება ციცაბო ფერდობებიც.

**გეომორფოლოგიური პროცესებიდან აღსანიშნავია წყლისმიერი ეროზია.** გეოლოგიური აგებულება უკავშირდება ვულკანოგენურ-დანალექ და კარბონატულ ფორმაციებს, რაც ეროზიისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნის. მეწყერსაშიშროებით ლანდშაფტი საშუალო რისკის მქონეა. ღვარცოფის განვითარება შეზღუდულია.

**კლიმატი** - ზომიერად თბილი ჰუმიდურია, იანვრის საშუალო ტემპერატურა იცვლება სიმაღლის მიხედვით და 0<sup>0</sup>-თან ახლოსაა, ივლისის +20<sup>0</sup>-ია, ნალექების რაოდენობა იზრდება 1300 მმ-მდე, რომლის მაქსიმუმი აღინიშნება ზამთარში, თოვლის მდგრადი საფარი გრძელდება 4 თვემდე.

**მცენარეული საფარის გეოგრაფია** - წიფლნარი ტყეები გვხვდება 1000 მეტრის სიმაღლიდან, რასაც მასიური გავრცელების ხასიათი აქვს. მათთვის ყველაზე ხელსაყრელი გარემო აღმოსავლეთისა და სამხრეთ ექსპოზიციის ფერდობებზეა. მარადმწვანე ქვეტყე კარგად დანესტიანებულ ხეობებსა და ჩრდილოეთის ექსპოზიციის ფერდობებზეა წარმოდგენილი. ტყის მცენარეულობის სიმძლავრე აღწევს 30 მეტრს.

**მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე** დაბალია და აღწევს 8-10 კაცს კვ.კმ-ზე.

**ლანდშაფტის ტრანსფორმაციის ხარისხი** - საშუალო, უკავშირდება სატყეო მეურნეობას და მესაქონლეობას.

### **ზემოქმედება ლანდშაფტის ვიზუალურ-იერ სახეზე**

გზის სამშენებლო სამუშაოების დროს ადგილი ექნება გარკვეულ ვიზუალურ-ლანდშაფტურ ზემოქმედებას, რაც დაუკავშირდება შესაბამისი ინფრასტრუქტურის და ნარჩენების განთავსებას. გზის მშენებლობის დასრულების შედეგად მოსალოდნელია სატრანსპორტო ნაკადების ზრდა, ტურისტული დანიშნულების ობიექტების გაჩენა, ანთროპოგენული ზემოქმედების ზრდა, რაც გარკვეულწილად შეცვლის აღნიშნული ლანდშაფტების ვიზუალურ იერ-სახეს.

როგორც წესი, მშენებლობის დასრულების შემდეგ მოხდება ნარჩენების გატანა, ტერიტორიის რეკულტივაცია, ლანდშაფტის თვითაღდგენის პოტენციალის ხელშეწყობა, გამწვანება და კეთილმოწყობა.

### **5.6 სოციალურ-ეკონომიკური გარემო**

დასახლებული პუნქტების უმრავლესობა საჩხერის ქვაბულსა და იმერეთის მაღლობზეა წარმოდგენილი, განსახლების ძირითადი ზონაა ზ.დ. 400-800 მ. სოფლად ცხოვრობს მოსახლეობის 80%,

უმეტესობა ქართველებია მცირე რაოდენობით არიან ოსები, რუსები, სომხები და ებრაელები. სულ საჩხერის მუნიციპალიტეტში ცხოვრობს 16 409 კომლი, 54 856 სული მოსახლით.

ეკონომიკის დარგებიდან ძირითადია სოფლის მეურნეობა, მოსახლეობა მისდევს მევენახეობას, მესაქონლეობას, მარცვლეულისა და ბოსტნეული კულტურების (სიმინდი, ლობიო) წარმოებას. რამდენიმე სოფელში აქტიურად მოიპოვებენ კვარციან ქვიშას. გზების საერთო სიგრძე 173 კილომეტრია, მათ შორის ასფალტირებულია 50 კილომეტრი. გადის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზა ზესტაფონი-გომი, ასევე რკინიზგის მონაკვეთი ზესტაფონი-საჩხერე. მოსახლეობის წყალმომარაგება ხორციელდება წყაროებითა და ჭებით. სოფლის მეურნეობიდან განვითარებულია მეღვინეობა, გავრცელებული ჯიშებია ცოლიკოური, იზაბელა, ალიგოტე, ციცქა, ქვიშური, ძელშავი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტი კვერეთი.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს დაახლოებით 17 380 ჰექტარი უჭირავს, რაც საერთო ფართობის 22.5%-ია, დაახლოებით 60 000 ჰა (78%) კი ტყეებითაა დაფარული.

საჩხერის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობა მოსახლეობის შემოსავლების ძირითადი წყაროა მიუხედავად სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სიმწირისა. მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები 17 380 ჰა-ია, რაც მისი საერთო ფართობის 22.5%-ია; აქედან 7 962 ჰა (ანუ 46%) სახნავ-სათესია, ხე-ხილს 2 135 ჰა (12%) უჭირავს, სათიბ-სადოვარი კი - 7 287 ჰა-ს (42%). ეს მონაცემები ეყრდნობა 2004 წლის ინვენტარიზაციის შედეგებს, რომლის შემდეგაც მიწის ინვენტარიზაცია არ მომხდარა.

ბოლო წლებში სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართი არ შემცირებულა, თუმცა ადგილი ჰქონდა მიწების დეგრადაციას ეროზიული პროცესების შედეგად. მოწოდებული ინფორმაციით, ეროზირებულია სასოფლო-სამეურნეო მიწების 5%-მდე. როგორც ჩანს, ეროზიის ერთ-ერთი მიზეზი ჭარბი ძოვებაა, რადგანაც მუნიციპალიტეტი ამ პრობლემის წინაშე დგას

საჩხერის მუნიციპალიტეტში სახნავ-სათესი მიწის რესურსი მწირია და მხოლოდ 7 962 ჰა-ს შეადგენს. მემცენარეობაში პრიორიტეტული კულტურებია: სიმინდი, ლობიო, ვაზი და ხეხილი. სიმინდის მოსავლიანობა შეადგენს 3-3.5 ტ/ჰა-ზე, ხე-ხილის - 6-6.5 ტ/ჰა-ზე, ლობიოს - 1.8-2 ტ/ჰა-ზე, ხოლო ვაზის - 4-5 ტ/ჰა-ზე.

პრიორიტეტული კულტურების მოსავლიანობა ბოლო პერიოდში შემცირდა 30-50%-ით. მოსავლიანობის შემცირების მიზეზებად სახელდება: დაბალპროდუქტიული სათესლე მასალის გამოყენება, კულტურების ადგილმონაცვლეობის უგულვებელყოფა, მავნებლებთან და სარეველებთან ბრძოლის არაეფექტური გზების გამოყენება, რწყვის ნაკლებობა და გვალვა. ბოლო 10 წლის განმავლობაში შეიმჩნევა ვეგეტაციის პერიოდის ცვლილება, კერძოდ გაზაფხული უხვნალექიანია, რის გამოც გადაიწია ხვნა-თესვამ, მოსავლის აღება კი აგვისტოში ხდება. გაზაფხულის უხვნალექიანობა, რაც ხელს უშლის ხვნა-თესვას და არა ტემპერატურულ რეჟიმზე, რომელიც განსაზღვრავს ვეგეტაციის პერიოდს.

მუნიციპალიტეტის სახნავი მიწების დაახლოებით 60% საჭიროებს რწყვას. რწყვა ვერ ხერხდება საირიგაციო სისტემების სიმცირისა და ცუდი მდგომარეობის გამო. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძირითადად გამოიყენება რწყვის არხოვანი (ტრადიციული) მეთოდი. ბუნებრივი ნალექის შეგროვება რწყვისათვის არ ხდება. სასოფლო-სამეურნეო მიწები დრენაჟს არ საჭიროებს. საჩხერის მუნიციპალიტეტში სათიბ-სადოვრები სასოფლო-სამეურნეო მიწების 42%-ს შეადგენს. ტერიტორიულ ერთეულში მეცხოველეები ძირითადად მსხვილფეხა პირუტყვის მოშენებას მისდევენ, მეცხვარეობა კი უმნიშვნელოდაა წარმოდგენილი.

მუნიციპალიტეტის გამგეობის მონაცემებით, 2012 წლის მდგომარეობით ადმინისტრაციულ ერთეულში აღრიცხულია 24 200 სული მსხვილფეხა პირუტყვი. მსხვილფეხა პირუტყვის ერთ სულზე 0.3 ჰა სათიბ-სადოვარი მოდის. როგორც ეს გაანგარიშება გვიჩვენებს, მესაქონლეები განიცდიან სათიბ-სადოვრის დეფიციტს. სათიბ-სადოვრების დეფიციტის მიზეზი ჭარბ ძოვება და გვალვაა. გადამოვება მუნიციპალიტეტში დაფიქსირებული ეროზიის ერთ-ერთი გამომწვევია.

საჩხერის მუნიციპალიტეტში ტყეებს 50000 ათასი ჰა ფართობი უჭირავს; აქედან, სუბალპურ ტყეებს უკავია 32000 ჰა, ჭალისპირა ტყეებს 3000 ჰა. მუნიციპალიტეტისთვის ხე-ტყის ჭრის წლიურ ლიმიტია 9000კუბ.მ. ისტორიულად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობდა ქარსაცავი ზოლები, რომელთა ფართობიც 1990–იანი წლების შემდგომ მნიშვნელოვნად შემცირდა; მუნიციპალიტეტის ტყეებში ბოლო ათწლეულში იყო ხანძრის შემთხვევები. მაგალითად, 2010 წელს დაფიქსირდა ტყის ხანძარი, რომლის შედეგადაც დაიწვა 100 ჰა ფართობი. ხანძრის მიზეზად ცხელი ამინდები და ადამიანთა დაუდევრობა სახელდებაკვერეთში, ჭალასა და ცხომარეთში ტყის განაკაფებში განვითარდა მეწყრული მოვლენები.

საჩხერის მუნიციპალიტეტში ტყის რესურსები დიდია. ტყის რესურსებთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემებია ტყის ჭრა (მათ შორის უკანონო), რასაც, როგორც ჩანს, მზარდი ტენდენცია აქვს და ქარსაცავი ზოლების მნიშვნელოვანი შემცირება. ტყის ჭრა ბუნებრივი საფრთხეების მომატების გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს.

სასარგებლო წიაღისეული. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოდგენილია შემდეგი სასარგებლო წიაღისეულის საბადოები: „იტავაზა-1“ კვადრანტი ქვიშის საბადო; „საფარის ღელის“ კვადრანტი ქვიშის საბადო, მარაგი 2,3 მილ. მ3;

„პერევის“ კერამიკული თიხის საბადო; სოფ. არგვეთისა და სავანის ქვიშების გამოვლინება;

„ჭალის“ ქვანახშირის გამოვლინება; სოფ. სარევის მანგანუმის მადნის გამოვლინება; სხვიტორის (ბაჯითის უბანი) მარმარილოსებური კირქვა – 367 ათასი მ3; საჩხერის კირქვის (II ხარისხის კალციუმის კირი) საბადო, მარაგი – 11,7 მილ. მ3; ლაშურის სააგურე (175 მარკის)

თიხის საბადო, მარაგი – 6,9 მილ. მ3; ქორეთის კვაც-კაჟშპატინი ქვიშის საბადო, მარაგი – 4,0 მილ. მ3; ჯრუჭულას ქვიშა-ხრეშის საბადო, მარაგი – 2,4 მილ. მ3; კვერეთის მინერალური წყლის გამოვლინება; მდ. ყვირილასა და ჩიხურას ინერტული მასალის გამოვლინება; „ბაჯითის“ კვარცმინდვრისშპატინი ქვიშისგამოვლინება.

## 5.9 ნარჩენების მართვა

საჩხერის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვას ახორციელებს საჩხერის კეთილმოწყობის და დასუფთავების სამსახური, რომელიც აგროვებს ნარჩენებს, აღრიცხავს მათ და განათავსებს პოლიგონზე. ნარჩენების მართვის სამსახურის მიერ საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ხდება საჩხერის ნაგავსაყრელზე აირების და ნაჟური წყლების კონტროლი არ ხდება. მუნიციპალიტეტში არსებობს არალეგალური ნაგავსაყრელები, თუმცა ამ ნაგავსაყრელებზე ნარჩენების წლიური რაოდენობების შესახებ მონაცემები არ არსებობს. მუნიციპალიტეტში არსებობს გადამუშავებადი ნარჩენების (კერძოდ, ჯართის) შემგროვებელი პუნქტები.

## 6 გარემოზე ზემოქმედების შეფასება

### გარემოზე ზემოქმედების შეფასება - ზოგადი საკითხები

გარემოზე ზემოქმედების ჯეროვანი შეფასება მრავალმხრივი სამეცნიერო საქმიანობის შედეგი შეიძლება გახდეს. **ზემოქმედების მრავალფეროვნება უკავშირდება** როგორც ბუნებრივ მოვლენებსა და პროცესებს, ისე ადამიანის საქმიანობის შედეგებს.

გარემოზე ზემოქმედება რეგულირდება **საქართველოს კანონმდებლობით**, რაც გარკვეულწილად აიოლებს ამგვარ საქმიანობას. თუმცა, ზემოქმედების მრავალფეროვნება, მისი სივრცესა და დროში ცვლილების მაღალი ხარისხი, კვლევის ოსტატობას და შეფასების მაღალ საიმედოობას მოითხოვს. თანამედროვე სამყაროში, გარემოზე ზემოქმედების ძირითადი „წყარო“ ადამიანია. სწორედ ადამიანის სამეურნეო საქმიანობა ზრდის საზოგადოებისთვის იმ საფრთხეს, რასაც გამოუსწორებელი და სიცოცხლისთვის რისკის შემცველი შედეგებიც კი შეიძლება მოჰყვეს. ცივილიზებული მსოფლიო ამგვარ საქმიანობას როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით არეგულირებს. გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში საზოგადოების ჩართულობა მისი ეფექტური რეგულირების მნიშვნელოვანი გარანტიაა.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ძირითადი მიზანია:

1. ადამიანის ჯანმრთელობის, ბუნებრივი გარემოს, ასევე კულტურული და მატერიალური ფასეულობების დაცვა;
2. სახელმწიფოსა და საზოგადოების ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინება.

ამავე კანონმდებლობით, გარემოზე ზემოქმედების შეფასება გულისხმობს დაგეგმილი საქმიანობის შესწავლის და გარემოს ელემენტების კვლევის პროცედურას. სწორედ მისი მეშვეობით ხორციელდება საქმიანობის პირდაპირი და არაპირდაპირი ზეგავლენის შეფასება გარემოს შემადგენელ კომპონენტებზე, ლანდშაფტზე და ეკოსისტემებზე, ბუნებრივ და კულტურულ მემკვიდრეობაზე, სოციალურ და ეკონომიკურ ვითარებაზე.

გარემოზე ზემოქმედების შეფასება **საჯარო განხილვის საგანია**. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია გამოაქვეყნოს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში. ამგვარი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია უნდა შეიცავდეს: დაგეგმილი საქმიანობის მიზნებს, დასახელებასა და ადგილმდებარეობას; მისამართს, სადაც საზოგადოების წარმომადგენლებს შეეძლება დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების გაცნობა; ანგარიშის საჯარო განხილვის მოწყობის დროსა და ადგილს.

### ზემოქმედების ფორმები

ზოგადად, ბუნებრივი გარემოს მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმ პროცესებით, რაც გამოწვეულია მასზე ანთროპოგენური თუ ბუნებრივი ზემოქმედებით. ზემოქმედება ძირითადად **შეიძლება იყოს:**

- ✓ გენეტიური (ბუნებრივი, ანთროპოგენური, ბუნებრივ-ანთროპოგენური);
- ✓ დროში განსაზღვრული (ხანმოკლე, პერიოდული, მუდმივი);
- ✓ დარგობრივი (ბუნების კომპონენტზე, მეურნეობის დარგზე);
- ✓ პროცესუალური (კომპლექსებზე, მოვლენაზე, პროცესზე);
- ✓ მასშტაბური (სუსტი, საშუალო, ძლიერი) და სხვ.

ზემოქმედება ასევე შეიძლება განიხილებოდეს სახეობის, წყაროს, ინტენსიობის, პერიოდულობის, ფორმების, შედეგების მიხედვითაც. ყოველგვარი სახის ზემოქმედებისა და მათი ნეგატიური შედეგების ანალიზი შრომატევადი სამეცნიერო-კვლევითი პროცესია, რაც განპირობებულია ამგვარ ზემოქმედებათა მრავალფეროვნებით, მასშტაბებითა და სირთულით. ამგვარი ვითარება, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს ზემოქმედებათა გამოვლენასა და კლასიფიკაციას არა მარტო ფორმებისა და სახეების, არამედ ბუნების კომპონენტების (გეოლოგიური აგებულება, რელიეფი, ჰავა, წყლები, ცოცხალი სამყარო, ნიადაგები), ლანდშაფტური ერთეულების და მეურნეობის დარგების მიხედვითაც.

საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური აქტიობა ბუნებათსარგებლობის სხვადასხვა ფორმებსა და მასშტაბებს გულისხმობს. ეს განსაკუთრებით ეხება მთიან ტერიტორიებს. ნებისმიერი ზემოქმედება მთიანი ტერიტორიების ბუნებრივ გარემოზე მოითხოვს **ტექნიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ შედეგთა კომპლექსურ კვლევას**. ამ შემთხვევაში მთავარ ამოცანად რჩება ეკოლოგიური ოპტიმუმის შენარჩუნება, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება, მოსახლეობის დაცვა სტიქიური ბუნებრივი მოვლენებისაგან და ბუნებრივ ლანდშაფტთა შენარჩუნება.

### **ბუნებრივი ზემოქმედების ფორმები**

ბუნებრივი ზემოქმედება ძირითადად **ექსტრემალურ და კატასტროფულ** ბუნებრივ მოვლენებთანაა დაკავშირებული. ისინი შეიძლება იყოს ეგზოგენური და ენდოგენური. ეგზოგენურია:

- ✓ **კლიმატოგენური** (გრიგალი, სეტყვა, გვალვა, ყინვა, ქარი და სხვ.);
- ✓ **ჰიდროგენული** (წყალდიდობა, მეწყერი, დაჭაობება, წყლისმიერი ეროზია, ზვავი და სხვ.);
- ✓ **ბიოგენური** (მავნებლების გამრავლება, მცენარეთა ავადმყოფობა, ტყის ხანძრები და სხვ.);
- ✓ **ლითოგენური** (გამოფიტვა, გრავიგენული ნაკადები, ქარისმიერი ეროზია და სხვ.).

ენდოგენური ზემოქმედებიდან საქართველოში მიწისძვრები და რელიეფწარმოქმნელი პროცესებია აღსანიშნავი.

ბუნებრივი ზემოქმედება შეიძლება იყოს **კომბინირებული ფორმის**: ჰიდროგენულ-გრავიგენული, გრავიგენულ-ბიოგენური, ბიოგენურ-ჰიდროგენული, ლითოგენურ-

კლიმატოგენური და სხვ. ბუნებრივი ზემოქმედების ესა თუ ის ფორმა ხშირად მეორე სახის მოვლენის განვითარებას უწყობს ხელს. მიწისძვრები, რომლებიც ძირითადად საშუალო და მაღალი მთებისთვისაა დამახასიათებელი, ხშირ შემთხვევაში ზოგიერთი ჰიდროგენული ან გრავიგენული მოვლენის გააქტიურებას უწყობს ხელს. ამგვარი **ჯაჭვური რეაქციების** გათვალისწინება აუცილებელია როგორც გარემოზე ზემოქმედების შეფასებისას, ისე ლანდშაფტთა სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციების განსაზღვრისას. იმ ლანდშაფტებისთვის, რომლებიც ადვილად „ერთგებიან“ აქტიურ ბუნებრივ მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივ კავშირებში, გარემოსაღმდგენი ან გარემოსშემქმნელი ფუნქცია უნდა განისაზღვროს.

ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენები **ხშირად იწვევს** გაუდაზნოებას, დამლაშებას, დაჭაობებას, ფიტოგენურ გაღარიბებას და ისეთ უარყოფით მოვლენებს, რომლებიც მყისიერად აისახება სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაზე. ამგვარი მოვლენები განპირობებულია როგორც რეგიონული (ადგილობრივი), ასევე გლობალური, პლანეტარული და კოსმოსური პროცესებით. მათგან უმნიშვნელოვანესია კლიმატის გლობალური დათბობა, რეგიონების არიდოზაცია და შესაბამისად – გაუდაზნოება.

**ექსტრემალურ ბუნებრივ მოვლენათა მიმდინარეობა** მრავალმხრივი, მრავალფეროვანი და რეგიონალურად განსხვავებულია. მათი შედეგები პირდაპირ კავშირშია ლანდშაფტის სტრუქტურულ-ფუნქციონალურ, ეთოლოგიურ თავისებურებებთან და მდგრადობის ხარისხთან. ცალკეულ შემთხვევებში ისინი მთლიანად ცვლიან აღნიშნულ მახასიათებლებს. თუმცა ამგვარი მოვლენები (სემიარიდული მდგომარეობა, დიდთოვლიანობა და ზვავები, გრავიგენული ნაკადები, ინტენსიური ნალექები და ჩამონადენი) მთის ლანდშაფტთა არაერთი სახისთვისაა დამახასიათებელი, რაც უნდა განიხილებოდეს როგორც ეთოლოგიური ცვლის მექანიზმი.

ზემოქმედების განხილვისას ასევე მნიშვნელოვანია მისი **ზღვრული (მაქსიმალური) ნორმების ანალიზი**, რაც მის დადგენაში, ადამიანის და გარემოს ეკოლოგიური ზღვრის გათვალისწინებაში მდგომარეობს. ადამიანის ჯანმრთელობაზე, ფსიქიკაზე, მის ეკონომიკურ თუ სოციალურ აქტივობასა და მდგომარეობაზე (სამედიცინო გეოგრაფიული თვალსაზრისით) მოქმედი გარემო თუ ანთროპოგენური (ტექნოგენური) ზემოქმედება მთელი რიგი შემთხვევების მიმართ პრინციპალურად შემუშავებულია. იგივე არ შეიძლება ითქვას ლანდშაფტთა და მისი შემადგენელი კომპონენტების ურთიერთკავშირის მექანიზმებზე. ლანდშაფტებზე ბუნებრივი თუ ანთროპოგენური (ტექნოგენური) ზემოქმედების ზღვრული ნორმების დადგენა პერსპექტიული და საინტერესო სამეცნიერო პრობლემაა.

ზემოქმედების ხასიათზე შესაძლებელია ვიმსჯელოთ ლანდშაფტის სტრუქტურის **თვითაღდგენის მექანიზმების მდგომარეობის** მიხედვით. მიჩნეულია, რომ თუ ზემოქმედება ეხება მხოლოდ ბიოლოგიურ კომპონენტს, ლანდშაფტს უნარჩუნდება თვითაღდგენის უნარი. თვითაღდგენის მექანიზმის შენარჩუნება შეუძლებელია, თუ:

1. ზემოქმედება ემთხვევა ან ხელს უწყობს (აძლიერებს) უარყოფით ბუნებრივ პროცესებს (დაჭაობება, დამლაშება, დახრამვა, ეროზია და ა.შ.);

2. როცა ზემოქმედებას განიცდის ძირითადი ლანდშაფტწარმომქმნელი კომპონენტი - რელიეფი და ჰავა. ამგვარია ღია კარიერული წესით წიაღისეულის მოპოვება, დატერასება, სატრანსპორტო მაგისტრალების მშენებლობა და სხვ.;
3. ერთი ბიოცენოზი ივლება მეორე, ექვივალენტური ბიოცენოზით.

### ანთროპოგენული ზემოქმედების ფორმები

ანთროპოგენული ზემოქმედება განსხვავდება მეურნეობის ფორმების მიხედვით. ამგვარია: სასოფლო-სამეურნეო, ტექნოგენური (მრეწველობა, მშენებლობა, ტრანსპორტი და სხვ.), ტექნოეკოლოგიური (ტყეების ექსპლუატაცია, ხანძრები და სხვ.) რეკრეაციული საქმიანობა და სხვ.

ანთროპოგენული ზემოქმედება შესაძლებელია იყოს **სინქრონული** (ერთდროულად რამდენიმე სახის – ტერიტორიის მრავალმხრივი გამოყენების შემთხვევაში) ან **დუბლირებადი** (როცა ერთი ზემოქმედება იცვლება მეორეთი). სინქრონული ზემოქმედება ძირითადად წარმოდგენილია სელიტებურ ტერიტორიებზე, ისეთ ლანდშაფტებში, სადაც ერთდროულად ხორციელდება სასოფლო, სატყეო და წყლის მეურნეობა. დუბლირებადია ზემოქმედება იმ რეგიონებში, სადაც დიდია სეზონური სამეურნეო თუ რეკრეაციული დატვირთვა. ამგვარი ლანდშაფტები ძირითადად მთებშია წარმოდგენილი. სინქრონული ზემოქმედების არეალად საქართველოს მთათაშორისი ბარის ლანდშაფტები უნდა ჩაითვალოს, სადაც წარმოდგენილია საზოგადოების მრავალმხრივი სამეურნეო თუ სოციალური საქმიანობა, თავმოყრილია მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (90%), შექმნილია საცხოვრებელი გარემო, საწარმოო, სასოფლო-სამეურნეო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და ა.შ.

ბუნებრივ ლანდშაფტებზე ამა თუ იმ სახის ანთროპოგენული ზემოქმედება შესაძლებელია განვიხილოთ მისი **ინტენსიობის**, ზემოქმედების ხარისხის მიხედვით იგი შეიძლება იყოს ინტენსიური, ზომიერი, ექსტენსიური. **ინტენსიური** ზემოქმედება აღინიშნება იმ რეგიონებში, სადაც მაქსიმალურია მოსახლეობის თავმოყრა, სამეურნეო თუ რეკრეაციული საქმიანობა. ინტენსიურ ზემოქმედებას განიცდიან მსხვილი საქალაქო დასახლებების, მათ მაქსიმალურ მიახლოებაზე და რეკრეაციულ ზონებში წარმოდგენილი ლანდშაფტები. ინტენსიურია ზემოქმედება სელიტებურ და სამთამადნო რესურსების მოპოვების ადგილებში. ისინი გარკვეულ ლანდშაფტის ფარგლებში ვითარდებიან, წარმოადგენენ რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებს, რომელთა ფუნქციონირებაც მიზანმიმართული და მუდმივი საქმიანობითაა განპირობებული.

ინტენსიურია ზემოქმედება **სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისას**, თუმცა იგი პერიოდულ ხასიათს ატარებს. მიუხედავად პერიოდულობისა, აგროტექნიკური ზემოქმედება იმდენად არსებითია, რომ აგრარულ ლანდშაფტთა სტრუქტურა და ფუნქციონირება მთლიანადაა დამოკიდებული ამგვარ ზემოქმედებათა მიზანმიმართულებაზე. აგროლანდშაფტებში აგროტექნოგენური ზემოქმედება მიმართულია სასურველი აგროკულტურის მდგრადი განვითარების და ფუნქციის შენარჩუნებისათვის. რაც უფრო



ნაკლებად შეესაბამება აგროკულტურა ლანდშაფტურ-ეკოლოგიურ პირობებს, რაც უფრო ნაკლებადმდგრადია იგი გარემო ფაქტორებისადმი, მით უფრო ინტენსიურია აგროტექნიკური ზემოქმედება, მით უფრო არარენტაბელურია წარმოება. ერთწლიანი ან მრავალწლიანი აგროკულტურებით დაკავებულ ბუნებრივ-აგრორულ ტერიტორიულ კომპლექსთა ლანდშაფტურ-გეოფიზიკური მდგომარეობების დინამიკის შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ მიუხედავად ზემოქმედების ხანმოკლე ხასიათისა, მათი ბუნებრივი რეჟიმი სრულ შესაბამისობაში სისტემატურად მოდის საწყისი ლანდშაფტის ბუნებრივ რეჟიმთან.

ინტენსიურ ანთროპოგენურ ზეგავლენას ასევე განიცდიან **სელიტბური, სამრეწველო, სატრანსპორტო** მიზნებით გამოყენებული ლანდშაფტები. საქალაქო მეურნეობის ნორმალური ფუნქციონირება (წყალმომარაგება, საგარეუბნო ტიპის სოფლის მეურნეობა, ეკოლოგიური მდგომარეობა, რეკრეაცია და სხვ.) უმეტესწილად იმ ლანდშაფტებზე დამოკიდებული, რომლებიც რესურსშემქმნელი, გარემოსაღმდგენი და გარემოსდაცვითი ფუნქციებით ხასიათდება. ზომიერი, პერიოდული და თანაც, შერეული ტიპის – ბუნებრივ-ანთროპოგენური ზემოქმედება ძირითადად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვისაა დამახასიათებელი, რაც ათეულობით მექანიკური (ფიზიკური) თუ ქიმიური სახის ზემოქმედებას მოიცავს. ცალკეულ შემთხვევაში ანთროპოგენური ზემოქმედება (რწყვა, მოსავლის აღება და სხვ.) შესაძლებელია განვიხილოთ როგორც ბუნებრივი მოვლენის (წვიმა, სტრუქტურის გამარტივება, მსხმოიარობის ფენოფაზა და ა.შ.) ანალოგები. უმეტესწილად კი ამგვარი ზემოქმედება, მიუხედავად მისი პერიოდულობისა, ზომიერ, მიზანმიმართულ და გეგმაზომიერ ხასიათს ატარებს. ლანდშაფტებზე სასოფლო-სამეურნეო ზემოქმედების შეფასებისათვის შესაძლებელია განვიხილოთ იქნას შემდეგი კრიტერიუმები: სამეურნეო (ტერიტორიის მოხვნის ხარისხი, %), ქიმიური (მინერალური ნივთიერებების რაოდენობა და ხარისხი), მელიორაციული (მელიორირებადი ტერიტორიების ხვედრითი წილი), მექანიკური (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რაოდენობა ტერიტორიის ერთეულზე) და სხვა.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უმეტესობა **შერეული ტიპის** ზემოქმედებას განიცდის, რომლის მასშტაბურობაც პირდაპირ კავშირშია აგროკულტურის შესაბამისობასთან საწყისი ბუნებრივ ლანდშაფტის სტრუქტურასა და ფუნქციონირებასთან. რაც უფრო მიუღებელია აგროკულტურის სტრუქტურულ-ეთოლოგიური მახასიათებლები საწყისი ლანდშაფტის ანალოგიურ მაჩვენებლებთან, მით უფრო ინტენსიურია ანთროპოგენური ზემოქმედება.

**სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა** დიდ ნაწილს სათიბ-სამოვრები წარმოადგენენ, რომლებიც ძირითადად მაღალი მთის მდელოს და ზედა მთის ტყის ლანდშაფტების სახითაა წარმოდგენილი. სათიბებში ანთროპოგენური ზემოქმედება ერთჯერადი ხასიათისაა და ვერტიკალური სტრუქტურის განადგურებით ხასიათდება. იგივე ტიპის ზემოქმედება ბუნებრივი პროცესებისთვისაცაა დამახასიათებელი შესაბამისი ჰიდროთერმული მდგომარეობების დადგომისთანავე. ყოველწლიურად განმეორებადი თიბ-

ვა, საბოლოო ჯამში, რაოდენობრივ-ხარისხობრივ ცვლილებებსაც განაპირობებს. მიუხედავად ამისა, ზემოთაღნიშნულ ლანდშაფტებში სტრუქტურულ-ფუნქციონალური და ეთოლოგიური ვითარება ერთგვაროვნებით ხასიათდება.

**ექსტენსიური** ანთროპოგენური ზემოქმედება დაკავშირებულია გარემოში „ენერგეტიკული ნარჩენების“ (ხმაური, სითბო, რადიაქტიური ნარჩენები, „ტექნოგენური ნარჩენების“ (თხევადი – სამრეწველო, საყოფაცხოვრებო და მელიორაციული წყლები; გაზობრივი – ჰვარტლი, მტვერი, მძიმე მეტალები), საყოფაცხოვრებო ნარჩენების (ნაგავი, ჯართი და სხვ.) გაბნევასთან. ანთროპოგენური წარმოშობის ნარჩენების ბუნებაში გაბნევა ხორციელდება მექანიკური, ბუნებრივი ან შერეული ფორმით. ნარჩენების მექანიკური გადატანა უმეტესწილად მიზანმიმართულ, იშვიათად კი სტიქიურ ხასიათს ატარებს. ნარჩენების ბუნებრივი მექანიზმებით განპირობებული გაბნევა ძირითადად ქარებით, მდინარი წყლითა და გეოდინამიური პროცესებითაა გამოწვეული. შერეული ფორმის შემთხვევაში ნარჩენების გადატანის მექანიკური მექანიზმი იცვლება ბუნებრივით.

ანთროპოგენური წარმოშობის **ნარჩენების** რაოდენობა ბუნებრივი ნედლეულის მოპოვებისა და გადამუშავების, მოსახლეობის რაოდენობის ზრდისა და კონცენტრაციის, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის განვითარების პირდაპირპროპორციულია. იმის გამო, რომ საქართველოში პრაქტიკულად არ ხორციელდება ანთროპოგენური ნარჩენების გადამუშავება, ისინი გარკვეულწილად გარემოში განიბნევა. ვითარებას ართულებს ისიც, რომ ყოველწლიურად იზრდება როგორც ერთჯერადი მოხმარების საყოფაცხოვრებო საქონლის რეალიზაციის მოცულობა, ასევე ქიმიურად მწვანადშლადი ნივთიერებების კვების მრეწველობაში გამოყენება.

ანთროპოგენური წარმოშობის ნარჩენები, მიუხედავად მათი ლოკალური გავრცელებისა და ლანდშაფტებზე ექსტენსიური ზემოქმედებისა, ხასიათდებიან მნიშვნელოვანი რაოდენობით, გარკვეული კონცენტრაციით და ნივთიერებისა და ენერჯის ტრანსფორმაციაში მნიშვნელოვანი როლით. ამგვარი ვითარება განაპირობებს მოცემული ტერიტორიის კონკრეტულ ლანდშაფტურ-გეოქიმიურ მდგომარეობას, რაც საბოლოო ჯამში მოქმედებს როგორც ლანდშაფტურ-გეოფიზიკურ, ასევე სტრუქტურულ-ფუნქციონალურ მახასიათებლებზე. **ნარჩენების გაბნევა** ცვლის ეკოლოგიურ გარემოს, ლანდშაფტის ცალკეულ კომპონენტთა გამოყენებით დანიშნულებას, ამცირებს რეკრეაციულ-ესთეტიკურ მხარეს, განაპირობებს სამედიცინო-გეოგრაფიული ვითარების გამწვავებას, საცხოვრებელი გარემოს გაუარესებას და ხშირ შემთხვევაში – მოსახლეობის იძულებით მიგრაციას. მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებში უდიდესი ყურადღება ექცევა იმ სამუშაოებს, რომლებიც ნარჩენების გარემოში გაბნევის წინააღმდეგაა მიმართული. სამეცნიერო გამოკვლევების შედეგად სამრეწველო თუ საყოფაცხოვრებო ნარჩენთა 150-მდე სახეობის უპირობო მექანიკური ან ქიმიურ გადამუშავებას გათვალისწინებული.

**მყარი ნარჩენების გარემოში გაბნევა** უმეტეს შემთხვევაში ლანდშაფტის სტრუქტურის ხარისხობრივი (გეოქიმიური) მაჩვენებლების გარკვეულ ცვლილებებს განაპირობებს. მათი კონცენტრაციის არეალები მსხვილი დასახლებული პუნქტების, სამრეწველო ობიექტებისა და რესურსულ-სანედლეულო ცენტრებში წარმოდგენილი ტერიტორიებია. ამგვარ არეალებში ნარჩენების დაგროვება **მექანიკური** ან **შერეული** ფორმით ხორციელდება, რაც უტილიზაციის კარგი საშუალებაა და რაც საზოგადოების ნებაზეა დამოკიდებული. მყარი ნარჩენების გავრცელება მთათაშორისი ბარის ლანდშაფტებისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა გარკვეულწილად ქვედა და შუა მთის ლანდშაფტთა ზოგიერთ უბანზეცაა წარმოდგენილი (სამთამადნო, სამთო-ქიმიური ნედლეულისა და ხე-ტყის გადასამუშავებელი საწარმოების სიახლოვეს).

**თხევადი „ტექნოგენური“ ნარჩენების** გავრცელება წყლის მასიური მოხმარებისა და მოხმარებული წყლის ტრანზიტული რაიონებისთვისაა დამახასიათებელი. მათი გავლენა სარწყავი სისტემებითა (არიდული რაიონები) და ტაიგის (ჭალის) ლანდშაფტებით წარმოდგენილი ტერიტორიებზე აღინიშნება.

„ტექნოგენური ნარჩენების“, ტექნოგენური ზემოქმედების უმნიშვნელოვანეს კერებად **სატრანსპორტო არტერიებიც** გვევლინება. მათ გამჭოლი ხასიათი აქვთ და ერთდროულად რამდენიმე ლანდშაფტზე ახდენენ ზემოქმედებას, ცვლიან ეკოლოგიურ და სოციალურ-დემოგრაფიულ ვითარებას, რისი გათვალისწინებაც აუცილებელია ლანდშაფტური დაგეგმარებისას.

გარემოზე ანთროპოგენური ზემოქმედების შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს ბუნებრივ პროცესებთან ამა თუ იმ საქმიანობის **ზემოქმედების იდენტიფიკაციით**, ზემოქმედების პროგნოზირების და შედეგების რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრის გზით. ანთროპოგენური ზემოქმედების შეფასება უნდა უსწრებდეს სამეურნეო თუ სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებას.

ანთროპოგენურ ზემოქმედებას, ისევე როგორც ნებისმიერ გეოგრაფიულ მოვლენას, კარგად გამოხატული **სივრცე-დროითი თავისებურებანი** ახასიათებს. ხანმოკლე ხასიათის ზემოქმედებას (მაგნე ნივთიერებების გაბნევა გარემოში, მდინარი წყლების დაბინძურება და სხვ.) უკუქმედება გარკვეული დროის შემდეგ და სხვა სივრცით განზომილებაში გააჩნია. ამის გამო, ტექნოგენური ნაერთების მოხვედრა ნიადაგში, ცოცხალ ორგანიზმებში და საბოლოო ჯამში, ადამიანის „კვებით ჯაჭვში“, სივრცე-დროითი ცვალებადობის გამო ხშირად ნაკლებად პროგნოზირებადია. თუმცა, ამგვარ მოვლენათა ლანდშაფტური **პროგნოზირების** ძირითად კანონზომიერებათა დადგენა შესაძლებელია.

ანთროპოგენურ ზემოქმედებას, უპირველეს ყოვლისა, **ლანდშაფტის გეოქიმიურ ციკლში** შეაქვს გარკვეული კორექტივები, თუმცა გამომავალი ფუნქციის სახით იგი მის გეოფიზიკურ ბალანსშიც აისახება. ატმოსფეროდან ნიადაგში ან მცენარეთა ზედაპირზე მოხვედრილი ტექნოგენური ნაერთები ცვლის ფიტომასის წარმოქმნის, სტაბილიზაციისა და გარდაქმნის პროცესს, ხელს უწყობს სხვა ფიტოცენოზის განვითარებას. აგროქიმიური პრეპარატების (სასუქების, პესტიციდები და სხვ.) გამოყენება ნიადაგში

ცვლის მის რეაქციას, ბიოგენურ ელემენტთა ბალანსს, ნიადაგის მიკროორგანიზმთა სახეობრივ შემადგენლობას, რის შედეგადაც იცვლება ნიადაგური ტენის ხასიათი და ორგანული ნივთიერებების გარდაქმნის ბუნებრივი პროცესები. ტექნოგენური ნარჩენების გაბნევისა და გავრცელების რაიონებში მაღალი მდგრადობით გამოირჩევა ფართოფოთლოვანთა ზოგიერთი (მუხა, წიფელი, ნეკერჩხალი) სახეობა, ნაკლები მდგრადობით წიწვოვნები (ნაძვი, ფიჭვი) და სხვა ფართოფოთლოვნები (მურყანი, არყი, რცხილა).

### ***საავტომობილო გზის მშენებლობის და ექსპლოატაციისას გარემოზე ზემოქმედების შეფასების ძირითადი საკითხები***

საავტომობილო გზების მშენებლობა და გარემოზე ზემოქმედების შეფასება, გარდა ზემოთგანხილულისა, ასევე რეგულირდება კანონით „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ (2005 წ.).

საავტომობილო გზის გარემოზე ზემოქმედების შეფასება მოითხოვს **ისეთი პარამეტრების გათვალისწინებას**, როგორცაა: გზის ტექნიკური (საინჟინრო) მახასიათებლები, მიწის ათვისება (სამუდამო დაკარგვა), ინფრასტრუქტურული მომსახურების შესაძლო პრობლემები (გადამცემი ხაზები, წყალმომარაგება, გაზმომარაგება და სხვ.), კერძო საკუთრების პრობლემები და კომპენსაციის შესაძლებლობა, მოძრაობის ინტენსივობა, ადგილობრივი გზების ხასიათი (ალტერნატიული დატვირთვის შემთხვევაში), შესაძლო ემისია და ხმაური, ეკოლოგიური ფაქტორები (ფლორა და ფაუნა, ეკოსისტემები და ლანდშაფტები, სენსიტიური უბნები), ლანდშაფტის შესაძლო ტრანსფორმაცია, მდინარეული ქსელი (მათ შორის თევზის მიგრაციის შენარჩუნების პრობლემა) და ზედაპირული ჩამონადენი, წყლის ხარისხის შესაძლო ცვლილება, გეოლოგიური აგებულება და სეისმური თავისებურებანი, გეომორფოლოგიური და გეოდინამიური თავისებურებანი, კლიმატის ზოგიერთი მახასიათებლის (ქარი, რადიაცია, ნალექების განაწილება, თოვლის საფარი და სხვ.) ცვლილება, გამწვანების შესაძლებლობა, ნიადაგის სტრუქტურის თავისებურებათა გამოვლენა (მათ შორის ეროზიის განვითარების შესაძლებლობა, კარიერების გამოვლენა და ნარჩენების განთავსება, არქეოლოგიური და კულტურული უბნების გამოვლენა და კვლევა.

გარემოზე ზემოქმედების შეფასებისთვის ასევე განიხილება შემდეგი ინფორმაცია:

- ✓ საავტომობილო გზის მდებარეობა საერთაშორისო და ადგილობრივი გზების მიმართ,
- ✓ პრიორიტეტული სამეურნეო პროექტები რეგიონში (ადგილზე) და გზის ხელშემწყობი ფაქტორები,
- ✓ სატვირთო და მგზავრთა ნაკადები,
- ✓ განსახლების დაგეგმარება.

გარემოზე ზემოქმედების შეფასება იწყება საავტომობილო გზის გეოგრაფიული და ტექნიკური მახასიათებლების აღწერით, სადაც ძირითადი აქცენტი კეთდება გეოგრაფიული ობიექტების ფორსირებაზე, შესაძლო სატრანსპორტო კვანძებზე, ხიდებსა და გზაგამტარებზე, სარწყავ არხებსა და წყალამრიდებზე.

გზის მშენებლობის პროცესში წარმოიქმნება სხვადასხვა ტიპის და რაოდენობის ნარჩენი როგორც ინერტული სამშენებლო მასალების, ისე საყოფაცხოვრებო და მცენარეული ნარჩენების, მოხსნილი ან დაბინძურებული გრუნტის სახით.

საავტომობილო გზის მშენებლობის და ექსპლოატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისთვის მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული და **სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ანალიზი**. პირველ რიგში, გასაკეთებელია იმ დასახლებული პუნქტების ჩამონათვალი, რომელზეც უშუალო გავლენას ახდენს საავტომობილო გზა. გარდა ამგვარი ჩამონათვალისა, აუცილებელია ადგილობრივი მოსახლეობის დემოგრაფიული „ქცევის“, შემოსავლების, დასაქმების სტრუქტურის და უმუშევრობის ხარისხის, ეკონომიკის ძირითადი დარგების ხვედრითი წილის და ისტორიულ-გეოგრაფიული პროცესების შესწავლა. ასევე საინტერესოა ისეთი სოციალური საკითხების განხილვა, როგორცაა: განათლება, ჯანდაცვა, მეცნიერება და კულტურა, სპორტი და სხვ. არსებით საკითხთა შორის ასევე მოიაზრება წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემა, ინფრასტრუქტურა და კომუნალური ხარჯები, ისტორიულ-კულტურული გარემო, არქეოლოგიური და ისტორიული ძეგლები, აგრეთვე მათი შესაძლებელი ცვლილების თავისებურებანი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს **მიწის ფონდი** და სხვა ბუნებრივი რესურსების რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლები, მათი სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობა, განვითარების და ტრანსფორმაციის შესაძლებლობანი.

ცნობილია, რომ კეთილმოწყობილი საავტომობილო გზა ცალსახად **გააუმჯობესებს** არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას, გაზრდის ტვირთბრუნვისა და მგზავრთბრუნვის მაჩვენებლებს, რეგიონთშორის კავშირებს, ტურისტულ ნაკადებს, სოფლის მეურნეობის წარმოებას, კერძო და გზისპირა ბიზნესის შესაძლებლობებს, გააჯანსაღებს საცხოვრებელ გარემოს, შეამცირებს ხმაურსა და მტვერს.

საავტომობილო გზის მშენებლობის და ექსპლოატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისას მნიშვნელოვანია მისი როგორც მოკლევადიანი (1 – 3 წლის ფარგლებში), ისე საშუალო (3-5 წლის) და გრძელვადიანი (5-10 წლის ფარგლებში) ხასიათის განხილვა.

**მოსახლეობისა და ადგილობრივი ბიზნესისთვის** მნიშვნელოვანია ისეთი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც უკავშირდება მიწის ფონდის ცვლილებებს, მისი შესყიდვისა და განსახლების პროცედურებს. ასევე არსებითია მოსახლეობის დროებითი დასაქმების, საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის ტრანსფორმაციის და განახლების, ბიზნესზე შესაძლო ზემოქმედების განხილვა და ინფორმირება. ამგვარი მიდგომით გამოირიცხება შესაძლო კონფლიქტების განვითარება.

სახელმწიფოს (საავტომობილო გზების დეპარტამენტის) და მსოფლიო ბანკის მიერ მიღებულია არაერთი პრინციპი, რომლებიც უზრუნველყოფენ ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადგილობრივი მოსახლეობისთვის მატერიალური ზიანის მინიმუმამდე დაყვანას, ზარალის კომპენსაციას, შემოსავლების რეაბილიტაციას და დახმარებას, სოციალურად დაუცველთა და ლტოლვილთა დახმარებას, ამგვარი პროცესის სამართლიანობას და გამჭვირვალობას.

საავტომობილო გზის მშენებლობის და ექსპლოატაციისას გარემოზე პოტენციური ზემოქმედება შესაძლებელია იყოს:

- ✓ ლანდშაფტის და მისი ბუნებრივი მახასიათებლების (კომპონენტების – რელიეფი, მიკროკლიმატი, წყლები, ნიადაგი, მცენარეულობა, ეკოსისტემები, ჰაბიტატები, ეკოტონები, რეკრეაციული ფასეულობები) განადგურება;
- ✓ ცხოველთა მიგრაციის გზების გადაკეტვა;
- ✓ გეოდინამიური პროცესების (მეწყერი, ეროზია, დატბორვა, ქვათაცვენა და სხვ.) პროვოცირება და სტიმულირება;
- ✓ ნაშალი მასალის რაოდენობის ზრდა მიმდებარე ტერიტორიებსა და მდინარეებში (წყლის ბუნებრივ და ხელოვნურ ნაკადებში);
- ✓ ჰაერის, ნიადაგებისა და წყლის დაბინძურება;
- ✓ განსახლების და ბიზნესის ტრანსფორმაცია;
- ✓ მიწათსარგებლობის ფორმების ცვლილება;
- ✓ არქეოლოგიურ და კულტურულ ობიექტებზე ზემოქმედება;
- ✓ ინფრასტრუქტურის ობიექტების დაზიანება;
- ✓ ტექნოგენური ავარიების საფრთხის ზრდა;
- ✓ კარიერების და ნაგავსაყრელების წარმოქმნა (საყოფაცხოვრებო, სამშენებლო და ინერტული ნარჩენების სახით).

- პერსონალის აყვანა შესაბამისი ტესტირების საფუძველზე;
- თითოეულ პერსონალთან ინდივიდუალური სამუშაო კონტრაქტის გაფორმება;
- პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მუხლების ჩართვა ყველა გეგმის, პროცედურის და შემარბილებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, აგრეთვე, იმ მუხლების ჩართვა, რომლებიც ეხება უსაფრთხოების გეგმების მონიტორინგსა და უბედური შემთხვევების შესახებ ანგარიშებს;
- პერსონალის უზრუნველყოფა ინფორმაციით მათი სამსახურის შესახებ - სამუშაო ქცევის კოდექსის შემუშავება;
- არა ადგილობრივი პერსონალის ინფორმირება ადგილობრივი უნარ-ჩვევებისა და კულტურის შესახებ;
- სხვადასხვა მასალების შესყიდვისას უპირატესობის მინიჭება ადგილობრივი
- პროდუქციისთვის და ადგილობრივი საწარმოების მხარდაჭერა;

- პერსონალის საჩივრების განხილვის მექანიზმის შემუშავება და პრაქტიკულად გამოყენება;  
პერსონალის საჩივრების ჟურნალის წარმოება.

## 7 შემარბილებელი ღონისძიებების შეჯამება

### 7.1 მშენებლობის ეტაპი

რეცეპტორი/ ზემოქმედება	ზემოქმედების აღწერა	შემარბილებელი ღონისძიებები	დახასიათება
ატმოსფერულ ჰაერში არაორგანული მტვერის გავრცელება	მიწის სამუშაოების მანქანების გადაადგილებისას წარმოქმნილი მტვერი; ინერტული მასალების, სამშენებლო მასალების დატვირთვა-გადმოტვირთვისას	სამშენებლო ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა; სამუშაო დღეებში მშრალ და ქარიან ამინდში ოთხ საათში ერთხელ არაასფალტირებული გზის ან გამიშვლებული გრუნტის საფარიანი ტერიტორიების მორწყვა; წყარი სამშენებლო მასალების შენახვის წესების დაცვა, რათა არ მოხდეს მათი ამტვერება ქარიან ამინდებში; სატვირთო მანქანებით ფხვიერი მასალის გადატანისას, როცა არსებობს ამტვერების ალბათობა, მათი ბრეზენტით დაფარვა; მიწის სამუშაოების წარმოების და მასალების დატვირთვა-გადმოტვირთვისას მტვრის ჭარბი ემისიის თავიდან ასაცილებლად სიფრთხილის ზომების მიღება (მაგ. დატვირთვა გადმოტვირთვისას დიდი სიმალიდან მასალის დაყრის აკრძალვა); ტრანსპორტის მოძრაობის ოპტიმალური სიჩქარის დაცვა; მანქანების ბორბლების რეცხვა (მიზანშეწონილია კომერციული ავტოსამრეცხაოების მომსახურების გამოყენება); პერსონალის (განსაკუთრებით სატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნიკის მძღოლების) ინსტრუქტაჟი სამუშაოების დაწყებამდე; საჩივრების შემოსვლის შემთხვევაში მათი დაფიქსირება/აღრიცხვა და სათანადო რეაგირება.	ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელოვნება: „დაბალი“ პასუხისმგებელი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე: მშენებელი კონტრაქტორი მონიტორინგი: მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის შემოწმება; მძღოლების და ტექნიკაზე მომუშავე პერსონალის ინსპექტირება; ინსპექტირება მშრალ ამინდებში. პასუხისმგებელი მონიტორინგზე: მშენებელი კონტრაქტორის მიერ გამოყოფილი გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების მენეჯერი.
ატმოსფერული ჰაერში წვის პროდუქტების გავრცელება	მანქანების, სამშენებლო ტექნიკის გამონაბოლქვი; შედუღების აეროზოლები.	მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა; მანქანების გადაადგილებისას ოპტიმალური მარშრუტის და სიჩქარის შერჩევა; მანქანების ძრავების ჩაქრობა ან მინიმალურ ბრუნზე მუშაობა, როცა არ ხდება მათი გამოყენება. პერსონალის ინსტრუქტაჟი სამუშაოების დაწყებამდე;	ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელოვნება: „დაბალი“ ან „ძალიან დაბალი“ პასუხისმგებელი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე: მშენებელი კონტრაქტორი მონიტორინგი: მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის შემოწმება. მძღოლების და ტექნიკაზე მომუშავე

			<p>პერსონალის ინსპექტირება.</p> <p>პასუხისმგებელი მონიტორინგზე: მშენებელი კონტრაქტორის მიერ გამოყოფილი გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების მენეჯერი.</p> <p>მონიტორინგის ჩატარების ხარჯები: დამატებით ხარჯებთან დაკავშირებული არ არის.</p> <p>შემარბილებელი ღონისძიებების ჩატარების ხარჯები: დამატებით ხარჯებთან დაკავშირებული არ არის.</p>
<p>ხმაურის გავრცელება სამუშაო ან ინდუსტრიულ ზონაში</p> <p>მნიშვნელოვნება: „საშუალო“</p>	<p>სატრანსპორტო საშუალებებით გამოწვეული ხმაური; სამშენებლო ტექნიკით გამოწვეული ხმაური.</p>	<p>მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა; საჭიროებისამებრ, პერსონალის უზრუნველყოფა დაცვის საშუალებებით (ყურსაცმები) - ტექნიკის ოპერატორები უნდა აღიჭურვონ ყურდამცავი საშუალებებით. ყურდამცავი საშუალებების უზრუნველყოფა საჭიროა იმ უბნებზე მომუშავე მუშახელისთვის, სადაც ხმაურის დონე 85 დბა-ს აღემატება. ყურდამცავი საშუალებების ალტერნატივა შესაძლოა იყოს მათი დაყოვნების დროის შეზღუდვა მაღალი აკუსტიკური ფონის არეში. მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების მიხედვით, დამცავი საშუალებების გარეშე &gt;85 დბა უბნებში მუშაობის დრო ყოველი 3 დბა-იანი გადაჭარბებისა უნდა განახევრდეს; პერსონალის ინსტრუქტაჟი სამუშაოების დაწყებამდე.</p>	<p>ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელოვნება: „საშუალო“.</p> <p>პასუხისმგებელი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე: მშენებელი კონტრაქტორი</p> <p>მონიტორინგი: მანქანა/დანადგარების ტექნიკური მდგომარეობის კონტროლი.</p> <p>პასუხისმგებელი მონიტორინგზე: მშენებელი კონტრაქტორის მიერ გამოყოფილი გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების მენეჯერი.</p> <p>მონიტორინგის ჩატარების ხარჯები: დამატებით ხარჯებთან დაკავშირებული არ არის.</p> <p>შემარბილებელი ღონისძიებების ჩატარების ხარჯები: პერსონალის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ხარჯები - „დაბალი“.</p>
<p>ხმაურის გავრცელება საცხოვრებელი ზონის საზღვარზე</p> <p>მნიშვნელოვნება: „საშუალო“ (გარკვეული სამუშაოების)</p>	<p>სატრანსპორტო საშუალებებით გამოწვეული ხმაური და ვიბრაცია; სამშენებლო ტექნიკით გამოწვეული ხმაური და ვიბრაცია.</p>	<p>მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა; „ხმაურიანი“ სამუშაოების წარმოება მხოლოდ დღის საათებში; პერსონალის ინსტრუქტაჟი სამუშაოების დაწყებამდე; საჩივრების შემოსვლის შემთხვევაში მათი დაფიქსირება/აღრიცხვა და სათანადო რეაგირება; განსაკუთრებით ხმაურიანი სამუშაოების განხორციელების შესახებ წინასწარ შეთანხმება გზისპირა მოსახლეობასთან.</p>	<p>ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელოვნება: „დაბალი“</p> <p>პასუხისმგებელი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე: მშენებელი კონტრაქტორი</p> <p>მონიტორინგი: მანქანა/დანადგარების ტექნიკური მდგომარეობის კონტროლი;</p> <p>პასუხისმგებელი მონიტორინგზე:</p>

<p>შესრულების დროს შესაძლებელია მაღალი ზემოქმედებაც)</p>			<p>მშენებელი კონტრაქტორის მიერ გამოყოფილი გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების მენეჯერი.</p> <p>მონიტორინგის ჩატარების ხარჯები: დამატებით ხარჯებთან დაკავშირებული არ არის.</p> <p>შემარბილებელი ღონისძიებების ჩატარების ხარჯები: დამატებით ხარჯებთან დაკავშირებული არ არის.</p>
<p>ნიადაგის/გრუნტის დაბინძურება</p> <p>მნიშვნელოვნება: „დაბალი“</p>	<p>ნიადაგის დაბინძურება ნარჩენებით; დაბინძურება საწვავის, ზეთების ან სხვა ნივთიერებების დაღვრის შემთხვევაში.</p>	<p>მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა საწვავის/საპოხი მასალების დაღვრის თავიდან აცილების მიზნით მასალების სწორი მენეჯმენტი; ნარჩენების სწორი მენეჯმენტი; საწვავის/საპოხი მასალის დაღვრის ლოკალიზაცია და გაწმენდა; პერსონალის ინსტრუქტაჟი სამუშაოს დაწყებამდე; შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით და ინვენტარით აღჭურვა (კონტეინერები, დაღვრის შემკრები საშუალებები და ა.შ.); სარეაბილიტაციო სამუშაოს დასრულების შემდეგ ყველა პოტენციური დამაბინძურებელი მასალის გატანა; საჭიროების შემთხვევაში ნიადაგის ხარისხის ლაბორატორიული კონტროლი.</p>	<p>ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელოვნება: „დაბალი“ ან „ძალიან დაბალი“</p> <p>პასუხისმგებელი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე: მშენებელი კონტრაქტორი</p> <p>მონიტორინგი: ტექნიკური გამართულობის შემოწმება; ნარჩენების მენეჯმენტის გეგმის შესრულების კონტროლი; ნიადაგის მდგომარეობის ვიზუალური კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში ლაბორატორიული კონტროლი.</p> <p>პასუხისმგებელი მონიტორინგზე: მშენებელი კონტრაქტორი</p> <p>მონიტორინგის ჩატარების ხარჯები: საჭიროების შემთხვევაში ლაბორატორიული კონტროლის ხარჯები - „დაბალი“</p> <p>შემარბილებელი ღონისძიებების ჩატარების ხარჯები: დაღვრის აღმოსაფხვრელი ინვენტარის და ნიადაგის გაწმენდის ხარჯები. სხვა ხარჯები - „დაბალი“.</p>
<p>მიწისქვეშა წყლების დაბინძურება</p> <p>მნიშვნელოვნება: „დაბალი“</p>	<p>ხარისხის გაუარესება დაბინძურებული ნიადაგით; სამშენებლო სამუშაოების (მიწის სამუშაოების) დროს</p>	<p>ზედაპირული წყლის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების ყველა ღონისძიების გატარება (იხ. შესაბამისი პუნქტი); ნიადაგის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების ყველა ღონისძიების გატარება (იხ. შესაბამისი პუნქტი).</p>	<p>ნარჩ. ზემოქმედების მნიშვნელოვნება: „ძალიან დაბალი“</p> <p>პასუხისმგებელი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე: მშენებელი კონტრაქტორი</p> <p>მონიტორინგი: მონიტორინგს არ</p>

	საწვავის/საპოხი მასალის დაღვრის შედეგად.		საჭიროებს. პასუხისმგებელი მონიტორინგზე: - მონიტორინგის ჩატარების ხარჯები: - შემარბილებელი ღონისძიებების ჩატარების ხარჯები: ნიადაგის ხარისხის დაცვის შემარბილებელი ღონისძიებების ხარჯები.
ლანდშაფტურ-ვიზუალური ცვლილება	ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებები	დროებითი და მუდმივი ნაგებობების ფერის და დიზაინის გონივრული შერჩევა;	ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელოვნება: - „დაბალი“
მნიშვნელოვნება: „დაბალი“	სატრანსპორტო საშუალებების მომატებული გადაადგილებით, სამშენებლო ტექნიკის ფუნქციონირებით, სამშენებლო მასალების და ნარჩენების დასაწყობებით და სხვა.	დროებითი კონსტრუქციების, მასალების და ნარჩენების ისე განთავსება, რომ ნაკლებად შესამჩნევი იყოს ვიზუალური რეცეპტორებისთვის (გზისპირა მოსახლეობისთვის და მგზავრებისთვის); სარეაბილიტაციო სამუშაოს დასრულების შემდეგ ტერიტორიების გამწვანება და ლანდშაფტის აღდგენითი სამუშაოების ჩატარება.	პასუხისმგებელი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე: მშენებელი კონტრაქტორი მონიტორინგი: ვიზუალური, ტერიტორიის სანიტარულ-ეკოლოგიური მდგომარეობის კონტროლის მიზნით პასუხისმგებელი მონიტორინგზე: მშენებელი კონტრაქტორი მონიტორინგის ჩატარების ხარჯები: დამატებით ხარჯებთან დაკავშირებული არ არის. შემარბილებელი ღონისძიებების ჩატარების ხარჯები: მნიშვნელოვან ხარჯებთან დაკავშირებული არ არის.
ზემოქმედება ფაუნაზე	სამშენებლო ტექნიკის/ტრანსპორტის და ხალხის გადაადგილება, მუშაობისას ადგილობრივი ფაუნის დროებითი შემფოთება (უშუალო ზემოქმედება - დაჯახება, ირიბი ზემოქმედება - ხმაური, მტვერი, გამონახოლქვი და სხვ)	ტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტის და სამშენებლო მოედნების საზღვრების მკაცრი დაცვა; მოძრაობის ოპტიმალური სიჩქარის შერჩევა უშუალო ზემოქმედების ალბათობის (დაჯახება) შესამცირებლად; მიღებულ იქნას ზომები სამუშაოების დროს მტვერის რაოდენობის, ხმაურისა და ვიბრაციის დონის შემცირებისათვის; ნარჩენების სათანადო მენეჯმენტი; აიკრძალოს ნავთობპროდუქტებისა და სხვა მომწამლავი ნივთიერებების დაღვრა წყალსა და ნიადაგზე; ორმოები, ტრანშეები და სხვა შემოსაზღვრულ იქნას რაიმე წინააღმდეგობით ცხოველების შიგ ჩავარდნის თავიდან ასაცილებლად; პერსონალის ინსტრუქტაჟი სამუშაოების დაწყებამდე.	ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელოვნება: „მაღიან დაბალი“. პასუხისმგებელი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე: მშენებელი კონტრაქტორი მონიტორინგი: ნარჩენების მენეჯმენტის კონტროლი; მოწყობილობების გამართულობის კონტროლი; პასუხისმგებელი მონიტორინგზე: მშენებელი კონტრაქტორი მონიტორინგის ჩატარების ხარჯები: დამატებით ხარჯებთან დაკავშირებული არ არის. შემარბილებელი ღონისძიებების ჩატარების ხარჯები:

			ორმოების შემოღობვისთვის საჭირო ხარჯები, რაც მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებს არ მოითხოვს. სხვა ღონისძიებები დამატებით ხარჯებთან დაკავშირებული არ არის.
ნარჩენები	სამშენებლო ნარჩენები (მ.შ. სახიფათო ნარჩენები)	წარმოქმნილი ნარჩენების (განსაკუთრებით ინერტული სამშენებლო ნარჩენების) მაქსიმალურად გამოყენებული იქნას ხელმეორედ (მაგალითად გზის საგები ფენის მოსაწყობად);	ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელოვნება: „დაბალი“
მნიშვნელოვნება: „საშუალო“	საყოფაცხოვრებო ნარჩენები.	ნარჩენების დროებითი განთავსებისთვის გარე ფაქტორების ზემოქმედებისგან დაცული უბნების გამოყოფა; ნარჩენების მართვის პროცესის მკაცრი კონტროლი. წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის, ტიპების და შემდგომი მართვის პროცესების აღრიცხვის მიზნით სპეციალური ჟურნალის წარმოება; სახიფათო ნარჩენები შეფუთული უნდა იყოს სათანადოდ და უნდა გააჩნდეს შესაბამისი მარკირება; სახიფათო ნარჩენების მართვა მოხდეს ამ საქმიანობისთვის შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორის საშუალებით.	პასუხისმგებელი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე: მშენებელი კონტრაქტორი მონიტორინგი: ნარჩენების მენეჯმენტის კონტროლი პასუხისმგებელი მონიტორინგზე: მშენებელი კონტრაქტორი მონიტორინგის ჩატარების ხარჯები: დამატებით ხარჯებთან დაკავშირებული არ არის. შემარბილებელი ღონისძიებების ჩატარების ხარჯები: სახიფათო ნარჩენების გატანისთვის დაქირავებული კონტრაქტორის ხარჯები. ნარჩენების შესაბამისი წესებით შეფუთვის და ტრანსპორტირების ხარჯები სულ, ხარჯები - „საშუალო“
მოსახლეობის და პერსონალის უსაფრთხოება და ჯანმრთელობა	პირდაპირი (ტრანსპორტის დაჯახება და სხვ.) არაპირდაპირი (ატმოსფერული ემისიები, მომატებული აკუსტიკური ფონი, წყლისა და ნიადაგის დაბინძურება).	სამუშაოზე აყვანისას და შემდგომ წელიწადში რამდენჯერმე პერსონალს ჩაუტარდეს ტრენინგი უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის საკითხებზე; სიმაღლეზე მუშაობისას პერსონალი დაზღვეული უნდა იყოს თოკებით და სპეციალური სამაგრებით; პერსონალის და ადგილობრივ მაცხოვრებელთა უსაფრთხოების მიზნით სამშენებლო მოედნებთან შესაბამის ადგილებში უნდა მოეწყოს გამაფრთხილებელი, ამკრძალავი და მიმითითებელი ნიშნები; სამშენებლო ბანაკზე და ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებით სახიფათო უბნებზე უნდა არსებობდეს სტანდარტული სამედიცინო ყუთები; გაკონტროლდეს და აიკრძალოს სამშენებლო მოედნებზე უცხო პირთა უნებართვოდ ან სპეციალური დამცავი საშუალებების გარეშე მოხვედრა და გადაადგილება;	ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელოვნება: „დაბალი“ პასუხისმგებელი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე: მშენებელი კონტრაქტორი მონიტორინგი: პერიოდული კონტროლი/ინსპექტირება პასუხისმგებელი მონიტორინგზე: მშენებელი კონტრაქტორის მიერ სპეციალურად გამოყოფილი პერსონალი. მონიტორინგის ჩატარების ხარჯები: საჭიროების შემთხვევაში დამატებითი

		<p>სატრანსპორტო ოპერაციებისას უსაფრთხოების წესების დაცვა; რეგულარულად ჩატარდეს რისკის შეფასება ადგილებზე. მოსახლეობისათვის კონკრეტული რისკ-ფაქტორების დასადგენად და ასეთი რისკების შესაბამისი მართვის მიზნით;</p> <p>პერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (სპეცტანსაცმელი, ჩაფხუტები და სხვ.)</p> <p>სასურველია პერსონალის სამედიცინო დაზღვევა.</p> <p>ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების ღონისძიებების გატარება (იხ. შესაბამისი პუნქტები);</p>	<p>პერსონალის აყვანის ხარჯები - მაღალი.</p> <p>მონიტორინგული სამუშაოები დამატებით ხარჯებთან დაკავშირებული არ არის.</p> <p>შემარბილებელი ღონისძიებების ჩატარების ხარჯები;</p> <p>პირველადი სამედიცინო ინვენტარის ხარჯები;</p> <p>პერსონალის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ხარჯები;</p> <p>გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნების ხარჯები;</p> <p>ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების ღონისძიებებთან დაკავშირებული ხარჯები;</p> <p>სულ, ხარჯები - „საშუალო“</p>
<p>ზემოქმედება სამიში გეოდინამიკური პროცესების (ეროზია მეწყერი და სხვ) გააქტიურება</p> <p>მნიშვნელოვნება: „ძალიან დაბალი“</p>	<p>ქანების დესტაბილიზაცია, დამეწყვრა, ეროზიული პროცესების გააქტიურება ნაგებობების ფუნდამენტების მომზადებისას და სხვა საექსკავ. სამუშაოებისას</p>	<p>მოხდება ზედაპირული და გრუნტის წყლების ორგანიზაციული გაყვანა, იმ პირობით, რომ არ გამოიწვიოს ქვემოთ არსებული ფერდობების დამატებითი გაწყლიანება;</p> <p>გზის ვაკისის დეფორმაციის თავიდან ასაცილებლად, საჭიროების შემთხვევაში მის ქვემოთ მოეწყობა გაბიონები;</p> <p>მასალები და ნარჩენები განთავსდება ისე, რომ ადგილი არ ქონდეს ეროზიას და არ მოხდეს ზედაპირული ჩამონადენით მათი სამშენებლო მოედნიდან გატანა. გრუნტის ნაყარების სიმაღლე არ იქნება 2 მ-ზე მეტი;</p> <p>ნაყარების ფერდებს მიეცემა შესაბამისი დახრის (450 ) კუთხე;</p> <p>ზედაპირული წყლებისრეგულაცია მიკრორელიეფური პირობების გათვალისწინებით.</p>	<p>ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელოვნება: „მაღალი“</p> <p>პასუხისმგებელი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე: მშენებელი კონტრაქტორი</p> <p>მონიტორინგი: ყველა სენსიტიული უბნების ვიზუალური შემოწმება სამუშაოების დაწყებამდე და დასრულების შემდგომ.</p> <p>პასუხისმგებელი მონიტორინგზე: მშენებელი კონტრაქტორი</p> <p>მონიტორინგის ჩატარების ხარჯები: ხარჯებთან დაკავშირებული არ არის</p> <p>შემარბილებელი ღონისძიებების ჩატარების ხარჯები: დაკავშირებულია საშუალო ხარჯებთან</p>
<p>ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე</p>	<p>სატრანსპორტო ნაკადების გადატვირთვა; გადაადგილების შეზღუდვა. ავტოსაგზაო შემთხვევების რისკები</p>	<p>მაქსიმალურად შეიზღუდება მუხლუხიანი ტექნიკის გადაადგილება; სამშენებლო ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებას საჭიროების შემთხვევაში გააკონტროლებს მედროშე სამშენებლო მოედნების სიახლოვეს განთავსდება შესაბამისი</p> <p>საინფორმაციო და გამაფრთხილებელი ნიშნები; მოსახლეობისთვის და მგზავრებისთვის მიწოდებული იქნება ინფორმაცია</p>	<p>ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელოვნება: „დაბალი“</p> <p>პასუხისმგებელი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე: საქმიანობის განმსახორციელებელი ორგანიზაცია</p> <p>მონიტორინგი: პერიოდული კონტროლი</p>



		სამუშაოების წარმოების დროის და პერიოდის შესახებ; საჩივრების შემოსვლის შემთხვევაში მოხდება მათი დაფიქსირება/აღრიცხვა და სათანადო რეაგირება.	პასუხისმგებელი მონიტორინგზე: საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაცია
			მონიტორინგის ჩატარების ხარჯები: ხარჯებთან დაკავშირებული არ არის
			შემარბილებელი ღონისძიებების ჩატარების ხარჯები: მნიშვნელოვან ხარჯებთან დაკავშირებული არ არის.

### 7.1.1 ოპერირების ფაზა

რეკვიპორი/ ზემოქმედება	ზემოქმედების აღწერა	შემარბილებელი ღონისძიებები	დახასიათება
ატმოსფერულ ჰაერში არაორგანული მტვერის გავრცელება  მნიშვნელოვნება: „მაღალი“	მანქანების გადაადგილებისას წარმოქმნილი მტვერი;	არსებული მოხრეშილი გზის გუდრონით ან ნაფრეზი ასფალტით გადაფარვა მშრალ და ქარიან ამინდში ოთხ საათში ერთხელ არაასფალტირებული გზის საფარიანი ტერიტორიების მორწყვა;	ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელოვნება: „საშუალო“  პასუხისმგებელი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე: შესაბამისი კომპეტენციის სახელმწიფო სამსახური  მონიტორინგი: ინსპექტირება მშრალ ამინდებში.  პასუხისმგებელი მონიტორინგზე: შესაბამისი კომპეტენციის სახელმწიფო სამსახური
ატმოსფერული ჰაერში წვის პროდუქტების და მტვერის გავრცელება  მნიშვნელოვნება: „საშუალო“	გზაზე მოძრავი ავტომობილების გამონაბოლქვი და მტვერი	საჩივრების შემოსვლის შემთხვევაში საკონტროლო წერტილებში ჰაერის ხარისხის ინსტრუმენტალური გაზომვა;	ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელოვნება: „დაბალი“  პასუხისმგებელი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე: შესაბამისი კომპეტენციის სახელმწიფო სამსახური  მონიტორინგი: ხელოვნურად გაშენებული მცენარეული საფარის ვიზუალური დათვალიერება  პასუხისმგებელი მონიტორინგზე: შესაბამისი კომპეტენციის სახელმწიფო სამსახური
ხმაურის გავრცელება	ავტომობილების	საჩივრების შემოსვლის შემთხვევაში საკონტროლო წერტილებში ხმაურის	ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელოვნება:

<p>საცხოვრებელი ზონის საზღვარზე მნიშვნელოვნება: „საშუალო“</p>	<p>ძრავებისაგან გამოწვეული ხმაური; საბურავები-გზის საფარის ხახუნის შედეგად გამოწვეული ხმაური; ხმოვანი სიგნალის გავრცელება</p>	<p>დონის გაზომვა და სათანადო რეაგირება; გზაზე შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნების დამაგრება, რათა შეიზღუდოს და სახლებულ ზონაში ხმოვანი სიგნალების გამოყენება.</p>	<p>„დაბალი“ პასუხისმგებელი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე: შესაბამისი კომპეტენციის სახელმწიფო სამსახური მონიტორინგი: მანქანა/დანადგარების ტექნიკური მდგომარეობის კონტროლი; პასუხისმგებელი მონიტორინგზე: შესაბამისი კომპეტენციის სახელმწიფო სამსახური</p>
<p>ნარჩენები მნიშვნელოვნება: „დაბალი“</p>	<p>გზაზე მოძრავი ავტომობილების მგზავრების მიერ გაფანტული ნაგავი და მომსახურების ბიექტებში დაგროვილ ნარჩენები</p>	<p>მომსახურების ობიექტების აღჭურვა ურნებითა და ბუნკერებით; მოსახლეობის და მგზავრების თვითშეგნების ამაღლება, და ინფორმაციის მიწოდება ნარჩენების სათანადო მართვის გზების შესახებ; მოსახლეობის და მგზავრების ინფორმირება დანაგვიანებისთვის ჯარიმის რაოდენობის შესახებ; გზაზე სპეციალური ბანერების გამოყენება, სადაც დატანილი იქნება ინფორმაცია დანაგვიანების არაკანონიერების, მასზე დაწესებული ჯარიმის შესახებ და ასევე ის რომ გზაზე წარმოებს შესაბამისი მონიტორინგი.</p>	<p>ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელოვნება: „დაბალი“ პასუხისმგებელი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე: შესაბამისი კომპეტენციის სახელმწიფო სამსახური მონიტორინგი: გზაზე მოძრავი ავტომობილებიდან ნარჩენების გადმოყრის მონიტორინგი პასუხისმგებელი მონიტორინგზე: შესაბამისი კომპეტენციის სახელმწიფო სამსახური</p>
<p>მგზავრთა და ფეხით მოსიარულეთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება მნიშვნელოვნება: „საშუალო“</p>	<p>ავტოსაგზაო შემთხვევების რისკი</p>	<p>სავტომობილო გზის ფარგლებში შესაბამისი საგზაო ნიშნების დამონტაჟება;</p>	<p>ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელოვნება: „დაბალი“ პასუხისმგებელი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე: შესაბამისი კომპეტენციის სახელმწიფო სამსახური მონიტორინგი: დასაშვები სიჩქარის და მოძრაობის წესების დაცვის კონტროლი პასუხისმგებელი მონიტორინგზე: შესაბამისი კომპეტენციის სახელმწიფო სამსახური</p>

## 8 გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ფარგლებში ეკოლოგიური მონიტორინგის ორგანიზება ითვალისწინებს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- სამშენებლო სამუშაოების და ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების დადასტურება;
- რისკებისა და ეკოლოგიური ზემოქმედებების კონტროლირებადობის უზრუნველყოფა;
- დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;
- ნეგატიური ზემოქმედების შემამცირებელი/შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობის განსაზღვრა და აუცილებლობის შემთხვევაში, მათი კორექტირება;

პროექტის განხორციელების (სამშენებლო სამუშაოები და ექსპლუატაცია) პერიოდში პერმანენტული გარემოსდაცვითი კონტროლი.

გზის მშენებლობისას და ექსპლუატაციისას გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა მოცემულია ცხრილებში აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ გეგმას ზოგადი სახე გააჩნია და საქმიანობის განხორციელების პროცესში შესაძლებელია მისი დეტალიზება და გარკვეული მიმართულებით კორექტირება.

ცხრილი. გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა-მშენებლობის ეტაპი

კონტროლის საგანი	კონტროლის/სინჯის აღების წერტილი	მეთოდი	სიხშირე/დრო	მიზანი	პასუხისმგებელი
1	2	3	4	5	6
ატმოსფერული ჰაერი	სამშენებლო მოედნები	ვიზუალური; მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის კონტროლი	მიწის სამუშაოების წარმოების პროცესში; ინტენსიური სატრანსპორტო ოპერაციებისას; პერიოდულად მშრალ ამინდში; სამშენებლო სამუშაოების დროს; ტექნიკის გამართულობის შემოწმება სამუშაოს დაწყებამდე	ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ნორმატიულთან შესაბამისობის უზრუნველყოფა; მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება მუშახელის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.	მშენებელი კონტრაქტორი
ხმაური	სამშენებლო მოედნები უახლოესი რეცეპტორი (გზისპირა სახლები)	კონტროლი; გაზომვა; მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის კონტროლი	პერიოდული კონტროლი (განსაკუთრებით ძლიერი ხმაურის გამომწვევი ოპერაციების შესრულებისას); გაზომვა - საჩივრების შემოსვლის შემთხვევაში; ტექნიკის გამართულობის შემოწმება სამუშაოს დაწყებამდე.	ჯანდაცვის და უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა; მოსახლეობის მინიმალური შემფოთება; მუშახელის კომფორტული სამუშაო პირობების შექმნა.	მშენებელი კონტრაქტორი
ნიადაგი	მასალების და ნარჩენების დასაწყობების ადგილი; სამშენებლო მოედნები	ვიზუალური კონტროლი; მეთვალყურეობა ნარჩენების მენეჯმენტზე ლაბორატორიული კონტროლი; მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის კონტროლი.	პერიოდული შემოწმება; შემოწმება სამუშაოს დასრულების შემდეგ; ლაბორატორიული კონტროლი - საჭიროების (ნავთობპროდუქტების დაღვრის) შემთხვევაში.	ნიადაგის სტაბილურობის და ხარისხის შენარჩუნება; ნიადაგის ხარისხზე დამოკიდებული სხვა რეცეპტორებზე (მცენარეული საფარი, მოსახლეობა და სხვ) ზემოქმედების მინიმუმამდე.	მშენებელი კონტრაქტორი

მიწისქვეშა წყალი	მასალების და ნარჩენების დასაწყობების ადგილი; სამშენებლო მოედნები	ნიადაგის ხარისხის ვიზუალური კონტროლი; ნიადაგის ხარისხის ლაბორატორიული კონტროლი; მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის კონტროლი.	პერიოდული შემოწმება; ლაბორატორიული კონტროლი - საჭიროების (ნავთობპროდუქტების დაღვრის) შემთხვევაში	მიწისქვეშა წყლის ხარისხის დაცვის უზრუნველყოფა.	მშენებელი კონტრაქტორი
------------------	--	---	--	--	-----------------------

უარყოფითი ვიზუალური ცვლილება	მასალების და ნარჩენების დასაწყობების ადგილი; სამშენებლო მოედნები	ვიზუალური კონტროლი; მეთვალყურეობა ნარჩენების მენეჯმენტზე და სანიტარულ პირობებზე.	პერიოდული შემოწმება და ინსპექტირება; სამუშაოების დასრულების შემდგომ.	მოსახლეობის უკმაყოფილების გამორიცხვა; გზაზე მოძრავი მგზავრების უკმაყოფილების გამორიცხვა	მშენებელი კონტრაქტორი
ბიოლოგიური გარემოს მდგომარეობა	საპროექტო გზის განაპირა ზოლი	ვიზუალური კონტროლი	კონტროლი სამუშაო საათების განმავლობაში; დაუგეგმავი კონტროლი.	ცხოველთა სამყაროზე ნეგატიური ზემოქმედების მინიმიზაცია.	მშენებელი კონტრაქტორი
ნარჩენები	სამშენებლო მოედანი და/ან მიმდებარე ტერიტორია; ნარჩენების განთავსების ტერიტორია	ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერება; ნარჩენების მენეჯმენტის კონტროლი	პერიოდული შემოწმება და ინსპექტირება; სამუშაოების დასრულების შემდგომ.	ნიადაგის, წყლის ხარისხის დაცვა; უარყოფითი ვიზუალური ეფექტის რისკის შემცირება; მოსახლეობის უკმაყოფილების გამორიცხვა.	მშენებელი კონტრაქტორი
შრომის უსაფრთხოება	სამუშაოთა წარმოების ტერიტორია	ინსპექტირება; პირადიდაცვის საშუალებების არსებობა და გამართულობის პერიოდული კონტროლი; შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების კონტროლი	სამუშაოების დაწყების წინ; პერიოდული კონტროლი სამუშაოს წარმოების პერიოდში.	ჯანდაცვის და უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა ტრავმატიზმის თავიდან აცილება/მინიმიზაცია	მშენებელი კონტრაქტორი

**ცხრილი. გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა-ექსპლუატაციის ეტაპი**

კონტროლის საგანი	კონტროლის/სინჯის ადების წერტილი	მეთოდი	სიხშირე/დრო	მიზანი	პასუხისმგებელი
ატმოსფერული ჰაერი	უახლოესი რეცეპტორი (გზისპირა სახლები)	ინსტრუმენტალური გაზომვა.	საჩივრების შემოსვლის შემდეგ.	მოსახლეობის მინიმალური შემფოთება.	საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობისა და მონიტორინგის სამსახური
ხმაური	უახლოესი რეცეპტორი (გზისპირა სახლები)	ინსტრუმენტალური გაზომვა.	წელიწადში ერთხელ ან საჩივრების შემოსვლის შემდეგ.	მოსახლეობის მინიმალური შემფოთება.	საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობისა და მონიტორინგის სამსახური
ნარჩენები	გზისპირა ზოლი	ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერება	ყოველდღიური	გარემოს ნარჩენებით დაბინძურების პრევენცია	დასუფთავების სამსახური
მგზავრთა უსაფრთხოება	გზის მთელ სიგრძეზე	ვიზუალური დათვალიერება; გზისპირა ზოლში საგზაო ნიშნების არსებობის და მათი გამართულობის კონტროლი; გზის საფარის ტექნიკური მდგომარეობის კონტროლი.	წლის განმავლობაში რამდენჯერმე	საავტომობილო გზაზე მოძრავი მგზავრების და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოების დაცვა	საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობისა და მონიტორინგის სამსახური

## 9 საავტომობილო გზის მშენებლობის პროცესში მოსალოდნელ ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა

### 9.1 ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის მიზნები და ამოცანები

ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის მიზანია ჩამოაყალიბოს და განსაზღვროს სახელმძღვანელო მითითებები გზის მოდერნიზაციისას დასაქმებული პერსონალისათვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს ტექნოგენურ ავარიებზე და ინციდენტებზე პერსონალის ქმედებების რაციონალურად, კოორდინირებულად და ეფექტურად წარმართვა, პერსონალის, მოსახლეობის და გარემოს უსაფრთხოების დაცვა.

ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის ამოცანებია:

გზის მოდერნიზაციის დროს მისი სპეციფიკის გათვალისწინებით მოსალოდნელი ავარიული სახეების განსაზღვრა;

თითოეული სახის ავარიულ სიტუაციაზე რეაგირების ჯგუფების შემადგენლობის, მათი აღჭურვილობის, ავარიულ სიტუაციაში მოქმედების გეგმის და პასუხისმგებლობების განსაზღვრა; შიდა და გარე შეტყობინებების სისტემის, მათი თანმიმდევრობის, შეტყობინების საშუალებების და მეთოდების განსაზღვრა და ავარიული სიტუაციების შესახებ შეტყობინების (ინფორმაციის) გადაცემის უზრუნველყოფა;

შიდა რესურსების მყისიერად ამოქმედება და საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი რესურსების დადგენილი წესით მობილიზების უზრუნველყოფა და შესაბამისი პროცედურების განსაზღვრა; ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების საორგანიზაციო სისტემის მოქმედების უზრუნველყოფა;

ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების პროცესში საკანონმდებლო, ნორმატიულ და საწარმოო უსაფრთხოების შიდა განაწესის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა ითვალისწინებს საქართველოს კანონების და საკანონმდებლო აქტების მოთხოვნებს.

### ავარიული შემთხვევების სახეები

გზის მოდერნიზაციის პროცესში მოსალოდნელი ავარიები შეიძლება პირობითად რამდენიმე ტიპად დაიყოს, ესენია:

- საგზაო შემთხვევები;
- დამაზინძურებლების ავარიული დაღვრის რისკები;
- ხანძარი;
- პერსონალის დაშავება (ტრავმატიზმი).

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ავარიული სიტუაციები შესაძლოა თანმდევნი პროცესი იყოს და ერთი სახის ავარიული სიტუაციის განვითარებამ გამოიწვიოს სხვა სახის ავარიის ინიცირება.

### საგზაო შემთხვევები

პროექტის განხორციელებისას გამოყენებული იქნება სატვირთო მანქანები და მძიმე ტექნიკა. საზოგადოებრივი სარგებლობის და მისასვლელ გზებზე მათი გადაადგილებისას მოსალოდნელია:

- შეჯახება გზაზე მოძრავ სატრანსპორტო საშუალებებთან;
- შეჯახება ადგილობრივ მოსახლეობასთან;
- შეჯახება პროექტის მუშახელთან;
- შეჯახება პროექტის სხვა ტექნიკასთან;
- შეჯახება ადგილობრივ ინფრასტრუქტურასთან;

საგზაო შემთხვევების მაღალი რისკი დაკავშირებული იქნება სატრანსპორტო საშუალებების და სამშენებლო ტექნიკის შედარებით ინტენსიურ მოძრაობასთან. საგზაო შემთხვევების რისკების მინიმიზაციის მიზნით აუცილებელია რიგი პრევენციული ღონისძიებების გატარება, მათ შორის: მოძრაობის სიჩქარეების შეზღუდვა, გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება, მოძრაობის



ოპტიმალური მარშრუტების შერჩევა, მოძრაობის რეგულირება მედროშეების გამოყენებით და სხვა. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ტექნიკის გაცილება სპეციალურად აღჭურვილი ტექნიკითა და მომზადებული პროფესიონალური პერსონალით, ეს კი მნიშვნელოვნად შეამცირებს სატრანსპორტო საშუალებების დაჯახებით ან გზიდან გადასვლით გამოწვეულ რისკს.

### **ნავთობპროდუქტების და ზეთების დაღვრის რისკები**

ნავთობპროდუქტების და ზეთების დაღვრის რისკი შეიძლება დაკავშირებული იყოს მათი შენახვის პირობების დარღვევასთან, სატრანსპორტო საშუალებებიდან და ტექნიკიდან საწვავისა და ზეთების ჟონვასთან და სხვ.

### **ხანძარი**

ხანძრის აღმოცენება-გავრცელების რისკები დაკავშირებულია ნავთობპროდუქტების და ზეთების შენახვის და გამოყენების წესების დარღვევასთან. ხანძრების აღმოცენება-გავრცელების პრევენციის მიზნით აუცილებელია საწვავ-საპოხი მასალების შენახვის წესების დაცვაზე მკაცრი ზედამხედველობა, სამშენებლო ბანაკის ხანძარმქრობის საშუალებებით უზრუნველყოფა, პერსონალის პერიოდული სწავლება და ტესტირება ხანძრის პრევენციის და მისი შედეგების ლიკვიდაციის საკითხებზე, ასევე ავარიული სიტუაციის შესახებ შეტყობინების მიწოდების სრულყოფილი სისტემის არსებობა.

### **მუშახელის დაზავება**

გარდა სხვა ავარიულ სიტუაციებთან დაკავშირებული ინციდენტებისა მუშახელის ტრავმატიზმი შესაძლოა უკავშირდებოდეს:

- პროექტისთვის გამოყენებულ მძიმე ტექნიკასთან/მანქანებთან დაკავშირებულ ინციდენტებს;
- სიმძლავრე მუშაობას სადემონტაჟო სამუშაოების შესრულებისას;
- მოხმარებული ქიმიური ნივთიერებებით მოწამვლას;
- დენის დარტყმას ძაბვის ქვეშ მყოფ დანადგარებთან მუშაობისას.

**ავარიული სიტუაციების წარმოქმნის ძირითადი პრევენციული ღონისძიებები ხანძრის პრევენციული ღონისძიებები:**

- პერსონალის პერიოდული სწავლება და ტესტირება ხანძრის პრევენციის საკითხებზე;
- ადვილად აალებადი და ფეთქებადსაშიში ნივთიერებების დასაწყობება უსაფრთხო ადგილებში. მათი განთავსების ადგილებში შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნების მოწყობა;
- ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების დაცვა და სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე ქმედითუნარიანი სახანძრო ინვენტარის არსებობა;

**ნავთობპროდუქტების ან ზეთების დაღვრის პრევენციული ღონისძიებები:**

- ნავთობპროდუქტების და ზეთების შემოტანის, შენახვის, გამოყენების და გატანის პროცედურები უნდა ხორციელდებოდეს მკაცრი მონიტორინგის პირობებში. მუდმივად უნდა მოწმდებოდეს შესაბამისი ჭურჭელის ვარგისიანობა;
- პერიოდულად უნდა მოწმდებოდეს ზეთშემცველი დანადგარების ტექნიკური გამართულობა;
- ნივთიერებების მცირე ჟონვის ფაქტის დაფიქსირებისთანავე სამუშაოების შეწყვეტა რათა ინციდენტმა არ მიიღოს მასშტაბური ხასიათი.

**პერსონალის ტრავმატიზმის/დაზიანების პრევენციული ღონისძიებები:**

- პერსონალის პერიოდული სწავლება და ტესტირება შრომის უსაფრთხოების საკითხებზე;
- პერსონალის აღჭურვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
- სახიფათო ზონებში შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნების მოწყობა;
- სპეციალური კადრის გამოყოფა, რომლებიც გააკონტროლებს სამუშაო უბნებზე უსაფრთხოების ნორმების შესრულების დონეს და დააფიქსირებს უსაფრთხოების ნორმების დარღვევის ფაქტებს.

**სატრანსპორტო შემთხვევების პრევენციული ღონისძიებები:**

- მოძრაობის ოპტიმალური მარშრუტების შერჩევა და მოძრაობის სიჩქარეების შეზღუდვა;
- ტერიტორიაზე გამაფრთხილებელი, ამკრძალავი და მიმითითებელი საგზაო ნიშნების მოწყობა;
- სპეციალური და არა გაბარიტული ტექნიკის გადაადგილების დროს უზრუნველყოფილი იქნას ტექნიკის გაცილების უზრუნველყოფა სპეციალურად აღჭურვილი ტექნიკითა და მომზადებული პროფესიონალური პერსონალით.

**ინციდენტის სავარაუდო მასშტაბი**

მოსალოდნელი ავარიის, ინციდენტის სალიკვიდაციო რესურსების და საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით, ავარიები და ავარიული სიტუაციები დაყოფილია რეაგირების 3 ძირითადი დონის მიხედვით. ცხრილში მოცემულია ავარიული სიტუაციების აღწერა დონეების მიხედვით, შესაბამისი რეაგირების მითითებით.

ცხრილი . ავარიული სიტუაციების აღწერა დონეების მიხედვით

ავარიული სიტუაცია	დონე		
	I დონე	II დონე	III დონე
საერთო	ავარიის ლიკვიდაციისთვის საკმარისია შიდა რესურსები	ავარიის ლიკვიდაციისთვის საჭიროა გარეშე რესურსები და მუშახელი	ავარიის ლიკვიდაციისთვის საჭიროა რეგიონული ან ქვეყნის რესურსების მოზიდვა
ხანძარი	ლოკალური ხანძარი, რომელიც არ საჭიროებს გარეშე ჩარევას და სწრაფად კონტროლირებადია. მეტეოროლოგიური პირობები ხელს არ უწყობს ხანძრის სწრაფ გავრცელებას. მიმდებარედ არ არსებობს სხვა ხანძარსაშიში და ფეთქებადსაშიში უბნები/საწყობები და მასალები.	მოზრდილი ხანძარი, რომელიც მეტეოროლოგიური პირობების გამო შესაძლოა სწრაფად გავრცელდეს. მიმდებარედ არსებობს სხვა ხანძარსაშიში და ფეთქებადსაშიში უბნები/საწყობები და მასალები. საჭიროა ადგილობრივი სახანძრო რაზმის გამოძახება.	დიდი ხანძარი, რომელიც სწრაფად ვრცელდება. არსებობს მიმდებარე უბნების აალების და სხვა სახის ავარიული სიტუაციების პროვოცირების დიდი რისკი. საჭიროა რეგიონალური სახანძრო სამსახურის ჩართვა ინციდენტის ლიკვიდაციისთვის.
საშიში ნივთიერებების დაღვრა	ლოკალური დაღვრა, რომელიც არ საჭიროებს გარეშე ჩარევას და შესაძლებელია მისი აღმოფხვრა შიდა რესურსებით. არ არსებობს ნივთიერებების დიდ ფართობზე გავრცელების რისკები.	მოზრდილი დაღვრა (საშიში ნივთიერებების დაღვრა 0,3 ტ-დან 200 ტ-მდე). არსებობს ნივთიერებების დიდ ფართობზე გავრცელების და მდინარეების დაზიანების რისკები.	დიდი დაღვრა (200 ტ-ზე მეტი). რაც მოსალოდნელი არ არის
პერსონალის დაშავება / ტრავმატიზმი	ტრავმატიზმის ერთი შემთხვევა; მსუბუქი მოტეხილობა, დაჟეჟილობა; I ხარისხის დამწვრობა (კანის ზედაპირული შრის დაზიანება); დაშავებული პერსონალისთვის დახმარების აღმოჩენა და ინციდენტის ლიკვიდაცია შესაძლებელია შიდა სამედიცინო ინვენტარით.	ტრავმატიზმის ერთეული შემთხვევები; ძლიერი მოტეხილობა - სახსართან ახლო მოტეხილობა; II ხარისხის დამწვრობა (კანის ღრმა შრის დაზიანება); საჭიროა დაშავებული პერსონალის გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებაში	ტრავმატიზმის რამდენიმე შემთხვევა; მომსახურე პერსონალის; ძლიერი მოტეხილობა III და IV ხარისხის დამწვრობა (კანის, მის ქვეშ მიმდებარე ქსოვილების და კუნთების დაზიანება); საჭიროა დაშავებული პერსონალის გადაყვანა რეგიონული ან თბილისის შესაბამისი პროფილის მქონე სამედიცინო პუნქტში.
სატრანსპორტო შემთხვევები	ადგილი აქვს ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, ინფრასტრუქტურის არადირებული ობიექტების დაზიანებას. ადამიანთა ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.	ადგილი აქვს ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, ინფრასტრუქტურის დირებული ობიექტების დაზიანებას. საფრთხე ემუქრება ადამიანთა ჯანმრთელობას.	ადგილი აქვს ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, განსაკუთრებული დირებული ობიექტების ინფრასტრუქტურის ან სასიცოცხლო ობიექტების დაზიანებას. არსებობს სხვა სახის ავარიული სიტუაციების პროვოცირების დიდი რისკი.

შენიშვნა: პროექტის მასშტაბებიდან, მისი განხორციელების ხანგრძლივობიდან და ადგილმდებარეობის სპეციფიკიდან გამომდინარე საქმიანობის პროცესში მოსალოდნელია ძირითადად I დონის და ნაკლები ალბათობით II დონის ავარიული სიტუაციები.

### **ავარიაზე რეაგირება**

- გეგმაში განსაზღვრულია ავარიულ შემთხვევებზე პასუხისმგებელი და უფლებამოსილი პირები, ასევე უფლებამოსილების დელეგირებისა და მინიჭების მეთოდი. უზნის მოწყობის შემდეგ უნდა განისაზღვროს გეგმის ოპერაციების მიმდევრობის სქემით გათვალისწინებული პასუხისმგებელი პირები და მათი თანამდებობა. ეს ინფორმაცია უნდა ეცნობოს მშენებელი კონტრაქტორის მენეჯმენტს.
- კერძოდ კი, ავარიაზე რეაგირების ფარგლებში საჭიროა შემდეგი ზომების გატარება:
- ავარიულ შემთხვევებში უნდა შეიქმნას რაზმი, რომლის დავალება და დანიშნულება წინასწარაა განსაზღვრული.
- ხანძრის ჩაქრობის ოპერაციებისთვის ამოცანები წინასწარ უნდა განისაზღვროს.
- გატარებული ზომების მონიტორინგი უნდა მოხდეს ყოველკვირეულად.
- უნდა განისაზღვროს ავარიულ შემთხვევებში შესასრულებელი პროცედურები და მათზე პასუხისმგებელი პირები.
- უნდა განისაზღვროს ზომები, რომელთა საშუალებითაც თავიდან იქნება აცილებული
- გარემოს დაბინძურება სამშენებლო მასალებით და სხვადასხვა ნივთიერებების შემთხვევითი დაღვრით; უნდა წარმოებდეს საშიში მასალების აღრიცხვა. ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა თანამშრომლისათვის.

### **რეაგირება ხანძრის შემთხვევაში**

ხანძრის კერის ან კვამლის აღმოჩენი პირის და მახლობლად მომუშავე პერსონალის სტრატეგიული ქმედებებია:

- სამუშაო უბანზე ყველა საქმიანობის შეწყვეტა, გარდა უსაფრთხოების ზომებისა;
- სიტუაციის შეფასება, ხანძრის კერის და მიმდებარე ტერიტორიების დაზვერვა;
- შემდგომი დაგვარად ტექნიკის და სხვა დანადგარ-მოწყობილობების იმ ადგილებიდან გაყვანა/გატანა, სადაც შესაძლებელია ხანძრის გავრცელება.
- ელექტრომოწყობილობები უნდა ამოირთოს წრედიდან;

იმ შემთხვევაში თუ ხანძარი მძლავრია და გამწვავებულია ხანძრის კერასთან მიდგომა, მიმდებარე განლაგებულია რაიმე ხანძარსაშიში ან ფეთქებადსაშიში უბნები/ნივთიერებები, მაშინ მოშორდით სახიფათო ზონას:

- ავარიის შესახებ შეტყობინება გადაეცით მენეჯერს / უფროსს;
- დაელოდეთ სამაშველო რაზმის გამოჩენას და მათი მოსვლისას გადაეცით დეტალური ინფორმაცია ხანძრის მიზეზების და ხანძრის კერის სიახლოვეს არსებული სიტუაციის შესახებ;
- იმ შემთხვევაში თუ ხანძარი არ არის მძლავრი, ხანძრის კერა ადვილად მისადგომია და მასთან მიახლოება საფრთხეს არ უქმნის თქვენს ჯანმრთელობას. ამასთან არსებობს მიმდებარე ტერიტორიებზე ხანძრის გავრცელების გარკვეული რისკები, მაშინ იმოქმედეთ შემდეგნაირად:
- ავარიის შესახებ შეტყობინება გადაეცით მენეჯერს / უფროსს;
- მოძებნეთ სახანძრო სტენდი და მოიმარაგეთ საჭირო სახანძრო ინვენტარი (ცეცხლმაქრობი, ნაჯახი, ძალაყინი, ვედრო და სხვ);
- ეცადეთ ხანძრის კერის ლიკვიდაცია მოახდინოთ ცეცხლმაქრობით, ცეცხლმაქრობზე წარმოდგენილი ინსტრუქციის მიხედვით;

- იმ შემთხვევაში თუ უბანზე არ არსებობს სახანძრო სტენდი, მაშინ ხანძრის კერის ლიკვიდაციისთვის გამოიყენეთ ქვიშა, წყალი ან გადააფარეთ ნაკლებად აალებადი სქელი ქსოვილი;
- იმ შემთხვევაში თუ ხანძრის კერის სიახლოვეს განლაგებულია წრედში ჩართული ელექტროდანადგარები წყლის გამოყენება დაუშვებელია;
- დახურულ სივრცეში ხანძრის შემთხვევაში ნუ გაანიავებთ ოთახს (განსაკუთრებული საჭიროების გარდა), რადგან სუფთა ჰაერი უფრო მეტად უწყობს ხელს წვას და ხანძრის მასშტაბების ზრდას.

ხანძრის შემთხვევაში უბნის მენეჯერის სტრატეგიული ქმედებებია:

- დეტალური ინფორმაციის მოგროვება ხანძრის კერის ადგილმდებარეობის, მიმდებარედ არსებული/დასაწყობებული დანადგარ-მექანიზმების და ნივთიერებების შესახებ და სხვ;
- სახანძრო სამსახურის ინფორმირება;
- ინციდენტის ადგილზე მისვლა და სიტუაციის დაზვერვა, რისკების გაანალიზება და ხანძრის სავარაუდო მასშტაბების (I, II ან III დონე) შეფასება;
- მთელს პერსონალს ეთხოვოს მანქანებისა და უბანზე არსებული ხანძარსაქრობი
- აღჭურვილობის გამოყენება;
- პერსონალის ქმედებების გაკონტროლება და ხელმძღვანელობა, სახანძრო რაზმის გამოჩენამდე;
- სახანძრო რაზმის ქმედებების ხელშეწყობა (შესაძლოა საჭირო გახდეს უბანზე
- არარსებული სპეციალური აღჭურვილობა და სხვ.);

ინციდენტის დასრულების შემდგომ ავარიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარება - ნახანძრალი ტერიტორიის მონიტორინგი დარჩენილი ხანძრის კერების გამოვლენის მიზნით; ანგარიშის მომზადება, მშენებელი კონტრაქტორის მენეჯმენტის ინფორმირება.

### **რეაგირება საშიში ნივთიერებების დაღვრის შემთხვევაში**

ვინაიდან საქმიანობის განხორციელების დროს დიდი რაოდენობით ნავთობპროდუქტების და სხვა საშიში თხევადი ნივთიერებების შენახვა / დასაწყობება ადგილზე არ მოხდება, წინამდებარე ქვეთავში განხილულია მხოლოდ I დონის ავარიული სიტუაციებზე რეაგირების სტრატეგია. საშიში ნივთიერებების დაღვრის რეაგირების სახეებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მიწის ზედაპირის სახე. აგრეთვე, მისი პირვანდელი მდგომარეობა.

შეღწევად ზედაპირზე ნავთობპროდუქტების დაღვრის შემთხვევაში საჭიროა შემდეგი სტრატეგიული ქმედებების განხორციელება:

- ცხელ ხაზზე დარეკვა და H&SE მენეჯერის ინფორმირება ავარიის შესახებ;
- უბანზე მომუშავე ყველა დანადგარ-მექანიზმის გაჩერება. აუცილებელ პირობას წარმოადგენს დაღვრის სიახლოვეს არსებული ყველა ელექტროდანადგარის - ტრანსფორმატორები, ამომრთველები და სხვა გათიშვა შესაბამისი თანმიმდევრობით);
- დაბინძურების წყაროს გადაკეტვა (არსებობის შემთხვევაში);
- ეთხოვოს პერსონალს ავარიაზე რეაგირებისათვის საჭირო აღჭურვილობის და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მობილიზება;
- მოხდეს სამეურნეო-ფეკალური კანალიზაციის სისტემის შესასვლელების (ჭების ხუფები) ბლოკირება;
- შთანთქმელები უნდა დაეწყოს ერთად ისე, რომ შეიქმნას უწყვეტი ბარიერი (ზღუდე) მოძრავი ნავთობპროდუქტების წინა კიდის პირისპირ. ბარიერის ბოლოები უნდა

- მოხაროს წინისკენ, რათა მან ნალის ფორმა მიიღოს;
- ზეთების / საშიში ნივთიერებების ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაღვრის რისკების შემთხვევაში აუცილებლად უნდა ეცნობოს ადგილობრივ თვითმართველობას / შესაბამისი კომპეტენციის ორგანოს;
- დაღვრილი ნავთობპროდუქტების შეკავების ადგილი უნდა დაიფაროს პოლიეთილენის აპკის ფურცლებით, რათა არ მოხდეს ნავთობის შეღწევა ნიადაგის ქვედა ფენებში;
- აღსანიშნავია, რომ თუ შეუძლებელია შემაკავებელი პოლიეთილენის ფურცლების დაფენა, მაშინ ბარიერების მოწყობა გამოიწვევს ნავთობის დაგროვებას ერთ ადგილზე, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ამ ადგილზე ნიადაგის გაჯერებას ნავთობით, ნავთობპროდუქტების შეღწევას ნიადაგის უფრო ქვედა ფენებში;
- დაღვრილი ნავთობპროდუქტების შესაშრობად საჭიროა შთანმთქმელი (აბსორბენტული) საფენების გამოყენება;
- მოაგროვებ ნავთობი ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი კონტეინერში (ჭურჭელში) შეგროვება და შემდგომი გადატანა;
- ნავთობის შეწოვის შემდეგ საფენები უნდა მოთავსდეს პოლიეთილენის ტომრებში (საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია საფენების ხელმეორე გამოყენება);
- მოედანი სრულიად უნდა გაიწმინდოს ნარჩენი ნავთობპროდუქტებისგან, რათა გამოირიცხოს მომავალში წვიმის წყლებით დამაბინძურებლების წარეცხვა ან ნიადაგის ღრმა ფენებში გადაადგილება;
- გაწმენდის ოპერაციების დამთავრების შემდეგ ყველა საწმენდი მასალა უნდა შეგროვდეს, შეიფუთოს და დასაწყობდეს შესაბამისად დაცულ ადგილებში;
- ნიადაგის ზედა ფენის დამუშავება უნდა დაიწყოს დაბინძურების წყაროს მოცილებისთანავე ან გაჟონვის შეწყვეტისთანავე;
- როგორც კი მოცილებული იქნება მთელი გაჟონილი ნავთობპროდუქტები, უბნის მენეჯერის მითითებისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე მოწვეული სპეციალისტის ზედამხედველობით უნდა დაიწყოს დაბინძურებული ნიადაგის მოცილება და მისთვის სარემედიაციო სამუშაოების ჩატარება.

რეაგირება პერსონალის ტრავმატიზმის ან მათი ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტების დროს ადამიანის დაშავების აღმოჩენი პირის უპირველეს ქმედებას წარმოადგენს ინციდენტის შესახებ შეტყობინების სასწრაფო გადაცემა. სამაშველო ჯგუფის გამოჩენამდე დაშავებულს პირველადი დახმარება უნდა გაეწიოს შემდგომ ქვეთავებში მოცემული პირველადი დახმარების სტრატეგიის მიხედვით. პირველადი დახმარების გაწევამდე აუცილებელია სიტუაციის შეფასება და დადგენა ქმნის თუ არა საფრთხეს დაშავებულთა მიახლოვება და მისთვის დახმარების გაწევა.

პირველადი დახმარება მოტეხილობის დროს არჩევენ ძვლის ღია და დახურულ მოტეხილობას: ღია მოტეხილობისათვის დამახასიათებელია კანის საფარველის მთლიანობის დარღვევა. ამ დროს დაზიანებულ არეში არის ჭრილობა და სისხლდენა. ღია მოტეხილობის დროს მაღალია ინფიცირების რისკი. ღია მოტეხილობის დროს: ო დროულად მოუხმეთ დამხმარეს, რათა დამხმარემ ჩაატაროს სხეულის დაზიანებული ნაწილის იმობილიზაცია, სანამ თქვენ დაამუშავებთ ჭრილობას;

- დაფარეთ ჭრილობა სუფთა საფენით და მოახდინეთ პირდაპირი ზეწოლა სისხლდენის შეჩერების მიზნით. არ მოახდინოთ ზეწოლა უშუალოდ მოტეხილი ძვლის ფრაგმენტებზე;
- თუ ჭრილობაში მოჩანს მოტეხილი ძვლის ფრაგმენტები, მოათავსეთ რბილი ქსოვილი ძვლის ფრაგმენტების გარშემო ისე, რომ ქსოვილი სცილდებოდეს მათ და ნახვევი არ ახდენდეს ზეწოლას ძვლის ფრაგმენტებზე. დაამაგრეთ ნახვევი ისე, რომ არ დაირღვეს სისხლის მიმოქცევა ნახვევის ქვემოთ;
- ჩაატარეთ მოტეხილი ძვლის იმობილიზაცია, ისევე, როგორც დახურული მოტეხილობისას;
- შეამოწმეთ პულსი, კაპილარული ავსება და მგრძნობელობა ნახვევის ქვემოთ ყოველ 10 წთ-ში ერთხელ.

